

ვალერი მოღვაძე
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ესპანეთის
საგარეო პოლიტიკა
(1939-2011)**



**თბილისი
2012**

რედაქტორი: ვაჟა შუბინიძე,
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
სრული პროფესორი

რეცენზენტი: შაღიზან ბინაძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

© ვალერი მოდებაძე



შპს „გამომცემლობა გრიფონი“
ISBN 978-9941-9235-6-2

სარჩევი

შესავალი.....	4
1. ესპანეთის საგარეო პოლიტიკა ფრანკოს რეჟიმის დროს (1939-1975).....	7
2. ესპანეთის საგარეო პოლიტიკა გარდამავალი პერიოდის დროს(1975-1982).....	44
3. ესპანეთის საგარეო პოლიტიკა გარდამავალი პერიოდის შემდეგ(1982-2011).....	70
4. ესპანეთი და ლათინური ამერიკა.....	105
5. ესპანეთი და გიბრალტარი.....	115
6. ესპანეთი და არაბული სამყარო.....	127
7. ესპანეთი და საქართველო.....	140
დასკვნა.....	164

შესავალი

ნიგნში განხილულია ესპანეთის საგარეო პოლიტიკა მეოცე საუკუნის დასაწყისიდან 2012 წლამდე. ესპანეთის საგარეო პოლიტიკის ანალიზი იწყება ფრანკოს პერიოდიდან, რომლის მმართველობის საწყის ეტაპზე ესპანეთი თითქმის სრულ იზოლაციაში იყო მოქცეული და არ ჰქონდა ურთიერთობები მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან. მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს კითხვა: რატომ არის ესპანეთის საგარეო პოლიტიკა ჩვენთვის ასეთი აქტუალური თემა? ესპანეთი არის კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეუძლია ქვეყანას, რომ თავი დააღწიოს საერთაშორისო იზოლაციას და გახდეს ცივილიზებული სახელმწიფო. ესპანეთი შეიძლება იყოს მართლაც სანიმუშო ქვეყანა იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ახლა იწყებენ დემოკრატიული სისტემის მშენებლობას და დემოკრატიული რეფორმების გატარებას. ესპანეთს გააჩნია ავტორიტარიზმიდან დემოკრატიაზე გადასვლის ძალზედ დიდი გამოცდილება. ესპანეთი, რომელიც მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ითვლებოდა მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ და განუვითარებელ სახელმწიფოდ, რამოდენიმე ათწლეულში გადაიქცა ევროპის მონინავე ქვეყანად. მიუხედავად ტრაგიკული წარსულისა და ფრანკოს რეჟიმით გამოწვეული ღრმა სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისისა, ესპანეთმა შეძლო იზოლაციისაგან თავის დაღწევა და სრული ინტეგრაცია ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში. დღეისათვის ესპანეთი არაფრით არ ჩამოუვარდება დასავლეთ ევროპის ცივილიზებულ ქვეყნებს და წამყვანი ადგილი უკავია მსოფლიოს გან-

ვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. დღეს ესპანეთი ევროპის ერთ-ერთი მაღალგანვითარებული ქვეყანაა და ერთობლივი ეროვნული პროდუქტის მოცულობით (570 მლრდ) მსოფლიოში მეათე ადგილი უკავია. რამდენიმე ათეული წლის წინ პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია ქვეყანაში სრულიად განსხვავებული იყო. თითქმის ორმოცდაათი წლის განმავლობაში ესპანეთის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში ძალზედ შეზღუდული იყო. ის არ ირიცხებოდა არც ერთ იმ საერთაშორისო ორგანიზაციაში, რომლებიც წარმოიშვა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რაც ქვეყნის განვითარებას მკვეთრად აფერხებდა. დემოკრატიზაციის პროცესმა, რომელიც დაიწყო ესპანეთში ფრანკოს ხანგრძლივი დიქტატურის შემდეგ, რადიკალურად გარდაქმნა ესპანეთის საზოგადოება. დემოკრატიული რეფორმების გატარების შემდეგ ესპანეთმა საერთაშორისო იზოლაციას თავი დააღწია და ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ევროპის მოწინავე ქვეყნებს შორის.

წიგნი შედგება 7 თავისაგან. პირველ თავში განხილულია ესპანეთის საგარეო პოლიტიკა ფრანკოს რეჟიმის დროს (1939-1975). ფრანკოს ხელისუფლებაში ყოფნის დროს ესპანეთი საერთაშორისო იზოლაციაში იყო მოქცეული და დიქტატორულ რეჟიმთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას თავს არიდებდნენ ევროპის წამყვანი ქვეყნები. მეორე თავი ეხება ესპანეთის საგარეო პოლიტიკას გარდამავალი პერიოდის დროს (1975-1982), როდესაც დაიწყო დემოკრატიზაციის პროცესი ქვეყანაში და პოლიტიკური სისტემის რადიკალური გარდაქმნა. მესამე თავში განხილულია

ესპანეთის საგარეო პოლიტიკა გარდამავალი პერიოდის შემდეგ (1982-2011). ამ პერიოდში მოხდა ესპანეთის განწევრიანება ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში და ესპანეთი გახდა ევროპის ერთ-ერთი მოწინავე და წარმატებული ქვეყანა. მეოთხე თავი ეხება ესპანეთის ურთიერთობებს ლათინური ამერიკის ქვეყნებთან. ლათინური ამერიკასთან მჭიდრო კავშირების შენარჩუნება ყოველთვის წარმოადგენდა ესპანეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებას. მეხუთე თავი მიმოიხილავს ესპანეთის ურთიერთობებს გიბრალტართან. გიბრალტარს ესპანეთი მიიჩნევს მის ტერიტორიად და ამიტომაც მოითხოვს ამ პატარა კლდის დაბრუნებას. მეექვსე თავი ეხება ესპანეთის ურთიერთობებს არაბულ სამყაროსთან. ესპანეთს აქვს პრეტენზია, რომ იყოს ხიდი არაბულ სამყაროსა და ევროპას შორის. ბოლო თავში განხილულია ესპანეთის ურთიერთობები საქართველოსთან. ვარდების რევოლუციის შემდეგ ორ ქვეყანას შორის კავშირები სულ უფრო და უფრო ინტენსიური ხდება და ღრმავდება საქართველოსა და ესპანეთს შორის ურთიერთობები სხვადასხვა სფეროში.

1. ესპანეთის საგარეო პოლიტიკა ფრანკოს რეჟიმის დროს

XIX საუკუნის ბოლოს ესპანეთმა დაკარგა ყველა თავისი კოლონიური სამფლობელო ამერიკაში. ეს გამონეუელი იყო არა მარტო ლათინურ ამერიკაში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობების დაწყებით, რომლებმაც შეძლეს ესპანეთის კოლონიური იმპერიის მოძველებული სახელმწიფო სტრუქტურების განადგურება, არამედ ასევე აშშ-სთან დაპირისპირებით. 1898 წლის ესპანეთ-ამერიკის ომის შედეგები ძალზედ მძიმე აღმოჩნდა ქვეყნისათვის. ამ ომმა ესპანეთს დიდი მორალური და მატერიალური ზარალი მიაყენა. მან დაკარგა ბოლო კოლონიური სამფლობელოები: პუერტო რიკო, კუბა, გუამი და ფილიპინები. ესპანელებისათვის განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა კუბის დაკარგვა, ვინაიდან კუბა თითქმის ოთხი საუკუნის განმავლობაში ესპანეთის განუყოფელი ნაწილი იყო და ესპანელი ხალხი მას კოლონიად კი არა, არამედ ესპანეთის ერთ-ერთ პროვინციად მიიჩნევდა. 1492 წელს ქრისტეფორე კოლუმბმა პირველი მოგზაურობის დროს აღმოაჩინა ეს კუნძული და ამ პერიოდიდან მოყოლებული კუბა ესპანეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. მას შემდეგ რაც ლათინური ამერიკის ქვეყნებმა ბრძოლით მოიპოვეს ესპანეთისაგან დამოუკიდებლობა (1810-1825), კუბა და პუერტო რიკო იყო ესპანეთის ბოლო სამფლობელოები ამერიკაში. ამ ტერიტორიების შენარჩუნება ესპანეთს დიდი ძალისხმევის ფასად დაუჯდა და ამიტომაც მათი დაკარგვა დიდ დანაკლისს წარმოადგენდა ესპანეთისათვის.⁶⁰ XIX საუკუნის ბოლოს ესპანეთი უკვე აღარ

ითვლებოდა იმპერიულ სახელმწიფოდ, ესპანეთ-ამერიკის ომმა საბოლოოდ გაანადგურა ესპანეთის კოლონიური იმპერია. ის საშუალო სიდიდის, ჩამორჩენილ, განუვითარებელ ქვეყანად გადაიქცა, რომელიც არ მონაწილეობდა ევროპის პოლიტიკურ პროცესებში და გარიყული და იზოლირებული აღმოჩნდა დანარჩენი ევროპისაგან. მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ნეიტრალიტეტი ესპანეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარ დამახასიათებელ შტრიხად გადაიქცა. ესპანეთი არ იყო განევრიანებული ევროპის არც ერთ სამხედრო-პოლიტიკურ გაერთიანებაში და დიდი ხნის განმავლობაში იზოლაციაში რჩებოდა. ესპანეთს არ მიუღია მონაწილეობა არც პირველ და არც მეორე მსოფლიო ომში და ფრანკოს მმართველობის საწყის ეტაპზე ქვეყანა გარიყულ იქნა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ფაშისტურ რეჟიმებთან თანამშრომლობისა და მჭიდრო კავშირების შენარჩუნების გამო.¹⁵ ფაშისტური ქვეყნების დახმარებით ფრანკომ შესძლო სამოქალაქო ომში რესპუბლიკელების დამარცხება და 1939 წლის მარტში ფრანკოს დიქტატორული რეჟიმი მთელი ესპანეთის ტერიტორიაზე გავრცელდა. ქვეყანაში სისხლიანი დიქტატურა დამყარდა, რომელიც ძალიან დიდ მსგავსებას ამჟღავნებდა ჰიტლერისა და მუსოლინის ფაშისტურ რეჟიმებთან. ესპანეთში ტერორმა დაისადგურა: ასობით ათასი რესპუბლიკელი სამოქალაქო ომში დაიღუპა, ხოლო ის, ვინც გადარჩა, ან საკონცენტრაციო ბანაკში ამოყო თავი, ან იძულებული გახდა ქვეყანა დაეტოვებინა. ხუთასი ათასი ესპანელი ემიგრაციაში წავიდა და უცხოეთის ქვეყნებს შეაფარა თავი.

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ფრანკოს საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი თავისი რეჟიმის გაძლიერება იყო, ამიტომაც ის უფრო დაუახლოვდა იმ დროს არსებულ ფაშისტურ რეჟიმებს. თუმცა მეორე მსოფლიო ომის დროს ესპანეთი ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა, ფრანკოს რეჟიმი მაინც არ მალავდა სიმპათიებს ლერძის სახელმწიფოების მიმართ, რომლებსაც ის მორალურ, ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას უწევდა. ფრანკომ სამოქალაქო ომი ნაცისტური გერმანიისა და ფაშისტური იტალიის დახმარებით მოიგო, რომლებსაც სურდათ კიდევ ერთი ფაშისტური რეჟიმის დამყარება ევროპაში. გერმანია მას თვითმფირინავებს და იარაღს აწვდიდა. იტალიაც აქტიურ დახმარებას უწევდა და ფრანკოს დასახმარებლად დივიზიას დივიზიაზე გზავნიდა.⁵ ამიტომაც ფრანკო ლერძის სანელმწიფოებთან გარკვეულწილად ვალში იყო და არ შეეძლო მათთვის ზურგი შეექცია. ჰიტლერი იმედოვნებდა, რომ ესპანელი ფაშისტები ელემენტარული მადლიერების გამოსახატავად „ლერძის“ სახელმწიფოების მხარეზე იბრძოლებდნენ. ფრანკოს მართლაც მადლიერების გამოსახატავად მტკიცედ ჰქონდა გადანყვებილი შეერთებოდა ფაშისტური ქვეყნების ალიანსს და 1939 წელს ჰიტლერთან და მუსოლინისთან ერთად, ხელი მოაწერა ანტიკომუნისტურ პაქტს. კომუნისტების მოძულე ფრანკოს მტკიცედ ჰქონდა გადანყვებილი გერმანიას და იტალიას დახმარებოდა ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ფრანკოს სურდა გვერდში ამოდგომოდა ფაშისტურ ქვეყნებს და მათთან ერთად ჩაბმულიყო მეორე მსოფლიო ომში, ვინაიდან თვლიდა, რომ ომში

აქტიური მონაწილეობა მას საშუალებას მისცემდა გაეძლიერებინა ესპანეთის პოზიციები საერთაშორისო არენაზე, მაგრამ იმ დროისასთვის ესპანეთი იმდენად დაუძღვრებული იყო სამოქალაქო ომის შედეგად, რომ არც სამხედრო და არც პოლიტიკური თვალსაზრისით, სერიოზულ ძალას არ წარმოადგენდა.⁴⁴ ესპანეთში არსებული სავალალო ეკონომიკური ვითარება გერმანელებისთვისაც კარგად იყო ცნობილი. იმ პერიოდში გერმანიის ელჩი ესპანეთში, ებერჰარდ ფონ შტორერი თავის ხელისუფლებას აუწყებდა, რომ სამოქალაქო ომით დასუსტებულ ქვეყანას არ შესწევდა უნარი მიეღო მონაწილეობა ომში. რთულ ეკონომიკურ მდგომარეობას და შიმშილს შეეძლო შიდა არეულობების გამოწვევა და ქვეყნის დესტაბილიზაცია.⁵³

ჰიტლერი და მუსოლინი კარგად იყვნენ ინფორმირებული ესპანეთის უსუსურობის შესახებ, მაგრამ გერმანელი და იტალიელი ფაშისტები მაინც ცდილობდნენ, რომ ესპანეთი გადაექციათ თავის საომარ პლაცდარმად, საიდანაც მათ შეეძლებოდათ დარტყმების მიყენება ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის და განეხორციელებინათ მათ წინააღმდეგ შეტევები როგორც ხმელთაშუა ზღვაში, ასევე ჩრდილოეთ აფრიკაში და ლათინურ ამერიკაში.⁵⁶ ფრანკო, მიუხედავად დიდი ზეწოლისა ჰიტლერისა და მუსოლინის მხრიდან, რომლებიც მას მოუწოდებდნენ, რომ ჩაბმულიყო ომში, იძულებული შეიქმნა ნეიტრალიტეტი შეენარჩუნებინა და უარი ეთქვა ომში მონაწილეობაზე. ფრანკოს ომში არმონაწილეობა რამოდენიმე მიზეზით იყო განპირობებული. პირველი მიზეზი, რის გამოც მან გადაწყვიტა

ნეიტრალიტეტის შენარჩუნება, იყო ესპანეთის ეკონომიკის სავალალო მდგომარეობა სამწლიანი სამოქალაქო ომის შემდეგ. ესპანეთში შიმშილი მძვინვარებდა და ყოველ წელიწადს ასობით ათასი ადამიანი იღუპებოდა. ეკონომიკური სიდუხჭირით განაშფოთებული ესპანელები საკვების მოსაპოვებლად ნაგავსაყრელებსა და ნაგვის ყუთებში იქექებოდნენ. ესპანეთში ეკონომიკური ვითარება სულ უფრო და უფრო უარესდებოდა და სამოქალაქო ომით დაუძლურებულ ქვეყანას არ შესწევდა უნარი ახალ ომში ჩაბმულიყო და ექსპანსიონისტური პოლიტიკა გაეტარებია. გარდა ამისა ომში ჩაბმა გამოიწვევდა ესპანეთის მხრიდან ოფიციალურად ომის გამოცხადებას, რაც გაზრდიდა მეზობელი საფრანგეთისა და დიდ ბრიტანეთის აგრესიას ესპანეთის მიმართ. ფრანკოს ყველაზე მეტად ეშინოდა იმის, რომ საფრანგეთს და ბრიტანეთს, გიბრალტარის მხრიდან არ წამოეწყობოთ სამხედრო აქცია მის წინააღმდეგ. ფრანკო თვლიდა, რომ მისთვის ყველაზე მომგებიანი იქნებოდა, თუ ესპანეთი ომში ბოლო წუთებში ჩაებმებოდა, რათა გამარჯვების შედეგებით მასაც ესარგებლა და ამავე დროს აგრესიის საფრთხე თავიდან აეცილებინა. კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ფრანკომ გადაწყვიტა არ მიეღო მონაწილეობა მეორე მსოფლიო ომში, იყო დიდ ბრიტანეთზე და შეერთებულ შტატებზე ესპანეთის ეკონომიკური დამოკიდებულება. შეერთებული შტატები და ბრიტანეთი ერთობლივი ძალისხმევით ცდილობდნენ, რომ არ დაეშვათ ესპანეთის ომში ჩაბმა და ამიტომაც მას სანჯავით და მარცვლეულით ამარაგებდნენ. ამ დახმარებით ისინი ცდილობდნენ ესპანეთის ნეიტრალი-

ტეტის უზრუნველყოფას და ესპანეთში ეკონომიკური ვითარების შემსუბუქებას, რომელიც კრიტიკულ მდგომარეობაში იყო სამოქალაქო ომის შემდეგ. ქვეყნის მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა პარტიზანული ომები. ომში დამარცხებული რესპუბლიკელები აგრძელებდნენ ფრანკოს რეჟიმის წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლას. ზემოთ ხსენებული მიზეზების გამო ფრანკო იძულებული გახდა მხოლოდ „ღერძის“ სახლნიფოებისადმი თავისი სიმპათიების გამოყენებით შემოფარგლულიყო. ომის დაწყებიდან მეოთხედღეს, 1939 წლის 4 სექტემბერს ფრანკომ ესპანეთი „ნეიტრალურ“ მხარედ გამოაცხადა. მიუხედავად არჩეული ნეიტრალური კურსისა, ის აღფრთოვანებას ვერ მალავდა ჰიტლერის მიმართ, მას აიდეალებდა და მის მიზნებსა და იდეოლოგიას სრულად იზიარებდა.

ესპანეთმა შეცვალა თავისი ნეიტრალიტეტის პოლიტიკა 1940 წელს, როდესაც გერმანია წარმატებით ახორციელებდა თავის სამხედრო გეგმებს ევროპაში. გერმანიის არმია უძღვევლი ჩანდა და ფრანკოს სურდა ესპანეთსაც შესძლებოდა თავისი ტერიტორიული პრეტენზიების დაკმაყოფილება ომის შემდგომ პერიოდში. 1940 წლის 13 ივნისს ესპანეთმა დაიკავა არამეომარი მხარის პოზიცია, რამაც საშუალება მისცა გერმანიის წყალქვეშა ნავებს, რომ ესარგებლათ ესპანეთის პორტებით და გერმანიის ავიაციას, რომ გამოეყენებინა ესპანეთის ასაფრენი ბილიკები.¹⁹ ესპანეთის ტერიტორიაზე და მის კოლონიებში შეიქმნა გერმანიის სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზები, რომლებიც საფრთხეს უქმნიდა ინგლისისა და საფრანგეთის კომუნიკაციებს. ფრანკოს ხელისუფ-


ლების ასეთი პოზიცია საყოველთაოდ ინტერპრეტირებულ იქნა, როგორც ესპანეთის ომში მონაწილეობა „ღერძის“ სახელმწიფოების მხარეზე. ფრანკო მართლაც მზად იყო ჩაბმულიყო ომში, თუ ჰიტლერი მის ტერიტორიულ პრეტენზიებს დააკმაყოფილებდა. ფრანკომ და ჰიტლერმა ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთხელ გამართეს მოლაპარაკებები. ფრანკომ მოთხოვნათა ვრცელი სია წარუდგინა ჰიტლერს. მას ესპანური იმპერიის აღდგენა და აფრიკაში ექსპანსია ჰქონდა განზრახული. ფრანკოს მოთხოვნათა სიაში შედიოდა მთელი საფრანგეთის მაროკო, ალჟირის საპორტო ქალაქი ორანი, დასავლეთ და ეკვატორული აფრიკის ტერიტორიები და გიბრალტარი.⁵ ორმა დიქტატორმა ვერ შესძლო შეთანხმების მიღწევა. ფრანკოს მოთხოვნათა ვრცელ სიას, ჰიტლერმა თავისი სიით უპასუხა. ამ სიაში შედიოდა კანარის კუნძულებზე გერმანული სამხედრო ბაზების განთავსება და ესპანეთში მოქმედი ინგლისური და ფრანგული ფირმების ქონების კონფისკაცია და გერმანიისათვის გადაცემა, როგორც საზღაური გერმანიის მიერ განუხლები დახმარებისა სამოქალაქო ომის დროს.⁴⁴ გერმანიამ მართლაც უდიდესი მატერიალური მხარდაჭერა გაუწია ფრანკოს სამოქალაქო ომის დროს, რომლის საერთო რაოდენობა 212 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენდა. ამ მოლაპარაკებებმა არანაირი შედეგი არ გამოიღო, ვინაიდან პირობები ყოვლად მიუღებელი იყო, როგორც ერთი, ისე მეორე მხარისათვის. ამიტომაც ომში არმონაწილეობა და ნეიტრალიტეტის შენარჩუნება ერთადერთი ალტერნატივა რჩებოდა ესპანეთისათვის. 1940 წლის ბოლოს ფრანკოს უკვე მტკი-

ცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ომში არმონანილეობა. ესპანურმა დიპლომატიამ დაიწყო გზების ძიება, რათა თუნდაც მინიმალურად მაინც შეესუსტებინა მჭიდრო კავშირები ბერლინთან, რომ ესპანეთი არ აღმოჩენილიყო ავტონმატურად ჩაბმული ომში გერმანიასთან ერთად. მიუხედავად ომში ოფიციალურად არმონანილეობისა, ფრანკომ გერმანელების დასახმარებლად მაინც გაგზავნა აღმოსავლეთის ფრონტზე ესპანელი მოხალისეების არმია, რომელთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 18. 000 შეადგენდა. ეს მოხალისეთა არმია, რომელიც ისტორიაში ცნობილია ცისფერი დივიზიის სახელით, ასევე 250-ე გერმანული დივიზიის სახელით, რუსეთის ფრონტზე მონანილეობას იღებდა 1941 წლიდან 1943 წლამდე. ფრანკოს სჯეროდა, რომ ლერძის სახელმწიფოები ომს მოიგებდნენ, და ესპანელ მოხალისეთა მცირე არმიის ომში გაგზავნა მას მიაჩნდა ყველაზე იოლ საშუალებად ესპანეთის კოლონიური პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად ომის შემდეგ.

1942 წელს ფრანკო უკვე აცნობიერებდა იმას, რომ ფაშისტები ომს აგებდნენ და მას თანდათანობით გაუქრა ომში „ლერძის“ სახელმწიფოების გამარჯვების რწმენა.⁴ ესპანეთის იმპერიული ამბიციები დროთა განმავლობაში დავინწყებას მიეცა და „ლერძის“ სახელმწიფოების ომში გამარჯვებაც უკვე არარეალური ჩანდა. ის უკვე ხედავდა, რომ ბრიტანელები და ამერიკელები შეტევაზე გადმოდიოდნენ და აფრიკაში ჯარების გადმოსასხმელად ემზადებოდნენ. ძალთა ბალანსი რადიკალურად შეიცვალა და გამარჯვების სასწორი მოკავშირეთა მხარეზე გადაიხარა, მას შემდეგ რაც ამერიკის შეერთებული შტატები ომში ჩაება და

1942 წლის ნომბერში მოკავშირეთა არმია კასაბლანკაში გამოჩნდა. მალე გავრცელდა „ჭორები“ და ხმები იმის შესახებ, რომ მოკავშირეები ევროპაში შეჭრას იბერიის ნახევარკუნძულის გავლით აპირებდნენ.¹⁹ ამიტომაც ფრანკომ გადაწვიტა პროფაშისტური პოლიტიკა ისევ ნეიტრალიტეტით შეეცვალა. 1943 წლის ნოემბერში ესპანეთმა გამოიყვანა ცისფერი დივიზია აღმოსავლეთის ფრონტიდან და ამით დაასრულა ფრანკოს თანამშრომლობა ნაცისტურ გერმანიასთან.⁵ მოკლედ რომ ვთქვათ ესპანეთმა ნეიტრალიტეტი შეინარჩუნა მხოლოდ ომის სანჯის (1939-1940) და ბოლო (1944-1945) ეტაპზე, როდესაც გაურკვეველი იყო გაიმარჯვებდა თუ არა ომში გერმანია. ფრანკო მზად იყო ომში ჩაბმულიყო 1940 წლის ოქტომბერში და 1942 წლის გაზაფხულზე, რასაც მას მოკავშირეები არასოდეს არ აპატიებენ. თუმცა ასევე აღსანიშნავია, რომ თუ ფრანკო ჭეშმარიტად ნეიტრალურ პოზიციას შეინარჩუნებდა, ამას შეიძლება გამოეწვია გერმანიის მიერ ესპანეთის ოკუპაცია 1940-1941 წლებში. ფრანკოს ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, რომ ის არ დაუბრუნდა ნამდვილი ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ამერიკის შეერთებული შტატების ომში ინტერვენციის შემდეგ, რასაც შეიძლება მისთვის დიდი ეკონომიური და პოლიტიკური სარგებელი მოეტანა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო თანამეგობრობამ გადაწყვიტა, რომ ესპანეთი იზოლაციაში მოექცია. ფრანკოს რეჟიმი გარიყეს ევროპის რეკონსტრუქციის პროცესებიდან და მარშალის გეგმის მატერიალური სარგებელი ესპანეთისთვის არ შეუთავაზებიათ.



ესპანეთი სამოქალაქო ომის დროს (1936-1939). მუქი ფერით აღნიშნულია ფაშისტების მიერ დაპყრობილი ტერიტორიები, ხოლო ღია ფერით – რესპუბლიკელების მიერ კონტროლირებული ზონები.



გენერალი ფრანკო სამხედრო-საზღვაო ძალების წინაშე სიტყვით გამოდის. 1938წ.



ფრანკო ესპანეთის სამოქალაქო ომში გამარჯვებას ზეიმობს.



Franco - Caudillo de España. ფრანკო – ესპანეთის „კაუდილო“ („მეთაური“).



ფრანკომ სამოქალაქო ომის დროს, 1937 წლის 26 აპრილს, ბასკური ქალაქი გერნიკა მიწასთან გაასწორა.



ფრანკოს დიქტატორული რეჟიმის დამყარების შემდეგ ესპანეთში შიმშილი მძვინვარებდა, პური ტალონებით იყიდებოდა.



ფრანკოს შეხვედრა ჰიტლერთან, ესპანეთ-საფრანგეთის საზღვართან. 1940 წლის 23 ოქტომბერი.



ფრანკო და ჰიტლერი. ორმა დიქტატორმა საერთო ენის გამონახვა ვერ შესძლო.



ფრანკო, ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რამონ სერანო სუნიერი და მუსოლინი.



ფრანკომ აღმოსავლეთის ფრონტზე ესპანური „ცისფერი დივიზია“ გაგზავნა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად.



ესპანური „ცისფერი ლეიზია“.



აღმოსავლეთის ფრონტზე 4954 „ცისფერი დივიზიის“ ჯარისკაცი დაიღუპა, 8700 დაიჭრა, ხოლო 372 ტყვედ ჩავარდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ესპანეთი გარეყული აღმოჩნდა არა მხოლოდ ევროპაში მიმდინარე პროცესებისაგან, არამედ მთელი დასავლეთის ცივილიზებული სამყაროსაგან. სასონარკვეთილი ფრანკო ცდილობდა რომ მისი რეჟიმისათვის ლეგიტიმურობა გაეზარდა, დაშორებოდა ფაშისტურ წარსულს და აქცენტი კათოლიციზმზე და კათოლიკური რელიგიის სიყვარულზე გაეკეთებინა. მან გადაწყვიტა, რომ მისი რეჟიმისთვის დამახასიათებელი ფაშისტური ელემენტები შეერბილებინა და თავისი ხელისუფლება წარმოეჩინა როგორც ანტიკომუნისტური ბასტიონი ევროპაში.⁴⁴ ესპანეთში ეკონომიკური სიტუაცია კრიტიკული იყო და ფრანკოს მომავალიც გაურკვეველი ჩანდა. მოგვიანებით ესპანეთის სოციალისტური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი,

ფერნანდო მორანი იტყვის, რომ ფრანკოს საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანი „რეჟიმის გადარჩენა და გენერალ ფრანკოსთვის ხელისუფლების შენარჩუნება“ იყო.¹ ამიტომაც ფრანკო ყოველმხრივ ცდილობდა გაეუმჯობესებინა დემოკრატიულ ქვეყნებში მისი რეჟიმის იმიჯი. მიუხედავად დიდი მცდელობისა ევროპული ქვეყნების უმეტესობა კვლავ ძალზედ მტრულად იყო განწყობილი ფრანკისტული რეჟიმის მიმართ. ესპანეთის ხელისუფლების მიმართ მტრული დამოკიდებულება გამონვეული იყო ფრანკოს მიერ ჩადენილი ცოდვებით: მან თავისი დიქტატურის დამყარება ესპანეთში „ლერძის“ სახელმწიფოების დახმარებით მოახერხა და მეორე მსოფლიო ომის დროს ის ფაშისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობდა. თუმცა ფრანკომ შესძლო განსაკუთრებული ურთიერთობების დამყარება სამხრეთ ამერიკის და არაბულ ქვეყნებთან, მის რეჟიმს დასავლეთის სახელმწიფოები არასოდეს თვლიდნენ სრულფასოვან პარტნიორად.³ 1946 წლის 1 მარტს საფრანგეთის ხელისუფლებამ ჩაკეტა ესპანეთ-საფრანგეთის საზღვარი და ამით ფრანკოს დაანახა, რომ მასთან ურთიერთობა არ სურდა. 1946 წლის 4 მარტს გამოქვეყნდა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და აშშ-ს მთავრობის ერთობლივი დეკლარაცია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ სანამ ფრანკო აგრძელებს ესპანეთის მართვას, ესპანელ ერს არ ექნება შესაძლებლობა დაამყაროს მეგობრული ურთიერთობა იმ ერებთან, რომლებმაც ერთობლივი ძალისხმევით დაამარცხეს გერმანული ნაციზმი და იტალიური ფაშიზმი.⁵⁴ ესპანეთს უარი უთხრეს ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განევრიანებებუე.

გაერომ დაგმო ფრანკოს დიქტატორული რეჟიმი და გადაწყვიტა ესპანეთის დიპლომატიურ იზოლაციაში მოქცევა. 1946 წლის 12 დეკემბერს მიღებული რეზოლუციით გადაწყდა, რომ ესპანეთი „გაეროს“ ყველა ორგანიზაციიდან გაეძევებინათ და მასთან დიპლომატიური ურთიერთობები გაენწყვიტათ. ამ რეზოლუციის შედეგად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა გაიწვიეს მადრიდიდან თავიანთი ელჩები. ესპანეთი არ მიიღეს არც ერთ იმ საერთაშორისო ორგანიზაციაში, რომელიც შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ესპანეთი პოლიტიკურ იზოლაციაში მოექცა, რის გამოც ძალზედ შეიზღუდა ქვეყნის როლი საერთაშორისო სისტემაში და ესპანეთის პოლიტიკურ ელიტასაც მოაკლდა საერთაშორისო პოლიტიკაში და მსოფლიო მოვლენებში მონაწილეობის გამოცდილება. ესპანეთმა ძალზედ ბევრი მტრები შეიძინა და ერთი შეხედვით ფრანკიზმის კრახი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ აქა-იქ მაინც გამოჩნდნენ დიქტატორული ქვეყნები, რომლებიც მეგობრულად იყვნენ განწყობილი ფრანკოს რეჟიმის მიმართ. მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა არგენტინა და პორტუგალია, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობდნენ ფრანკოს რეჟიმთან. ფრანკოს რეჟიმს შესანიშნავი ურთიერთობები ჰქონდა სალაზარის ავტორიტარულ, მემარჯვენე მთავრობასთან. ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს სალაზარი ლოჯისტიკურ დახმარებას უწევდა ესპანელ ფაშისტებს. 1942 წელს ხელშეკრულება დაიდო ესპანეთსა და პორტუგალიას შორის, რომელსაც იბერიის პაქტი ეწოდა. ეს იყო თავდაუსხმელობის პაქტი, რომელიც ძალაში დარჩა 1978 წლამდე. არგენტინაც

იმ მცირე სახელმწიფოთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელსაც შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდა ფრანკოს რეჟიმთან. არგენტინა ესპანეთს განსაკუთრებით დაუახლოვდა 1943 წელს პერონის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. არგენტინის მთავრობამ იგნორირება გაუწია გაეროს რეზოლუციას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ დაწესებულ აკრძალვას და თავისი ელჩი გააგზავნა მადრიდში იმ დროს, როცა სხვა ქვეყნებს გამოჰყავდათ თავიანთი წარმომადგენლები ესპანეთიდან.

იმ პერიოდში ფრანკოს რეჟიმის უმთავრესი მიზანი ესპანეთის იზოლაციის დასრულება იყო და მისი ინტეგრაცია როგორც ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში, ასევე მსოფლიო თანამეგობრობაში. ვითარება თანდათანობით ფრანკოს სასარგებლოდ იცვლებოდა.



ფრანკო და სალazarი.



ფრანკო და პერონი.



ფრანკო და აშშ-ის პრეზიდენტი აიზენჰაუერი.

ესპანეთმა საერთაშორისო იზოლაციისაგან თავის დაღწევა შესძლო არა ფრანკოს გენიოსობის წყალობით, არამედ ცივი ომით გამოწვეული დაპირისპირების შედეგად.² მას შემდეგ რაც ურთიერთობა კომუნისტურ და კაპიტალისტურ ბანაკებს შორის უკიდურესად დაიძაბა, ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ფრანკოს ანტიკომუნისტური განწყობა და ანტიბოლშევიკური რიტორიკა სულ უფრო და უფრო მისაღები გახდა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნამ, კო-

რეის ომმა და კომუნისტური რეჟიმების სწრაფმა გავრცელებამ როგორც ევროპაში, ასევე აზიაში, საერთაშორისო ვითარება ფრანკოსთვის კიდევ უფრო სასარგებლოდ შეცვალა. რაც უფრო მატულობდა დაპირისპირება ორ ანტაგონისტურ ბანაკს შორის და რაც უფრო იზრდებოდა აგრესია საბჭოთა კავშირის მხრიდან, ფრანკოს თავდაჯერებულობა მით უფრო მატულობდა. მას სჯეროდა, რომ ესპანეთი მალე გადაიქცეოდა ამერიკის შეერთებული შტატების ღირსეულ მოკავშირედ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში. ცივი ომის აქტიურ ფაზაში შესვლასთან ერთად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტა შეეცვალა მისი პოლიტიკა ესპანეთის მიმართ. ამ პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა აშშ-ის დაინტერესება ესპანეთით და პირინეის ნახევარკუნძულით, რომელიც თავისუფლად შეეძლო რომ გამოეყენებინა, როგორც ანტიკომუნისტური ბურჟი კონტინენტურ ევროპაში. 1949 წლისათვის აშშ-ს უკვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ესპანეთი ანტისაბჭოთა კოალიციის წევრად ექცია და მასთან ალიანსში შესულიყო. ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება აღიარებდა პირინეის ნახევარკუნძულის სტრატეგიულ მნიშვნელობას, რომელსაც დიდი სარგებლობა შეიძლება მოეტანა დასავლეთის ალიანსისათვის. ესპანეთის სტრატეგიულ მნიშვნელობას ზრდიდა მისი გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც წარმოადგენს დასავლეთის კარიბჭეს ხმელთაშუა ზღვაში, ამიტომაც ის აუცილებლად უნდა გამხდარიყო ამერიკის მიერ შექმნილი ანტისაბჭოთა ბლოკის წევრი.²⁰ ესპანეთი აღიქმებოდა როგორც მნიშვნელოვანი გეოგრაფიული

ზონა ხმელთაშუა ზღვის დასავლეთის ნაწილის გასაკონტროლებლად და ასევე როგორც მნიშვნელოვანი „უკანდასახევი“ გეოგრაფიული სივრცე დასავლეთ ევროპაზე საბჭოთა კავშირის თავდასხმის შემთხვევაში. ამიტომაც ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ დაიწყო ესპანეთთან პოლიტიკური და ეკონომიკური ერთიერთობების ნორმალიზება. აშშ-მა მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სამხედრო დახმარება შესთავაზა ესპანეთს მის ტერიტორიაზე საჰაერო და საზღვაო ბაზების განთავსების სანაცვლოდ. თუმცა ის ფინანსური დახმარება რაც ესპანეთს შესთავაზეს, უმნიშვნელო იყო იმასთან შედარებით, რასაც ბრიტანეთს და საფრანგეთს სთავაზობდნენ, ეს მაინც უზარმაზარ თანხად ითვლებოდა ესპანური სტანდარტების მიხედვით და ძალზედ მნიშვნელოვანი იყო გალატაკებულის ესპანეთის განვითარებისათვის. ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერდა ესპანეთის განვითარებას საერთაშორისო ორგანიზაციებში და უცხოეთის ელჩების ესპანეთში დაბრუნებას. 1950 წლის 4 ნოემბერს გაერომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ესპანეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას ითვალისწინებდა და უცხოელი ელჩების ესპანეთში დაბრუნების უფლებას იძლეოდა. 1955 წლის 14 დეკემბერს ესპანეთი გახდა გაეროს სრული წევრი. 1951 წელს აშშ-მა აღადგინა სრული დიპლომატიური ურთიერთობები ესპანეთთან. საერთაშორისო იზოლაცია დასრულდა, რაც ესპანეთის სტრატეგიული მნიშვნელობით იყო გამოწვეული: ესპანეთს შეეძლო ძალზედ დიდი როლი ეთამაშა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შექმნილ თავდაცვის სისტემაში.¹⁹

ფრანკოს რეჟიმის გაძლიერება გამოიწვია 1953 წელს დადებულმა ორმა ხელშეკრულებამ: ვატიკანთან კონკორდატის ხელმოწერამ და მადრიდის პაქტმა. ვატიკანთან დადებულმა ახალმა ხელშეკრულებამ უზრუნველყო ფრანკოს რეჟიმის აღიარება კათოლიკური ეკლესიის მიერ და გაზარდა მისი ლეგიტიმურობა ესპანელი კათოლიკების თვალში. 1953 წლის კონკორდატმა ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ესპანეთის საერთაშორისო იზოლაციიდან გამოყვანაში. ხელშეკრულება ხაზს უსვამდა ესპანეთის სახელმწიფოს კონფესიურ ბუნებას. რომაული კათოლიციზმი აღიარებულ იქნა როგორც ერთადერთი სახელმწიფო რელიგია.¹⁷ ხელშეკრულება უფრო მომგებიანი ვატიკანისათვის იყო, ვიდრე ფრანკოსთვის. მან კათოლიკურ ეკლესიას განსაკუთრებული პრივილეგიები მიანიჭა და ეკლესიის კონტროლს დაუქვემდებარა მნიშვნელოვანი სფეროები, განსაკუთრებით განათლება და მასმედია, რომელსაც ადრე სახელმწიფო აკონტროლებდა. ამ ხელშეკრულებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ეკლესიის დამოუკიდებლობა ესპანეთში: ეკლესია განთავისუფლდა გადასახადებისაგან, მას მიეცა უფლება, რომ განეხორციელებია ცენზურა ნებისმიერ სფეროში; მის უფლებებში შედიოდა ასევე უნივერსიტეტების დაარსების უფლება და ჟურნალ-გაზეთების გამოცემის უფლება. მიუხედავად ამისა კონკორდატი ძალზედ სასარგებლო დოკუმენტი აღმოჩნდა ესპანეთის ხელისუფლებისთვისაც, ვინაიდან მან გაზარდა რეჟიმის ლეგიტიმურობა და საშუალება მისცა ფრანკოს, რომ უფრო ეფექტურად ემართა ქვეყანა. ამ ხელშეკრულებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ფრანკოს იმიჯი

როგორც ესპანეთში, ასევე საზღვარგარეთ.²¹

ფრანკოს რეჟიმის რეაბილიტაციაში ასევე ძალიან დიდი როლი ითამაშა მადრიდის პაქტმა, რომელსაც ხელი მოეწერა მას შემდეგ, რაც გაფორმდა კონკორდატი ვატიკანთან. ეს იყო თავდაცვის პაქტი, რომელმაც ძალზედ დიდი როლი ითამაშა ესპანეთის საერთაშორისო იზოლაციიდან გამოყვანაში. ამ ხელშეკრულების დადება მოასწავებდა ახალ ერას ქვეყნისათვის და ესპანეთის ნეიტრალიტეტის დასასრულს. პაქტი მოიცავდა სამ სხვადასხვა ხელშეკრულებას, რომელიც ავალდებულებდა ამერიკის შერთებულ შტატებს, რომ ეკონომიკური და სამხედრო დახმარება გაენია ესპანეთისათვის. სანაცვლოდ აშშ-ს უფლება ჰქონდა საჰაერო და საზღვაო ბაზები აეგო და გამოეყენებინა ესპანეთის ტერიტორიაზე. თუმცა პაქტი არ წარმოადგენდა სრულფასოვან სამხედრო ალიანსს, ის მაინც ავალდებულებდა ამერიკის შერთებულ შტატებს, რომ ხელი შეეწყო ესპანეთის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისათვის. აშშ-მა კოლოსალური თანხები გაიღო ესპანეთის სამხედრო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. გარდა ამისა პაქტი ესპანეთს ძალზედ საჭირო ეკონომიკურ დახმარებას სთავაზობდა და მისი მეშვეობით დაიწყო ესპანეთის ეკონომიკის ნელი, ეტაპობრივი გაუმჯობესება.¹⁹

მადრიდის პაქტი განასახიერებდა ესპანეთის ნეიტრალიტეტის დასასრულს და ხელს უწყობდა ესპანეთის ინტეგრაციას დასავლეთის თავდაცვის სისტემაში. ამავე დროს ამ პაქტმა ესპანეთი ძალზედ დამოკიდებული გახადა მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოზე. ეს დამოკიდებულება იმ დონემდე გაიზარდა,

რომ ბევრი ესპანელი შიშობდა, რომ ქვეყნის სუვერენიტეტს საფრთხე შეექმნა.² მაგრამ ფრანკო მზად იყო მისი რეჟიმის გადარჩენის სანაცვლოდ ეს საფასური გაეღო. ყოველივე ამის შემდეგ გენერალი დარწმუნებული იყო, რომ მის მონინალმდეგეებს დასავლეთის მხარდაჭერა აღარ ექნებოდათ და ახლა უკვე შეეძლო რომ მშვიდად ყოფილიყო. ამრიგად აშშ-მა ხელი შეუწყო ფრანკოს რეჟიმის გაძლიერებას. როგორც ფილიპე გონსალესმა თქვა: „ამერიკა დაეხმარა ევროპას, რომ განთავისუფლებულიყო ფაშიზმისაგან, მაგრამ ის არათუ არ დაეხმარა ესპანეთს, არამედ ის დიდი ხანი დიქტატორულ რეჟიმს მიაჯაჭვა“¹.

1950 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ შეცვალა თავისი პოზიცია ფრანკოს რეჟიმის მიმართ და ნება დართო გაერთიანებული ერების ოგანიზაციის წევრ ქვეყნებს, რომ აღედგინათ დიპლომატიური ურთიერთობები ესპანეთთან. 1952 წელს ესპანეთი იუნესკოში, ხოლო 1955 წელს გაეროში მიიღეს. ესპანეთის განწევრიანება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ფრანკოს რეჟიმის საერთაშორისო იზოლაციაიდან თავის დაღწევას ნიშნავდა. თანდათანობით ქვეყნებმა, რომლებიც თავს იკავებდნენ ესპანეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას, დაიწყეს მასთან კავშირების აღდგენა. მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობამ შესწავიჭა ფრანკოს რეჟიმთან მტრობა და მასთან დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა. თუმცა ამერიკელები დაუღალავად ცდილობდნენ ესპანეთის ინტეგრაციას ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში, ფრანკოს რეჟიმის მიმართ ზიზღი მაინც დიდხანს შენარჩუნდა, ევროპაში.⁴ ნა-

ტოს წევრი დასავლეთ ევროპის ქვეყნები ესპანეთის ნატოში განწევრიანების წინააღმდეგი იყვნენ და ბლოკავდნენ მის მცდელობას, რომ გამხდარიყო ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი. ევროპაში კვლავ ახსოვდათ მეორე მსოფლიო ომი და ესპანეთის კოლაბორაცია ფაშისტურ რეჟიმებთან. ესპანეთის მცდელობა, რომ გამხდარიყო ევროპის გაერთიანების წევრი, ასევე უშედეგოდ მთავრდებოდა. ფრანკოს რეჟიმის მიმართ უნდობლობა დიდხანს შენარჩუნდა ევროპაში და ევროპელი ლიდერების უმეტესობა დიდი ხნის განმავლობაში ეწინააღმდეგებოდა ესპანეთის ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში ინტეგრაციას, 1975 წლის შემდეგაც კი, როდესაც უკვე ფრანკო ცოცხალი აღარ იყო. მათი წინააღმდეგობის გამო ესპანეთს ძალიან დიდი დრო დასჭირდა ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისათვის.¹⁸

ესპანეთმა ევროპასთან დაახლოება პირველად 1962 წლის თებერვალში სცადა, როდესაც ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფერნანდო მარია კასტიელამ წერილი გაუგზავნა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას, რომელშიც ის მოითხოვდა მოლაპარაკებების დაწყებას თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმების განხილვის თაობაზე. ფრანკოს ფაშისტურ რეჟიმსა და ევროპის ლიბერალურ-დემოკრატიულ პრინციპებს შორის ფუნდამენტური შეუთავსებლობა, რაიმე შეთანხმების მიღწევას ესპანეთსა და ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას შორის შეუძლებელს ხდიდა. მხოლოდ დიდი ხნის მოლაპარაკებებისა და ლოდინის შემდეგ, 1970 წელს გადაწყდა ხელშეკრულების გაფორმება პრეფერენციული ვაჭრობის თაობაზე,

რამაც მნიშვნელოვნადად დაწია ბარიერები და ტარიფები ესპანეთსა და ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრ ქვეყნებს შორის.

თუმცა პრეფერენციალური ვაჭრობის თაობაზე ხელშეკრულების დადება ურთიერთობების დათბობას მოასწავებდა, ესპანეთის ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში განწევრიანება გადაუწყვეტელი საკითხი რჩებოდა ფრანკოს მთელი მოღვაწეობის განმავლობაში. ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მიღმა დარჩენამ უდიდესი ეკონომიკური ზარალი მიაყენა ესპანეთს. ესპანეთის ევროპაში განწევრიანება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაიწყება დემოკრატიზაციის პროცესი ქვეყანაში.¹⁹

ევროპაში თავის წარუმატებლობა რომ დაეფარა, ესპანეთის ხელისუფლება შეეცადა ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური პროფილის გაუმჯობესებას ლათინურ ამერიკაში. თანამედროვე სატრანსპორტო და საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებამ ხელი შეუწყო ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებს შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას 1950-იან წლებში. გაიზარდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ესპანეთსა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებს შორის. 1960-იან და 1970-იან წლებში დაიწყო ესპანეთის სწრაფი ეკონომიკური განვითარება, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა ესპანეთის იმიჯი ლათინურ ამერიკაში და გამოიწვია მისი როლის გაზრდა ამ რეგიონში.²² 1965 წელს ესპანეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ის ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის ერთი მილიარდი დოლარის კრედიტის გამოყოფას აპირებდა. ეს კრედიტი იბერო-ამერიკული

ქვეყნების განვითარებისათვის იყო განკუთვნილი. 1966 წელს სამხრეთ ამერიკის ქვეყნებზე მოდიოდა ესპანეთის ექპორტის 17 პროცენტი, რაც მოწმობს ესპანეთის დიდ ეკონომიკურ წარმატებას იმ პერიოდში.² იმისათვის რომ ლათინურ ამერიკაში უფრო აქტიური როლი ეთამაშა, ესპანეთი შეეცადა განეწვინებულყო ისეთ ორგანიზაციებში, როგორცაა ლათინური ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (Latin American Free Trade Association (CEPAL)) და ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაცია (Organization of American states (OEA)). ესპანეთის ხელისუფლების საბოლოო მიზანი იბერო-ამერიკული საერთო ბაზრის შექმნა იყო, რაც გამოინგვედა ესპანეთის იმიჯის გაუმჯობესებას ევროპაში და გაზრდიდა მის შანსს, რომ გამხდარიყო ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრი. ესპანეთს უნდოდა შეესრულებინა „ხიდის ფუნქცია“ ევროპასა და ლათინურ ამერიკის ქვეყნებს შორის. იდეა იმისა, რომ ესპანეთი უნდა გამხდარიყო ხიდი ევროპასა და იბეროამერიკულ ქვეყნებს შორის, ეკუთვნის საგარეო საქმეთა მინისტრს, ფერნანდო მარია კასტიელას, რომელიც ცდილობდა ესპანეთის განეწვინებებას ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში.

ესპანეთი ასევე ცდილობდა გაეძლიერებინა კავშირები არაბულ სამყაროსთან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მას განეწყვიტა ჰქონდა ურთიერთობები მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებთან. იმისათვის რომ თავი დაეღწია საერთაშორისო იზოლაციისათვის, ფრანკომ გადაწყვიტა, რომ დაემყარებინა ურთიერთობები ისლამურ ქვეყნებთან როგორც ახლო აღმოსავლეთში, ასევე მსოფლიოს სხვა რეგიონებში⁴

ფრანკოს მჭიდრო კავშირები ჰქონდა ესპანეთის მეზობელ მაჰმადიანურ სამყაროსთან, როდესაც ის იბრძოდა მაროკოში. ომის შემდგომ პერიოდში, ის განსაკუთრებით ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ესპანეთისათვის საკუთარი პოზიციების განმტკიცებას არაბულ სამყაროში. ესპანეთს ისტორიული კავშირები გააჩნდა ისლამურ ცივილიზაციასთან და, რაც ყველაზე მეტად აღსანიშნავია, ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს ფრანკოს მხარეზე მაროკოელი დაქირავებული მეომრებიც იბრძოდნენ. ფრანკო ცდილობდა რომ ესპანეთი გამხდარიყო ხიდი არაბულ სამყაროსა და ევროპას შორის. ესპანეთს, არაბულ სამყაროსთან კულტურული, პოლიტიკური და გეორგაფიული სიახლოვის გამო, ყველაზე კარგად შეეძლო შეესრულებინა ხიდის როლი, ან თუნდაც შუამავლის როლი არაბებსა და ევროპელებს შორის. ასეთი როლის შესრულების შემთხვევაში მადრიდს შეეძლო მოეპოვებინა არა მხოლოდ დიდი პრესტიჟი მსოფლიოში, არამედ ასევე გაეზარდა თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლება.

მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთი კოლონიური ქვეყანა იყო და დაპყრობილი ჰქონდა ტერიტორიები ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში, ურთიერთობები ესპანეთსა და არაბულ ქვეყნებს შორის მაინც გაუმჯობესდა 1940-იანი წლებში, რაც გამონვეული იყო იმით, რომ ესპანეთმა არ აღიარა ისრაელი. იმისათვის რომ კარგი ურთიერთობები შეენარჩუნებინა ისლამურ ქვეყნებთან ესპანეთმა დაიკავა პროარაბული პოზიცია ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებში. რამოდენიმე ათწლეულის განმავლობაში ესპანეთი ერთადერთი

სახელმწიფო რჩებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან, რომელიც უარს ამბობდა რომ ელიარებინა ისრაელი. (ესპანეთმა დიპლომატიური ურთიერობები ისრაელთან მხოლოდ 1986 წელს დაამყარა). ფრანკოს მმართველობის დროს ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ენვია ახლო აღმოსავლეთს და ეკონომიკისა და კულტურის სფეროში ხელშეკრულებები გააფორმა არაბულ ქვეყნებთან. ამის საპასუხოდ არაბულმა ქვეყნებმა კეთილგანწყობილი პოზიცია დაიკავეს ესპანეთის მიმართ და მისი ტერიტორიული პრეტენზიების მიმართ მაროკოში. მიუხედავად ამისა ესპანეთს მაინც მოუწია თავისი პოზიციების დათმობა ჩრდილოეთ აფრიკაში. როდესაც მაროკომ დამოუკიდებლობა მოიპოვა საფრანგეთისაგან 1956 წლის 2 მარტს, ფრანკომ სათანადოდ ვერ შეაფასა პოლიტიკური სიტუაცია და ამ მოვლენის მნიშვნელობა ესპანური სექტორისათვის. მას შემდეგ რაც მაროკოელმა ნაციონალისტებმა წარმატებას მიაღწიეს ფრანგული კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ყურადღება ესპანურ სექტორზეც გადაიტანეს და ესპანელებს არანაირი შესაძლებლობა არ დაუტოვეს, რომ შეენარჩუნებინათ თავიანთი ზონა ჩრდილოეთ აფრიკაში.²⁰

მალე ესპანეთის ზონაში საყოველთაო აჯანყება დაიწყო და ჩრდილოეთ აფრიკაში განვითარებულმა მოვლენებმა ფრანკო იძულებული გახადა დათმობებზე წასულიყო. ფრანკოს ყველაზე დიდი მორალური დარტყმა მიაყენა იმ ფაქტმა, რომ ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწია სულთან მუჰამედ მეხუთესთან გამართულ მოლაპარაკებებში, რომელიც სპეციალურად ეწვია ფრანკოს მადრიდში. მაროკოსთან ხანგრძლი-

ვი კონფლიქტების შემდეგ ესპანეთმა პრაქტიკულად დაკარგა ყველა კოლონიური ტერიტორიები 1960-იან წლებში. 1969 წელს იფნის ტერიტორია შეუერთდა მაროკოს, ხოლო შემდეგ ესპანეთის საჰარაც მაროკოს სამეფოს ნაწილი გახდა. როდესაც მაროკოს მეფემ მუჰამედ მეხუთემ პრეტენზიები განაცხადა ესპანეთის საჰარაზე 1958 წელს, ესპანეთის ხელისუფლებისაგან მან კატეგორიული უარი მიიღო. ფრანკოს რეჟიმი კატეგორიული წინააღმდეგი იყო, რომ დაეთმო ეს ტერიტორია მაროკოსათვის, მაგრამ 1975 წელს მაროკომ თოფის გასროლის გარეშე, სრულიად უბრძოლველად მოახდინა დასავლეთ საჰარის ანექსია. 1975 წლის 6 ნოემბერს დაახლოებით 350.000 შეუიარაღებელი მაროკოელი შეიჭრა ესპანეთის საჰარის ტერიტორიაზე და სრულიად უსისხლოდ დაიპყრო ეს ტერიტორია. ესპანეთმა უომრად დაუთმო მაროკოსა და მავრიტანიას დასავლეთ საჰარა. ესპანეთის ხელისუფლებამ ვერ შეძლო მაროკოსთან მიმართებაში სწორი და თანმიმდევრული პოლიტიკის შემუშავება, ვინაიდან ხელისუფლების წარმომადგენლები არასწორ დასკვნებს აკეთებდნენ და ფიქრობდნენ, რომ მაროკოს მხრიდან აშკარა აგრესიის შემთხვევაში ალჟირი და მავრიტანია ესპანეთის მხარეს დაიკავებდა. ფრანკოს მმართველობის ბოლო პერიოდში ესპანეთმა ჩრდილოეთ აფრიკაში მხოლოდ ხმელთაშუაზღვისპირას მდებარე ორი პატარა ქალაქის, სეუტას და მელიიას შენარჩუნება შესძლო და ერთი მომცრო კლდის, პენიონ დე ველეს გომერასი, რომელზეც ესპანეთის სამხედრო გარნიზონია განთავსებული.

ესპანეთის საგარეო პოლიტიკაში ასევე ძალიან

დიდი ადგილი ეკავა გიბრალტარს, რომლის დაბრუნებაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ინგლის-ესპანურ ურთიერთობებში. მიუხედავად იმისა რომ გიბრალტარის დაბრუნება პრინციპული საკითხია ესპანეთისათვის, ფრანკოს ხელისუფლებაში ყოფნის დროს ბრიტანეთთან დავა გიბრალტარზე განზრახ მინელდა 1940-1950-იან წლებში, რათა ამ საკითხს ხელი არ შეეშალა ფრანკოსთვის დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან დაახლოების საქმეში. 1960-იან წლებში, როდესაც ესპანეთს უკვე აღდგენილი ჰქონდა დიპლომატიური ურთიერთობები დასავლეთის ქვეყნებთან, გიბრალტარის დაბრუნება კვლავ აქტუალური საკითხი გახდა, რის გამოც ძალზედ დაიძაბა ურთიერთობები ესპანეთსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის. 1963 წელს ფერნანდო მარია კასტიელამ გიბრალტარის საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განსახილველად წარადგინა. ამის შემდეგ გაერომ მიიღო გადაწყვეტილება დაწყებულიყო ორმხრივი მოლაპარაკებები, რაც საბოლოო ჯამში გამოინვევდა ამ ტერიტორიის მიერთებას ესპანეთთან. 1964 წელს ინგლისმა დაიწყო გიბრალტარისათვის ახალი კონსტიტუციის შექმნა, რამაც მადრიდის გალიზიანება გამოიწვია. ესპანეთის ხელისუფლებამ კვლავ გაეროს სპეციალურ კომიტეტს მიმართა და გააპროტესტა ინგლისის ცალმხრივი ქმედებები, რაც მისი აზრით უტრეხტის ზავის უხეში დარღვევა იყო. უტრეხტის ხელშეკრულების თანახმად, რომელიც გაფორმდა 1713 წელს, გიბრალტარის სტატუსის ნებისმიერი ცვლილება შეთანხმებული უნდა ყოფილიყო ესპანეთის ხელისუფლებასთან. 1967 წლის 19 დეკემბერს

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომ გიბრალტარის „კოლონიური მდგომარეობა“ უნდა გაუქმებულიყო. რეზოლუცია ითვალისწინებდა რეფერენდუმის ჩატარებას, რათა მხარეებს ერთხელ და სამუდამოდ მოეგვარებინათ „გიბრალტარის პრობლემა.“⁶¹

ესპანეთის ხელისუფლება გიბრალტარს ყოველთვის ესპანეთის შემადგენელ ნაწილად განიხილავდა და ამიტომაც მოითხოვდა მის დაბრუნებას, მაშინ როდესაც ბრიტანელები თვლიდნენ, რომ ქალაქის ადგილობრივ მაცხოვრებლებს თავად უნდა გადაეწყვიტათ გიბრალტარის ბედი. გიბრალტარის ჰეტეროგენული მოსახლეობის ცხოვრების დონე გაცილებით მაღალი იყო ესპანეთის მოსახლეობის ცხოვრების დონესთან შედარებით, ამასთანავე გიბრალტარში არსებობდა დემოკრატიული ადგილობრივი თვითმმართველობა და გიბრალტარელები თავიანთ საშინაო საქმეებს თვითონ განაგებდნენ, ამიტომაც არ იყო გასაკვირი ის ფაქტი, რომ 1967 წლის რეფერენდუმში მათ ერთსულოვნად მხარი დაუჭირეს ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩენას.¹⁹ ამ გადანყვეტილებით გაგულისებულმა ფრანკომ გიბრალტარის იზოლაციაში მოქცევა გადაწყვიტა. როგორც მან განაცხადა გიბრალტარი აუცილებლად დაეცემოდა, როგორც „ეცემა ხიდან მწიფე ხილი.“ სინამდვილეში მისი გადანყვეტილება, რომ ჩაეკეტა საზღვარი გიბრალტართან, გამოუსწორებელი შეცდომა აღმოჩნდა, ვინაიდან ამან სამუდამოდ დააცალკევა და დააშორა გიბრალტარი და ესპანეთი ერთმანეთს და უფრო გაამძაფრა გიბრალტარელების ნეგატიური დამოკიდებულება ესპანელების

მიმართ. ნებისმიერი მოლაპარაკება და დაახლოების მცდელობა უშედეგოდ მთავრდებოდა, სანამ ესპანეთი დემოკრატიზაციის გზას არ დაადგა.¹

თუმცა ფრანკომ ბევრი ტაქტიკური შეცდომა დაუშვა, მან თავის მთავარ მიზანს მაინც მიაღწია: მან შესძლო რომ ქვეყანა სრული იზოლაციიდან გამოეყვანა და მჭიდრო ურთიერთობები დაამყარა მსოფლიოს ბევრ ძლიერ და ცივილიზებულ სახელმწიფოსთან.⁴ ფრანკომ ესპანეთი მსოფლიო პოლიტიკაში უფრო მნიშვნელოვან ძალად აქცია და მან ყველაფერ ამას მიაღწია მის ხელთ არსებული მწირი რესურსების საშუალებით. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფრანკო გენიოსი იყო და ის დიდი ინტელექტუალური თვისებებით გამოირჩეოდა. მისი პოლიტიკური იდეოლოგია მოკლებული იყო ყოველგვარ ინტელექტუალურ სიღრმეს. ამასთანავე გასათვალისწინებელია ფრანკოს სრული უვიცობა და სიბეცე ქვეყნისათვის ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორც არის ეკონომიკა. ფრანკომ თავისი არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით, რომელიც ცნობილია ავტარკიის სახელით, ესპანეთი დიდ გასაჭირში ჩააგდო და უზარმაზარი მატერიალური ზარალი მიაყენა ქვეყანას. ათწლეულების განმავლობაში ესპანეთის მოსახლეობა იტანჯებოდა და შიმშილობდა, სანამ ფრანკო არ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ავტარკია დამღუპველი იყო ქვეყნისათვის. ქვეყანაში შექმნილი ძალზედ რთული ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ის იძულებული გახდა უარი ეთქვა ავტარკიის პოლიტიკაზე და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ უმჯობესი იყო ეკონომიკის განვითარებაზე მის მინისტრებს ეზრუ-

ნათ. ფრანკოს ამასთანავე სჩვეოდა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რეალობის იგნორირება და ხშირად ზედმეტად აფასებდა ქვეყნის შესაძლებლობებს და პოტენციალს. ის ხშირად ღრუბლებში დაფრინავდა და მეორე მსოფლიო ომის დროს მიაბიჭურად სჯეროდა, რომ ესპანეთი კვლავ იმპერიულ სახელმწიფოდ გადაიქცეოდა. ფრანკოს იმპერიული ოცნებები მალე გაქრა მას შემდეგ, რაც „ლერძის“ სახელმწიფოებმა ომში დამარცხება იწვნიეს. მან ვერ მოახერხა თავისი ყველაზე დიდი ოცნების ასრულება: ვერ შესძლო, რომ ესპანეთი კვლავ ზესახელმწიფოდ ექცია. მას არ შეეძლო ამის განხორციელება, ვინაიდან მას არც დიდი ინტელექტი და არც მატერიალური შესაძლებლობები გააჩნდა, რომ მსოფლიო მოვლენები ამ მიმართულებით შეეცვალა.

2. ესპანეთის საგარეო პოლიტიკა ბარდამავალი პერიოდის დროს (1975–1982)

1975 წელს ფრანკოს გარდაცვალება მოასწავებდა ესპანეთის იზოლაციის დასასრულს. 1975 წლიდან მოყოლებული ქვეყანაში ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება თანდათანობით გაუმჯობესდა და ესპანეთმა შესძლო თავისი პოზიციების განმტკიცება მსოფლიო არენაზე. ხელისუფლება დემოკრატიული რეფორმების გატარების გზას დაადგა და დიდი ძალისხმევით ცდილობდა დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას ქვეყანაში. ავტორიტარული პოლიტიკური სისტემიდან დემოკრატიაზე გადასვლა, რომელიც დაიწყო 1975 წელს და 1982 წლამდე გაგრძელდა, მშვიდობიანად, ეტაპობრივად განხორციელდა, ყოველგვარი ექსცესებისა და კონფლიქტების გარეშე. (ერთადერთ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ხელისუფლების გადატრიალების მცდელობა 1981 წლის 23 თებერვალს.) ამ პერიოდში ესპანეთის საგარეო პოლიტიკა დიდი ინტენსივობით არ გამოირჩეოდა, ვინაიდან უფრო მეტი ყურადღება ეთმობოდა დემოკრატიული სისტემის მშენებლობას და საშინაო რეფორმებს. როგორც დასავლეთში ასევე ესპანურ საზოგადოებაში მუსირებდა აზრი, რომ თუ დემოკრატიული რეფორმები რეალურად არ განხორციელდებოდა ცხოვრებაში, ეს გამოინვევდა არა მარტო არეულობებს ქვეყნის შიგნით, არამედ ასევე ესპანეთის საერთაშორისო რეპუტაციის კიდევ უფრო გაუარესებას. ასეთ შემთხვევაში ესპანეთს არ უნდა ჰქონოდა იმედი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან დაახლოებისა და ურთიერთობების გაღრმავებისა. თუ

ესპანეთი რეალურად არ დაშორდებოდა ავტორიტარიზმს და ფრანკისტულ წარსულს, მას არ ექნებოდა დასავლეთის მხარდაჭერა. აუცილებელი იყო იმ ფორმალური ბარიერების მოხსნა, რაც ხელს უშლიდა ქვეყნის ნატოსა და ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში გაწევრიანებას. ამიტომაც ესპანეთის ხელისუფლების მთელი ძალისხმევა იყო მიმართული საშინაო რეფორმების გატარებისაკენ.⁵⁵

1969 წელს ფრანკომ თავის მემკვიდრედ და სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე ხუან კარლოსი დაასახელა. დიქტატორის გარდაცვალების შემდეგ ესპანეთში მონარქია აღდგა და ხუან კარლოსი 1975 წლის 22 ნოემბერს ესპანეთის მეფე გახდა. გამეფებამდე მას ესპანეთის პარლამენტში ფიცი დაადებინეს, რომ მუდამ ფრანკოს ერთგული იქნებოდა. ფიცის დადებას მნიშვნელოვნად შეზღუდა მისი მანევრირების თავისუფლება. ეს იმას ნიშნავდა, რომ თუ მეფე მოისურვებდა ქვეყანაში არსებული დიქტატორული რეჟიმის გაუქმებას, მას შეეძლო მხოლოდ ფრანკოს მიერ დადგენილი წესებით ემოქმედა. ხელისუფლებაში ყოფნის დროს ფრანკო იყო როგორც მთავრობის, ასევე სახელმწიფოს მეთაური, მაგრამ თავისი მმართველობის ბოლო წლებში, 1973 წელს მან გადაწყვიტა, რომ მთავრობის მეთაურის პოსტი დაეთმო ადმირალ ლუის კარერო ბლანკოსთვის, რომლის ერთგულებაში მას ეჭვი არ ეპარებოდა. ფრანკო იმედოვნებდა, რომ კარერო ბლანკო, რომელიც ძალზედ მოქნილი პოლიტიკოსი იყო, ხუან კარლოსის ტახტზე ასვლის დროსაც ხელისუფლებაში იქნებოდა და მას გარკვეულწილად გააკონტროლებდა. მთავრობის მეთაურის პოს-

ტის დაკავებიდან ექვსი თვის შემდეგ, 1973 წლის 20 დეკემბერს კარერო ბლანკო ბასკმა ტერორისტებმა მოკლეს. კარეროს მკვლელობამ მეფეს უფრო მეტი პოლიტიკური მანევრირების საშუალება მისცა და ძალზედ გაზარდა მისი თავისუფლად მოქმედების ხარისხი. ლუის კარერო ბლანკო რომ ცოცხალი ყოფილიყო, დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობა მას, რა თქმა უნდა, არ ექნებოდა¹⁶. მეფე გახდა ერთ-ერთი მთავარი რეფორმატორი. მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ფრანკოს პირსისხლიანი დიქტატურის გაუქმებაში და დემოკრატიული რეფორმების გატარებაში.³⁶ ხუან კარლოსმა პროევროპული კურსი აირჩია და მიზნად დაისახა ესპანეთის ინტეგრაცია ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში. 1975 წლის 22 ნოემბერს, მეფედ კურთხევის დროს მან საჯაროდ განაცხადა: „ევროპამ ანგარიში უნდა გაუწიოს ესპანეთს, ჩვენ ესპანელები ევროპელები ვართ.“ საერთაშორისო თანამეგობრობა და აშშ ღიად უჭერდა მხარს ესპანეთის მეფის მისწრაფებებს დაეწყო ლიბერალიზაციისა და დემოკრატიზაციის პროცესი ესპანეთში.⁵⁵

ქვეყნის სწრაფი ინკორპორაცია საერთაშორისო თანამეგობრობაში შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც გატარდა დემოკრატიული რეფორმები ქვეყანაში და საფუძველი ჩაეყარა ახალ დემოკრატიულ სისტემას. თუმცა გზა დემოკრატიისაკენ არ იყო ია-ვარდებით მოფენილი და ბევრ დაბრკოლებებს აწყდებოდა. ერთის მხრივ ხელისუფლების ორგანოები კვლავ ფრანკოს მხარდამჭერებით და ფალანგისტებით იყო სავსე, რომელთაც წარსულთან განშორება არ ენადათ. მათ სურდათ ფრანკოს დროინდელი ინსტიტუტებისა

და კანონების შენარჩუნება. მეორეს მხრივ, ფრანკოს მონინალმდეგეებს სურდათ ყველა, ფრანკოს მიერ შექმნილი ინსტიტუტების გაუქმება და დროებითი მთავრობის ჩამოყალიბება. იმ დროს არსებული და-
ძაბული პოლიტიკური სიტუაციის განმუხტვაში ძალ-
ზედ დიდი წვლილი მიუძღვის ესპანეთის მეფეს ხუან
კარლოს პირველს. ხუან კარლოს პირველმა, რო-
გორც მთავარმა რეფორმატორმა, გამოიჩინა დიდი
სიფრთხილე და გადაწყვიტა, რომ პირდაპირ არ დაპი-
რისპირებოდა ფრანკოს მომხრეებს და მათი საშუალებით
გაეტარებინა რეფორმები. ფრანკისტებს მხარს
უჭერდნენ ესპანეთის შეიარაღებული ძალები და
სამხედროები და მათთან დაპირისპირებას შეიძლება
სამოქალაქო ომი გამოენვიო. სწორედ ამიტომ მეფე
ხშირად პრემიერ-მინისტრის პოსტზე და მაღალ თა-
ნამდებობებზე ფრანკოს რეჟიმის წარმომადგენლებს
ნიშნავდა, მაგრამ მათი დახმარებით ახორციელებდა
დემოკრატიულ რეფორმებს. მეფის მიერ დანიშნული
პრემიერ მინისტრები, როგორც არიას ნავარო, ასევე
ადოლფო სუარესი ფრანკოს სახელისუფლებო წრიდან
იყვნენ გამოსული, მაგრამ ხუან კარლოსი იძულებული
იყო დათმობებზე წასულიყო, რათა სამხედრო გადატ-
რიალება თავიდან აეცილებინა.⁴⁴

არიას ნავარო, რომელიც ფრანკოს დროს იყო მთავ-
რობის თავმჯდომარე, 1975 წლის დეკემბერში მეფის
მიერ დანიშნულ იქნა პრემიერ-მინისტრის პოსტზე.
არიას ნავარო ძალზედ ხისტ პოლიტიკას ატარებდა,
ენინალმდეგებოდა ყოველგვარ ცვლილებებს და
ჯიუტად მოითხოვდა ფრანკიზმის და ფრანკისტული
ინსტიტუტების შენარჩუნებას ქვეყანაში. მას მალე

ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. 1976 წელს ესპანელი ხალხი ქუჩაში გამოვიდა და ფართომასშტაბიანი დემონსტრაციების მოწყობა დაიწყო. ხალხი და ოპოზიცია მოითხოვდა პოლიტიკური რეფორმების გატარებას და პოლიტპატიმრების განთავისუფლებას. მეფე უკმაყოფილი იყო არიასის ხისტი პოლიტიკით, ხედავდა რომ მისი ხელისუფლებაში დარჩენის შემთხვევაში პოლიტიკური რეფორმების გატარება შეუძლებელი იქნებოდა და ამიტომაც მოითხოვა მისი თანამდებობიდან გადაყენება. 1976 წლის ივლისში არიას ნავარო პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გადადგა და მის ნაცვლად მეფემ ამ თანამდებობაზე დანიშნა 43 წლის ადოლფო სუარესი, რომელიც ასევე ფრანკოს სახელისუფლებო წრიდან იყო გამოსული, მაგრამ ის გაცილებით უფრო მოქნილი და წინდახედული პოლიტიკოსი აღმოჩნდა. სუარესს კარგი პოლიტიკური ალლო ჰქონდა, რომელიც მას კარნახობდა თუ „საიდან ქროდა ქარი“. ნავაროსაგან განსხვავებით სუარესი აღიარებდა რეფორმების აუცილებლობას და ამ მიმართულებით კონკრეტულ ნაბიჯებსაც დგამდა. როდესაც სუარესი ხელისუფლების სათავეში მოვიდა, მან პირობა დადო, რომ განახორციელებდა კონსტიტუციურ რეფორმებს, ჩაატარებდა არჩევნებს 1977 წლის 30 ივნისამდე და მიიღებდა ზომებს ესპანეთში ეთნიკური პრობლემების მოსაგვარებლად. სუარესის ხელისუფლებას სურდა ასევე საერთაშორისო კავშირების გაფართოება, რომელიც ფრანკოს დიქტატურის დროს ძალზედ შეზღუდული იყო და შემოფარგლული იყო მხოლოდ აშშ-სთან პარტნიორული ურთიერთობით. სუარესის წარმატება საგარეო პოლიტიკის

სფეროში ძირითადად დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად შეძლებდა ის ქვეყნის შიგნით რეფორმების გატარებას.⁵⁷

თუმცა ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში კვლავ რჩებოდნენ ფრანკისტები, ესპანეთში რადიკალური რეფორმების გატარება გარდაუვალი ჩანდა, რათა ქვეყანა რაც შეიძლება მალე დემოკრატიულ რელსებზე გადასულიყო და დაშორებოდა ბნელ წარსულს. კანონი პოლიტიკური რეფორმების შესახებ (*Ley para la reforma politica*) იყო ამ პერიოდში მიღებული ყველაზე მნიშვნელოვანი კანონი, რომელმაც ხელი შეუწყო დემოკრატიული რეფორმების გატარებას და ფრანკიზმის აღმოფხვრას ესპანეთში.³⁴ სუარესის ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია პოლიტიკური პარტიების ლეგალიზაცია და დეცენტრალიზაციის პროცესი, რამაც ქვეყნის სხვადასხვა პროვინციებს ფართო ავტონომია მიანიჭა და ესპანეთში ჩვიდმეტი ავტონომიური რეგიონი წარმოშვა. ფრანკოს მცდელობა, რომ შეექმნა ერთიანი, ცენტრალიზებული სახელმწიფო, კრაზით დასრულდა, რადგან ერთიანი, კასტილიური სახელმწიფოს შექმნა დიდ წინააღმდეგობას წააწყდა კატალონიელი და ბასკი ნაციონალისტების მხრიდან. ფრანკოს მიერ ეროვნული უმცირესობების მიმართ გატარებულმა უგუნურმა პოლიტიკამ კატასტროფული შედეგები გამოიღო და დიდი ზიანი მიაყენა ქვეყანას. ყოველივე ამან გამოწვივა ტერორისტული დაჯგუფებების წარმოშობა, რომლებიც რეგიონალური დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ. დეცენტრალიზაციის პროცესის დაწყება აუცილებელი იყო და გარდაუვა-

ლი ჩანდა ფრანკოს სიკვდილის შემდეგ, რათა რაც შეიძლება მალე მომხდარიყო დაძაბული პოლიტიკური სიტუაციის განმუხტვა. ქვეყანა „ავტონომიის ციხე-ცხელებამ“ მოიცვა. ავტონომიას მოითხოვდნენ არა მხოლოდ განსხვავებული ენისა და კულტურის მქონე ხალხები, ბასკები, კატალონიელები, გალისიელები, არამედ ასევე იმ რეგიონების მაცხოვრებლებიც, რომელთა ესპანურობაში ეჭვი არასოდეს არავის არ შეუტანია.¹⁶ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დეცენტრალიზაციის პროცესის შედეგად ავტონომია მოიპოვა არა მხოლოდ კატალონიამ და ბასკეთმა, არამედ ქვეყნის ყველა რეგიონმა.

რაც შეეხება პოლიტიკური პარტიების ლეგალიზაციას, ეს მოვლენაც ძალზედ მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის განვითარებისათვის. ადოლფო სუარესის მთავრობამ მოახდინა პოლიტიკური პარტიების ლეგალიზაცია. 1976 წლის 9 ივნისს ესპანეთის პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების ლეგალიზაციის შესახებ. ამ კანონის მიღებამდე ესპანეთში ერთპარტიული მმართველობა არსებობდა და ერთადერთი ნებადართული პარტია იყო მმართველი – ეროვნული მოძრაობა, რომელიც შეიქმნა ესპანეთის ფალანგის ბაზაზე.⁴⁵ კანონის მიღების შემდეგ ფრანკოს დროს არსებული ერთპარტიული მმართველობა გაუქმდა და შეიცვალა მრავალპარტიული სისტემით. განსაკუთრებით პრობლემატური აღმოჩნდა კომუნისტური პარტიის ლეგალიზება, რასაც მოჰყვა უარყოფითი რეაქცია ფრანკისტებისა და სამხედროების მხრიდან, მაგრამ მეფემ მოახერხა სიტუაციის განმუხტვა და მათი დაწყნარება.

ესპანეთში დემოკრატიული პროცესების დაწყებამ გამოიწვია ქვეყნის პრესტიჟის გაზრდა საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში და უფრო რეალური გახადა მისი ინტეგრაცია ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში. ესპანეთმა მსოფლიო აღიარებას მიაღწია და უფრო მეტი გავლენა მოიპოვა საერთაშორისო არენაზე, რაც მას ფრანკოს რეჟიმის დროს არ გააჩნდა. სინამდვილეში ქვეყნის როლის გაზრდა მსოფლიო პოლიტიკაში გამოიწვია სხვა ქვეყნების დამოკიდებულების და პოზიციის შეცვლამ ესპანეთის მიმართ, მაშინ როდესაც ესპანეთის საგარეო პოლიტიკური კურსი ძირითადად იგივე დარჩა, რაც ფრანკოს რეჟიმის დროს იყო. ესპანეთის პოლიტიკურმა სისტემამ რადიკალური ცვლილებები განიცადა ფრანკოს სიკვდილის შემდეგ, მაგრამ ესპანეთის საგარეო პოლიტიკა გარკვეულწილად თანმიმდევრული დარჩა და უწყვეტელობა შეინარჩუნა. ახალი ხელისუფლების, დემოკრატიული ცენტრის კავშირის (Union de Centro Democrático) საგარეო პოლიტიკური კურსი ზოგადად თანმიმდევრული და უწყვეტი იყო წინა ხელისუფლების მიერ განხორციელებულ პოლიტიკურ კურსთან მიმართებაში.⁷ გიბრალტარის დაბრუნება კვლავ რჩებოდა ესპანეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიზნად, ისევე როგორც ესპანეთის ინტეგრაცია ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში. ამასთანავე გამოიკვეთა სურვილი, რომ მომხდარიყო სხვა ქვეყნებთან ურთიერთობების ნორმალიზება და ესპანეთი გამხდარიყო დასავლეთ ევროპის ქვეყნების მსგავსი ლიბერალური-დემოკრატია. ქვეყანას კარგი ურთიერთობები უნდა შენარჩუნებინა საფრანგეთთან და პორტუგალიასთან, გეო-

გრაფიული სიახლოვის გამო, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გადაიქცა სუპერსახელმწიფოდ და გახდა კაპიტალისტური ბანაკის ლიდერი. ამრიგად, ესპანეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზნები და ამოცანები იყო: დიპლომატიური იზოლაციისაგან თავის დაღწევა და დიპლომატიური ურთიერთობების გაფართოება, ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში განევრინება, ესპანეთის ინტეგრაცია ნატოში და ევროპის ქვეყნებთან კავშირების გაუმჯობესება, ურთიერთობების ნორმალიზება.

ესპანეთმა დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოსთან, ისრაელის, ალბანეთის და ჩრდილოეთ კორეის გარდა. ამასთანავე დიპლომატიური ურთიერთობების ნორმალიზება მოხდა სოციალისტურ ქვეყნებთან, საბჭოთა კავშირისა და მექსიკის ჩათვლით. ეს ქვეყნები ტრადიციულად სოლიდარობას გამოხატავდნენ რესპუბლიკური ესპანეთის მიმართ და მხარს უჭერდნენ ემიგრაციაში მყოფ ესპანეთის რესპუბლიკურ მთავრობას. საბჭოთა კავშირს და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებს არ სურდათ ფრანკოს დიქტატორულ რეჟიმთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება. ისინი ფრანკოს ხელისუფლებასთან ურთიერთობისას შემოიფარგლებოდნენ შემდეგი სფეროებით: ეკონომიკა, ვაჭრობა, მეცნიერება და კულტურა. ფრანკოს სიკვდილმა და ფრანკისტული რეჟიმის დემონტაჟმა აღმოფხვრა მთავარი დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლიდა ესპანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობების განვითარებას. მას შემდეგ,

რაც დაიწყო დემოკრატიზაციის პროცესი ესპანეთში, სოციალისტურმა ქვეყნებმა შეცვალეს მათი პოზიცია ესპანეთის მიმართ და გადაწყვიტეს მასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება. ამ პერიოდში გაიზარდა სავაჭრო ურთიერთობები ესპანეთსა და სსრკ-ს შორის. ორი ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატებს შორის შეიქმნა თანამშრომლობის კონკრეტული პროგრამები. გაფორმდა ხელშეკრულებები გემთმშენებლობისა და გემთრემონტის სფეროში. საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1977 წლის 9 თებერვალს, ხოლო მექსიკასთან – 1977 წლის 28 მარტს. ამავე წელს ესპანეთმა დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა სხვა სოციალისტურ ქვეყნებთანაც – იუგოსლავია, ბულგარეთი, პოლონეთი და რუმინეთი. ესპანეთის ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სოციალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობების აღდგენას. როგორც ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ორენხამ განაცხადა „აღმოსავლეთ ევროპასთან ურთიერთობა ხელს შეუწყობს ესპანეთის როლის გაზრდას თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში და მომავალში შესაძლებელს გახდის ესპანეთის საგარეო პოლიტიკის დივერსიფიკაციას.“⁵⁷

ამავე პერიოდში მოხდა ლათინურ ამერიკასთან არსებული ტრადიციული ურთიერთობების ხელახლა ფორმულირება; წარსულის რიტორიკა შეიცვალა კოოპერაციისა და თანამშრომლობის უფრო რეალური გზებით. ამ მიმართულებით გადადგმული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ესპანურ-ამერიკული კულტურის ინსტიტუტის შეცვლა იბერო-ამერიკის

თანამშრომლობის ინსტიტუტით.²³ სუარესის ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ლათინურ ამერიკასთან ურთიერთობას. გახშირდა ესპანეთის მეფის და პრეზიდენტის ვიზიტები ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ესპანეთის მეფე 1977 და 1978 წელს ესტუმრა ლათინური ამერიკის ქვეყნებს და ხელი მოაწერა რამოდენიმე შეთანხმებას ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. ვენესუელას პარლამენტში გამოსვლის დროს ხუან კარლოსმა წამოაყენა იდეა ესპანურ-ლათინოამერიკული გაერთიანების შექმნის შესახებ. მსოფლიოში დიდი რეზონანსი გამოიწვია ადოლფო სუარესის ვიზიტმა კუბაში 1978 წელს. ის აღმოჩნდა პირველი ლიდერი დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან, რომელიც გაემგზავრა ჰავანაში კუბის ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად. ძალიან დიდი ყურადღება ეთმობოდა ასევე ლათინური ამერიკის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების გაძლიერებას. 1976 წლის ოქტომბერში ნიკარაგუაში, კოსტარिकासა და პანამაში იმყოფებოდა ესპანეთის ვაჭრობის მინისტრი ხოსე ლიადო. შეხვედრისას განხილულ იქნა თანამშრომლობის შესაძლებლობები სხვადასხვა სფეროში და ხელი მოეწერა თანამშრომლობის სხვადასხვა ხელშეკრულებებს. „ესპანეთის საგარეო ბანკმა“ („Banco Exterior de España“) 80 მილიონი დოლარის კრედიტი გამოყო ამ თანამშრომლობის პროგრამების განხორციელებისათვის.⁵⁷ ესპანეთს გადანყვეტილი ჰქონდა გამხდარიყო ხიდი ევროპასა და ლათინურ ამერიკას შორის და ამიტომაც სუარესის ხელისუფლება ცდილობდა ლათინურ ამერიკის ქვეყნებთან კავშირების გაღრმავებას.

ევროპაში ინტეგრაცია ესპანეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მიზანი იყო. 1977 წელს ესპანეთის საგარეო ვალმა 12 მილიარდ დოლარს მიაღწია. ასეთი ვითარების გამო ესპანეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა გაეძლიერებინა ძალისხმევა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში ესპანეთის დაჩქარებული განვითარებისა, ვინაიდან თვლიდა, რომ ეს დაეხმარებოდა ქვეყანას ეკონომიკური სიძნელეების დაძლევაში. ესპანეთის ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ ქვეყნის ეკონომიკა მჭიდროდ იყო დაკავშირებული დასავლეთის კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკასთან და ამიტომაც აუცილებელი იყო ესპანეთის ინტეგრაცია ევროპაში. ესპანეთის ვაჭრობის სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ევროპის ეკონომიკური გაერთიანება 1978 წელს წარმოადგენდა ესპანური პროდუქციის ყველაზე დიდ მომხმარებელს. 1978 წელს ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაზე მოდიოდა ესპანეთის მთელი ექსპორტის 46,3 პროცენტი.⁵⁷ ყველა პოლიტიკური პარტია, მიუხედავად მათი განსხვავებული პოლიტიკური და იდეოლოგიური შეხედულებებისა, ესპანეთის ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში განვითარებას ემხრობოდა. პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ვერ თანხმდებოდნენ საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხებზე (მაგ. ქვეყნის ნატოში განვითარება, ლათინურ ამერიკის ქვეყნებთან ურთიერთობა, და ა.შ.), ერთსულოვნად უჭერდნენ მხარს ესპანეთის ევროპაში ინტეგრაციას. 1977 წელს ესპანეთმა განაცხადა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში განვითარების სურვილი. ესპანეთის ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ

მაღე მოხდებოდა ესპანეთის განწევრიანება ევროპაში, რაც ესპანეთის ეკონომიკას დიდ სარგებელს მოუტანდა. ესპანეთის მთავრობამ სპეციალურად შექმნა მინისტრის პოსტი, რომლის კომპეტენციაში შედიოდა ევროპის გაერთიანებასთან ურთიერთობა. 1978 წლის 13 თებერვალს ამ თანამდებობაზე დაინიშნა ლეოპოლდო კალვო სოტელი. ახალი მინისტრი ოპტიმისტურად იყო განწყობილი და ვერ ხედავდა ვერანაირ დაბრკოლებას, რაც ხელს შეუშლიდა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში ესპანეთის ინტეგრაციას. შემდეგ აღმოჩნდა რომ ეს ოპტიმიზმი ნაადრევი იყო და ევროპაში ინტეგრაციის უამრავი ხელისშემშლელი ფაქტორი არსებობდა. ევროპაში განწევრიანებისაკენ ქვეყანას ძირითადად ორი მოტივი ამოძრავებდა: ესპანეთი პოლიტიკურ და კულტურულ ტრანსფორმაციას განიცდიდა, და „ევროპაში ინტეგრაცია“ მსოფლიოს თანამეგობრობის თვალში ნიშნავდა ლიბერალურ-დემოკრატიად გარდაქმნას და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას ქვეყანაში.² იმ პერიოდში ესპანეთი ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ ჩამოყალიბდა დემოკრატიულ სახელმწიფოდ, დემოკრატია ძალზედ მყიფე იყო და არსებობდა რეალური შანსი იმისა, რომ კვლავ სამხედროები მოსულიყვნენ ქვეყნის სათავეში. სამხედრო გადატრიალების მცდელობა ამ პერიოდში მართლაც მოხდა 1981 წელს ანტონიო ტეხერო მოლინას ხელმძღვანელობით, მაგრამ ესპანეთის მეფემ გამოიჩინა პოლიტიკური სიბრძნე, სიმტკიცე და უარი ათქმევინა სამხედროებს განეხორციელებინათ თავიანთი ჩანაფიქრი. სწორედ ამიტომ ევროპაში ინტეგრაცია აუცილებელი იყო, რათა ესპანეთი კვლავ წარ-

სულს არ დაბრუნებოდა და სამხედრო დიქტატურა არ განმეორებულყო ქვეყანაში. ევროპაში ინტეგრაციის მეორე მოტივი უფრო მერკანტილური იყო. სრული წევრობა ევროპის ბაზრის ხელმისაწვდომობის უფრო კარგ გარანტიას იძლეოდა და ევროპის გაერთიანების წევრ სახელმწიფოებთან ვაჭრობას და კომერციულ კავშირებს კიდევ უფრო აადვილებდა. ევროპაში ინტეგრაცია ესპანეთის ეკონომიკურ განვითარებას კიდევ უფრო დააჩქარებდა, თუმცა იმ დროისათვის ქვეყნის ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში განევრიანება შეუძლებელი ჩანდა და დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა. ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ზოგიერთი წევრი ქვეყანა, მაგალითად საფრანგეთი თვლიდა, რომ მათ ეროვნულ ეკონომიკას ზარალი მიადგებოდა, თუ ესპანეთი ამ გაერთიანების წევრი გახდებოდა. საფრანგეთს პრეტენზია ჰქონდა, რომ ყოფილიყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მთავარი მიმწოდებელი დასავლეთ ევროპის ინდუსტრიული ქვეყნებისათვის. ევროპის თანამეგობრობაში ესპანეთის განევრიანება გამოიწვევდა საბაჟო ბარიერების მოხსნას პირინეის ნახევარკუნძულიდან წამოსულ პროდუქტებზე (მწვანილი, ხილი, ღვინო), რომელიც გაცილებით იაფი იყო, ვიდრე ფრანგული პროდუქცია. ესპანეთში საფრანგეთი ძალიან დიდ კონკურენტს ხედავდა. ესპანეთის ევროპაში ინტეგრაცია საფრთხეს წარმოადგენდა ფრანგი ფერმერებისათვის და ასევე მაროკოელი ექსპორტიორებისათვის, რომლებთანაც პარიზს ძალზედ მჭიდრო კომერციული კავშირები ჰქონდა.² ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში ინტეგრაცია იმ პერიოდში შორეული პერ-

სპექტივა ჩანდა ესპანეთისათვის, მაგრამ უფრო იოლი აღმოჩნდა ქვეყნის ევროსაბჭოში ინტეგრაცია. 1977 წელს ესპანეთი ევროსაბჭოში განევრიანდა. ქვეყნის დემოკრატიზაციისათვის ასევე ძალზედ მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენდა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან მიერთება.

გარდამავალი პერიოდის დროს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობების გაღრმავების საქმეში. 1976 წლის 3 ივნისს, ხუან კარლოსის ვაშინგტონში ვიზიტის დროს ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხოსე მარია დე არეილსამ შეახსენა ამერიკის მთავრობას თუ რა დიდი წვლილი შეიტანა ესპანეთმა ამერიკის დამოუკიდებლობის საქმეში. ესპანეთის ფლოტი და არმია მართლაც დიდ დახმარებას უწევდა ჯორჯ ვაშინგტონს, როდესაც ის ამერიკის დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა. ესპანეთის ხელისუფლება გვერდში ედგა ინგლისის 13 კოლონიას ინგლისური იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს და მათ როგორც სამხედრო, ასევე ფინანსური თვალსაზრისით ეხმარებოდა. ეს მხარდაჭერა ხოსე მარია არეილსას აზრით იყო ორ ერს შორის მეგობრობის ყველაზე საუკეთესო გამოვლინება. გარდამავალი პერიოდის დროს ესპანეთის ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აშშ-სთან დაახლოებას, ვინაიდან თვლიდა, რომ ამერიკის მეშვეობით ესპანეთი უფრო იოლად შესძლებდა ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას.⁵⁵

ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობები მართლაც გამყარდა სუარესის ხელისუფლებაში ყოფნის დროს. 1977 წელს სუარესის მთავრო-

ბამ ხელი მოაწერა ამერიკა-ესპანეთის მეგობრობათანამშრომლობის ხელშეკრულებას, რითაც აშშ-ს 5 წლით გაუხანგრძლივა ესპანეთის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების გამოყენების უფლება.⁴⁵ ამის სანაცვლოდ ესპანეთმა ამერიკისაგან მიიღო სამხედრო-ეკონომიკური დახმარება 1,25 მილიარდი დოლარის ოდენობით. ეს დახმარება ძალზედ მნიშვნელოვანი იყო ესპანეთის სამხედრო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ორეხა ძალზედ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აშშ-სთან მეგობრობის ხელშეკრულების გაფორმებას, ვინაიდან თვლიდა, რომ ეს ხელშეკრულება იქნებოდა დამაკავშირებელი ხიდი ესპანეთსა და ნატოს შორის, უფლებას მისცემდა ესპანეთს მონაწილეობა მიეღო დასავლეთ ევროპის თავდაცვის სისტემაში და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყოველივე ეს გააძლიერებდა კონტაქტებს ესპანეთსა და აშშ-ს შორის. ესპანეთის საზღვაო ძალებმა ამ პერიოდში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ნატოს მიერ ჩატარებულ სამხედრო წვრთნებში. ესპანეთის მიზანი ნატოში განწევრიანება იყო და ამიტომაც ნატოს მიერ ორგანიზებულ აქციებში მონაწილეობას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხელისუფლების მიერ, ვინაიდან ამ სამხედრო წვრთნებს შეეძლო ესპანეთის არმიის ნატოს სტანდარტებთან დაახლოებისათვის შეეწყო ხელი.

1977 წლის 15 ივნისს ესპანეთში ჩატარდა არჩევნები. ეს ძალზედ მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა იყო, რადგან ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნები 1936 წლის მერე არ ჩატარებულა. არჩევნებში გაიმარჯვა დემოკრატიული ცენტრის კავშირმა და მისმა

ლიდერმა ადოლფო სუარესმა. სუარესის როლი დემოკრატიული რეფორმების გატარებაში და ფრანკოს დიქტატურის დემონტაჟში ძალზედ მნიშვნელოვანი იყო, რის გამოც ის ხუან კარლოსმა 2007 წელს ოქროს სანმისის ორდენით დააჯილდოვა. მისი ინიციატივით მოხდა ახალი კონსტიტუციის რედაქტირება ესპანეთში, რომელიც ძალაში შევიდა 1978 წლის 6 დეკემბერს. თუმცა სუარესის მთავრობამ შესძლო პოლიტიკური რეფორმების გატარება, ახლად ჩამოყალიბებული დემოკრატიული სისტემა ძალზედ მყიფე ჩანდა, რადგან მუდმივად არსებობდა სამხედრო გადატრიალების საფრთხე, ქვეყანაში ასევე მძვინვარებდა ინფლაცია, უმუშევრობა, ტერორიზმი. ყველაფერ ამას დაემატა შიდა კრიზისი ხელისუფლებაში, რამაც თანდათანობით გამოიწვია დემოკრატიული ცენტრის კავშირის დაშლა. 1981 წლის 29 იანვარს, სამხედროთა ძლიერი ზენოლის შედეგად ადოლფო სუარესი გადადგა.⁴⁴ ნარუმატებელი სამხედრო გადატრიალების შემდეგ, რომელიც 1981 წლის 23 თებერვალს მოხდა, სუარესი შეცვალა ლეოპოლდო კალვო სოტელომ. ლეოპოლდო კალვო სოტელოს ხელისუფლებაში ყოფნის დროს ესპანეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ესპანეთის დაჩქარებული ინტეგრაცია ნატოში და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში.⁵ საბოლოოდ ესპანეთი ნატოს წევრი ქვეყანა 1982 წლის 29 მაისს გახდა. ნატოში ინტეგრაციის უპირველესი მიზეზი უფრო ტაქტიკური იყო – ესპანეთის ხელისუფლება თვლიდა, რომ ნატოს წევრობა გაზრდიდა ესპანეთის ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში შესვლის შანსს და საშუალებას მისცემდა მას განეხორციელებია

უფრო მეტი ზეწოლა საფრანგეთზე, რომ დაეწყო მოლაპარაკებები ესპანეთის ევროპაში ინტეგრაციის თაობაზე. როგორც დემოკრატიული ცენტრის კავშირის საგარეო საქმეთა მდივანმა, ხავიერ რუპიერესმა განაცხადა: „საფრანგეთს არ არ უნდა ჰქონდეს ნებართვა იმისა, რომ იყოს ევროპის გაფართოების წინააღმდეგ მიმართული ბასტიონი.“¹ 1981 წელს მომხდარმა სამხედრო გადატრიალების მცდელობამაც გაზარდა ხელისუფლების მოტივაცია, რომ ესპანეთი ნატოს წევრი ქვეყანა გამხდარიყო.² ნატოს წევრობა მწყობრიდან გამოსული ხელისუფლების სასოწარკვეთილი მცდელობა იყო. ნატო აღიქმებოდა როგორც საშუალება, რომელიც ხელს შეუწყობდა ესპანეთის შეიარაღებული ძალების და სამხედროების მოდერნიზებას და დაეხმარებოდა მათ, რომ განთავისუფლებულიყვნენ ფრანკოსდროინდელი ბნელი სამხედრო აზროვნებისაგან და ფაშისტური იდეოლოგიისგან. ესპანეთის ევროპაში ინტეგრაციის პროცესი ჩიხში იყო შესული და ამიტომაც ნატოს წევრობა აღიქმებოდა, როგორც უფრო მიღწევადი მიზანი, რომლის გარშემო შეიძლებოდა ქვეყანაში არსებული დაპირისპირებული ჯგუფების გაერთიანება. გარდა ამისა, ესპანეთის ნატოში განწევრიანება ხელისუფლების მიერ მიჩნეული იყო, როგორც ქვეყანაში ჩამოყალიბებული მყიფე დემოკრატიული სისტემის კონსოლიდირებისაკენ გადადგმული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ნატოს წევრობას შესაძლოა, რომ გაეზარდა არმიის პატივისცემა დემოკრატიული სისტემის მიმართ და ქვეყანაში შეექმნა ტრადიცია სამხედროების ჩაურევლობისა პოლიტიკურ პროცესებში. ამრიგად,

ნატოს წევრობა იყო სასონარკვეთელი ხელისუფლების მცდელობა, რომ თავის კონტროლს დაექვემდებარებია სამხედროები, მოეხდინა ზენოლა პოლიტიკურ ოპონენტებზე და განემუხტა დაძაბული პოლიტიკური სიტუაცია.⁷



ფრანკომ მემკვიდრედ ხუან კარლოსი აირჩია.



ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი და ლუის კარერო ბლანკო.



ესპანეთის პრემიერ-მინისტრი ადოლფო სუარესი მის მიერ გატარებული რეფორმების წყალობით ჟურნალ „თაიმ“-ის გარეკანზე მოხვდა. ჟურნალზე მსხვილი ასოებით წერია: ესპანეთში დემოკრატია გაიმარჯვა.



ადოლფო სუარესი ესპანეთის პარლამენტში სიგარეტს ეწევა.



ადოლფო სუარესი და ისირ არაფატი.



ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი და რუმინეთის ლიდერი ნიკოლას ჩაუშესკუ.



ადოლფო სუარესი და ფიდელ კასტრო.



ადოლფო სუარესი და ლეოპოლდო კალვო სოტელი.



ადოლფო სუარესი და ხუან კარლოსი.



სამხედრო გადატრიალების მცდელობა. სამხედრო ძალები ანტონიო ტეხერო მოლინას ხელმძღვანელობით ესპანეთის პარლამენტში შეიჭრნენ. 1981წ.



სამხედრო გადატრიალების მცდელობა. მარცხენა მხარეს დგას ესპანეთის პრემიერ მინისტრი ადოლფო სუარესი. 1981წ.

3. ესპანეთის საგარეო პოლიტიკა ბარდაშავალი პერიოდის შემდეგ (1982–2011)

ესპანეთის საგარეო პოლიტიკა, დემოკრატიზაციის პროცესის დაწყებიდან დღემდე, მიმართული იყო იმისაკენ, რომ რაც შეიძლება მეტად გაღრმავებულიყო კავშირები დასავლეთთან და ევროპის ქვეყნებთან, რამაც გამოიწვია ესპანეთის 150 წლიანი იზოლაციის დასრულება. დემოკრატიაზე გადასვლის შემდეგ ესპანეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანი გახდა ესპანეთის ინტეგრაცია დასავლეთ ევროპაში და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში. ესპანეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება, რომ ქვეყანა გამხდარიყო ნატოს წევრი, იყო პოლიტიკური და არა სამხედრო გადაწყვეტილება – ეს წარმოადგენდა მცდელობას, რომ ესპანეთი დაახლოებოდა ევროპას და „დასავლეთს.“ ნატოს წევრობით ხელისუფლებას უფრო მეტი ბერკეტები ექნებოდა ხელთ, რომ ზენონა მოეხდინა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაზე, დაეწყო მოლაპარაკებები ესპანეთის მთავრობასთან ქვეყნის ევროპაში ინტეგრაციის თაობაზე.¹

1981 წელს ესპანეთის თავდაცვის მინისტრმა განმარტა ქვეყნის ნატოში განწევრიანების პოლიტიკური მიზეზი: „პირველ რიგში, გვეძლევა შანსი ვიყოთ თავდაცვის იმავე სისტემაში, რომელშიც განწევრიანებულია დასავლეთის ლიბერალური დემოკრატიების უმრავლესობა. მეორე, მთავარი ის კი არ არის, რას გვთავაზობს ნატო, არამედ ის, რომ ესპანეთს, როგორც ევროპულ ქვეყანას, უფლება აქვს ევროპის ლიბერალურ-დემოკრატიებს შორის თავისი ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს, რისი შესაძლებლობაც ჩვენ

ბოლო 150 წლის განმავლობაში არ გვექონია გარკვეული მიზეზების გამო.“⁴

როდესაც ესპანეთი გახდა ნატოს წევრი, მას არც ერთ ქვეყანასთან მტრული დამოკიდებულება არ ჰქონდა, ამიტომაც ესპანეთს თავდაცვისა და უსაფრთხოებისათვის არ სჭირდებოდა ნატოს წევრობა. როგორც უკვე ზემოთ ვახსენეთ, გადაწყვეტილება ნატოში გაწევრიანების თაობაზე მიიღო დემოკრატიული ცენტრის კავშირმა ლეოპოლდო კალვო სოტელოს ხელმძღვანელობით. კალვო სოტელოს ნატოს წევრობა მიაჩნდა, როგორც გარანტია ესპანეთის ინტეგრაციისა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში. მთავრობის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომ ესპანეთი გამხდარიყო ნატოს წევრი, გაცხარებული პოლიტიკური დებატები გამოიწვია. ერთის მხრივ მემარჯვენე და ცენტრისტული პარტიები მხარს უჭერდნენ ქვეყნის ნატოში გაწევრიანებას, მეორეს მხრივ მემარცხენე ძალები პარლამენტში, სოციალისტებისა და კომუნისტების ჩათვლით, ეწინააღმდეგებოდნენ ამ გადაწყვეტილებას. სოციალისტებს მხარს უჭერდა მოსახლეობის დიდი უმრავლესობა. ესპანელი ხალხის დიდი უმრავლესობა კატეგორიული წინააღმდეგი იყო ესპანეთის ინტეგრაციისა იმ სამხედრო ბლოკში, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატები დომინანტ ძალას წარმოადგენდა.⁷ ესპანეთის სოციალისტურმა მშრომელთა პარტიამ – PSOE-მ დემაგოგიითა და პროპაგანდით განზრახ გააძლიერა ესპანეთის მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულება ნატოს მიმართ, მოახდინა რა ორგანიზაციის გაიგივება ომთან და ბირთვულ იარაღთან. 1981 წელს ჩატარდა

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, რომელმაც გამოავლინა, რომ მოსახლეობის 43 პროცენტი ეწინააღმდეგებოდა ესპანეთის ნატოში განწევრიანებას და მხოლოდ 13 პროცენტი იყო მომხრე. ესპანეთის სოციალისტურმა მშრომელთა პარტიამ – PSOE-მ, ქვეყნის ნატოში განწევრიანების წინააღმდეგ, რამდენიმე არგუმენტი წამოაყენა: მიიჩნეოდა რომ, ნატოში განწევრიანება ვერ უზრუნველყოფდა ესპანეთის ტერიტორიული მთლიანობის სრულ დაცვას, რადგან სეუტა და მელიია ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის საზღვრებს მიღმა რჩებოდა. მემარცხენე ძალებს შორის არსებობდა მოსაზრება, რომ ნატოში მონაწილეობა უფრო გაზრდიდა ესპანეთისათვის ბირთვულ საფრთხეს. ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრობა ასევე გაზრდიდა ბირთვული იარაღის განთავსების შესაძლებლობას ესპანეთის ტერიტორიაზე.³ ზოგიერთი ესპანელი სოციალისტის აზრით ქვეყნის ნატოში განწევრიანება უფრო გააძლიერებდა და გაამწვავებდა აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპას შორის დაპირისპირებას. დემოკრატიული ცენტრის კავშირი (Union de Centro Democratico) არ იზიარებდა ამ მოსაზრებას და თვლიდა, რომ ესპანეთის ნატოში განწევრიანება არ გახდოდა ქვეყანას კომუნისტური ბანაკის უფრო „საყვარელ სამიზნედ“, ვინაიდან ის უკვე მიზანში ჰყავდათ ამოღებული. როგორც კალვო სოტელომ პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა: „ალიანსში განწევრიანება არ გაზრდის რისკებს და საფრთხეებს ესპანეთისათვის, ვინაიდან ამერიკის შეერთებულ შტატებთან გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების თანახმად ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გან-

თავსებულა აშშ-ის სამხედრო ბაზები და მათზე უკვე დამიზნებულა საბჭოთა SS-20 რაკეტები.⁹ ესპანეთის ნატოში ინტეგრაციის მომხრეები, მათ შორის კალვო სოტელოც, თვლიდნენ რომ ესპანეთის განევრიანება ნატოში ხელს შეუწყობდა ქვეყნის შეიარაღებული ძალების დემოკრატიზაციას. ეს გამოინვევდა ასევე სამხედრო ძალების ტექნიკურ მოდერნიზაციას და გაზრდიდა მათ პროფესიონალიზმს და ეფექტურობას.

1982 წელს ესპანეთში არჩევნები ჩატარდა. არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა ესპანეთის სოციალისტურმა მშრომელთა პარტიამ – PSOE-მ და მისი ლიდერი ფილიპე გონსალესი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახდა. ეს ძალზედ მნიშვნელოვანი გამოცდა იყო ახლად ჩამოყალიბებული დემოკრატიული რეჟიმისათვის, ვინაიდან უსისხლოდ, სამხედრო გადატრიალების გარეშე მოხდა ერთი პარტიის მიერ მეორესათვის ძალაუფლების გადაცემა. მშვიდობიანი გზით ძალაუფლების გადაცემა ისტორიული მოვლენა იყო ესპანელი ხალხისათვის, რაც სიმბოლურად გამოხატავდა ქვეყანაში დემოკრატიის კონსოლიდაციას და დემოკრატიზაციის პროცესის დასასრულს. PSOE-ს არჩევნებში ტრიუმფის შემდეგ დაიწყო დებატები ესპანეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტების ფორმულირების შესახებ, რომელიც შეთავსებადი იქნებოდა ესპანეთის ეროვნულ ინტერესებთან გლობალიზებულ სამყაროში და შესაძლებელს გახდიდა ქვეყნის ინტეგრაციას ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში.¹⁰ ესპანეთის სოციალისტურმა მშრომელთა პარტიამ – PSOE-მ თავის საარჩევნო პროგრამაში საგარეო პოლიტიკის შემდეგი პრიორიტეტები ჩამოაყა-

ლიბა: ევროპული ორიენტაცია როგორც ერთადერთი პოლიტიკური არჩევანი; ლათინურ-ამერიკული საგარეო პოლიტიკა, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიანიჭებდა იბერო-ამერიკულ ქვეყნებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის გაღრმავებას და ხელს შეუწყობდა დემოკრატიული რეჟიმების გაძლიერებას ამ კონტინენტზე. საფრანგეთთან, პორტუგალიასთან და მალრიბის რეგიონის ქვეყნებთან დაახლოება, მეგობრული ურთიერთობების დამყარება და კავშირების გაძლიერება; ხმელთაშუა ზღვის რეგიონისათვის განკუთვნილი პოლიტიკური პროგრამის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობდა ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების ერთმანეთთან დაახლოებას და შეეცდებოდა მათი ინტერესების ერთმანეთთან შეთავსებას; *detente*-ს პოლიტიკის მხარდაჭერა, რაშიც იგულისხმება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობის მოხსნა და ორ სუპერსახელმწიფოს შორის პოლიტიკური დიალოგის დაწყება; ბირთვული იარაღისაგან განთავისუფლებული ზონების შექმნა; ზომიერების ფარგლებში ამერიკის შეერთებულ შტატებთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობა.⁷ ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსთან დაკავშირებით ესპანეთის სოციალისტური მშრომელთა პარტია – PSOE აცხადებდა, რომ წინააღმდეგი იყო სამხედრო-პოლიტიკური ბლოკებისა და ამტკიცებდა, რომ ყველაფერს გააკეთებდა იმისთვის, რათა გამოყოფოდა ესპანეთი ჩრდილო ატლანტიკური ბლოკის სამხედრო სტრუქტურას. საარჩევნო კამპანიის წარმოების დროს ესპანეთის სოციალისტური მშრომელ-

თა პარტია – PSOE ესპანელ ხალხს პირდებოდა, რომ შეწყვეტდა ესპანეთის ინტეგრაციას ნატოს სამხედრო სტრუქტურაში და ჩაატარებდა რეფერენდუმს ესპანეთის ნატოში განევრიანების თაობაზე. მაგრამ როდესაც სოციალისტები ძალაუფლებაში მოვიდნენ უარი თქვეს ქვეყნის ჩრდილო ატლანტიკური ალიანსიდან გამოყვანაზე. მათ თავიანთი ცვალებადი და მერყევი პოზიციის ახსნა იმ არგუმენტით სცადეს, რომ თუ ესპანეთს სურდა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში შესვლა, მაშინ ის უნდა ყოფილიყო დასავლეთის თავდაცვის სისტემაში განევრიანებული.³⁵ ამერიკული ჟურნალი „ნიშენ“-ი განსხვავებულ მოსაზრებას თავაზობდა მკითხველს და თვლიდა, რომ სოციალისტებმა პოზიცია შეცვალეს აშშ-ისა და ევროპელი მოკავშირეების ზენოლის შედეგად, ვინაიდან მათ სურდათ რომ ესპანეთს მონაწილეობა მიეღო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საქმიანობაში. მას შემდეგ რაც გონსალესმა ღიად დაუჭირა მხარი ნატოში ესპანეთის წევრობას, მას მოუწია ძალიან დიდი ძალისხმევის გაღება იმისათვის, რომ ნატოს მიმართ დამოკიდებულება შეეცვლევინებინა საკუთარი პარტიის წევრებისათვის, ვინაიდან ესპანეთის სოციალისტურ მშრომელთა პარტიაში ჯერ კიდევ მრავლად იყვნენ ნატოს მოწინააღმდეგეები.⁵⁷

ესპანეთის ნატოსთან დაახლოების საქმეში თავისი წვლილი შეიტანა ამერიკის პრეზიდენტმა რეიგანმა. ის იყო ამერიკის სახელმწიფოს მეხუთე მეთაური, რომელიც ოფიციალური ვიზიტით, 1983 წელს მადრიდს ეწვია. პრეზიდენტს არასასურველი სიურპრიზი ელოდა. დაახლოებით მილიონი ესპანელი ქუჩაში გამოვიდა,

რომ გამოეხატა პროტესტი ნატოს მიერ განხორციელებული პოლიტიკისადმი და მოეთხოვა ამერიკული ბაზების ლიკვიდაცია ესპანეთში. გონსალესი რეიგანს შეჰპირდა, რომ შეცვლიდა ხალხის განწყობას ნატოს მიმართ, რათა ქვეყანა მომავალშიც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრად დარჩენილიყო. ამერიკის პრეზიდენტმა კი თანხმობა განაცხადა, რომ დაეწყო მოლაპარაკებები ესპანეთის ტერიტორიაზე განთავსებული აშშ-ის შეიარაღებული ძალების შემცირების თაობაზე.

ამ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ამერიკული ბაზების საკითხს ესპანეთში. 1982 წელს ვადა გასდიოდა ესპანეთ-ამერიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომელიც გაფორმდა ადოლფო სუარესის ხელისუფლებაში ყოფნის დროს, 1977 წელს. ამიტომაც დაიწყო მოლაპარაკებები ამ ხელშეკრულების გაგრძელების თაობაზე. 1983 წლის 24 თებერვალს დამთავრდა მოლაპარაკებები ესპანურ-ამერიკული ხელშეკრულების შესახებ. ამავე წლის აპრილში ესპანეთის პარლამენტმა მოახდინა ამერიკული ბაზების შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაცია და ხუთი წლით (1988 წლის მაისამდე) გაუხანგრძლივა ვადა ამერიკულ ბაზებს ესპანეთში. ამ ხელშეკრულების თანახმად, ამერიკის შეერთებულ შტატებს ოთხი სამხედრო ბაზა რჩებოდა ესპანეთის ტერიტორიაზე – როტას სამხედრო-საზღვაო ბაზა და საავიაციო ბაზები ტორეხონში, სარაგოსაში და მორონში. გარდა ამისა აშშ-ს ჰქონდა რამოდენიმე მცირე ზომის სამხედრო ინფრასტრუქტურა ქვეყანაში.¹

სამხედრო თვალსაზრისით ბაზებს დიდი სტრატე-

გიული მნიშვნელობა არ ჰქონდა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. ამ ბაზების დაკარგვის შემთხვევაშიც კი შესაძლებელი იქნებოდა სამხედრო მისიების შესრულება, თუმცა უფრო გართულდებოდა მათი განხორციელება და უფრო მეტ ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული მათი შესრულება. ესპანური ბაზების დაკარგვის შემთხვევაში გაიზრდებოდა აშშ-ის დამოკიდებულება სხვა ქვეყნებში განთავსებულ სამხედრო ბაზებზე.

ესპანეთში განთავსებული ბაზები ისეთი დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის არ არის ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, როგორც ის შეიძლება ყოფილიყო, იმიტომ რომ აშშ-ს არ შეუძლია ბაზების გამოყენება იმ სამხედრო ოპერაციების სანარმოებლად, რომელიც ნატოს კომპეტენციაში არ შედის. არადა ყველაზე მეტად აშშ-ს ეს ბაზები სჭირდება მეტად საჭირობოროტო სამხედრო ოპერაციების განსახორციელებლად ახლო აღმოსავლეთში და სპარსეთის ყურეში. ესპანეთი ძალზედ ფრთხილობს, რომ აშშ-მამის ტერიტორიაზე განთავსებული სამხედრო ბაზები არ გამოიყენოს სხვა მიზნებისათვის, რომელიც ნატოს კომპეტენციის ფარგლებს სცდება, მაგალითად ომის სანარმოებლად სპარსეთის ყურეში ან სხვა რეგიონში. ესპანეთს სურს, რომ მისი მეზობელი არაბი ქვეყნების კეთილგანწყობა მოიპოვოს და ამიტომაც ცდილობს, რომ თავიდან აიცილოს ისეთი სამხედრო ქმედებები, რომლებიც არაბული ქვეყნების გალიზიანებას გამოიწვევს. რადგანაც ესპანეთს ნავთობი არ გააჩნია, ის ძალზედ არის დამოკიდებული ნავთობის მწარმოებელ არაბულ ქვეყნებზე, ამიტომაც სურს მათთან

კარგი ურთიერთობების შენარჩუნება.

1986 წლის მარტს ესპანეთში ჩატარდა რეფერენდუმი დარჩენილიყო თუ არა ქვეყანა ნატოს წევრი, „ნატოს სამხედრო სტრუქტურაში ინტეგრაციის გარეშე.“ ხელისუფლება ნატოში დარჩენას უჭერდა მხარს, ესპანეთის კომუნისტური პარტია და სხვა მემარცხენე ძალები კი პირიქით, წინააღმდეგი იყვნენ, ხოლო სახალხო პარტიამ – PP-მა (Partido Popular) კონტრადიქტორული პოზიცია დაიკავა და მოუწოდებდა მის მხარდამჭერებს, რომ თავი შეეკავებინათ რეფერენდუმში მონაწილეობაზე. 29 მილიონი ამომრჩეველიდან, 17.25 მილიონი (59,41%) გამოცხადდა საარჩევნო პუნქტებზე. ხმების დათვლის შემდეგ გაირკვა, რომ 9 მილიონი კაცი (52,5 პროცენტი) ხელისუფლების პოზიციას უჭერდა მხარს, ხოლო დაახლოებით 7 მილიონი (40 პროცენტამდე) ნატოში დარჩენის წინააღმდეგი იყო. რეფერენდუმმა ხელისუფლებისათვის მისაღები შედეგები აჩვენა. რეფერენდუმი პირადი წარმატება იყო ფილიპე გონსალესისათვის და მოასწავებდა ქვეყნის შიგნით ინტენსიური დებატების დასასრულს ესპანეთის ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების თაობაზე.

ხელისუფლებაში მყოფი სოციალისტები პირობას იძლეოდნენ, რომ რეფერენდუმში გამარჯვების შემთხვევაში: 1. არ განახორციელებდნენ ესპანეთის ინტეგრაციას ნატოს სამხედრო სტრუქტურაში; 2. ესპანეთში არ მოხდებოდა ბირთვული იარაღის განთავსება; 3. მნიშვნელოვნად შემცირდებოდა ამერიკის შეიარაღებული ძალების რაოდენობა ესპანეთის ტერიტორიაზე. ამ შემთხვევაში სოციალისტებმა თავიანთი დანაპირე-

ბი შეასრულეს. 1988 წელს ესპანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის გაფორმდა რვანლიანი ხელშეკრულება სამხედრო ბაზების შესახებ. აშშ ამ ხელშეკრულების თანახმად იძულებული იყო დაეტოვებინა ტორეხონის ბაზა და შეემციებინა ამერიკის სამხედრო პერსონალი 35 პროცენტით, 9108 კაცამდე. ამ ხელშეკრულებით აიკრძალა ბირთვული იარაღის შემოტანა, შენახვა და განთავსება ესპანეთის ტერიტორიაზე.⁵⁷ რაც შეეხება სოციალისტების პირველ დანაპირებს, რომ არ მოახდენდნენ ესპანეთის ინტეგრაციას ნატოს სამხედრო სტრუქტურაში, ესპანეთის ნატოში განწევრიანების პირობები იმდენად ბუნდოვანი იყო, რომ შეუძლებელი ხდებოდა იმის დადგენა, იყო თუ არა ქვეყანა ნატოს სამხედრო სტრუქტურის შემადგენლობაში.⁷

ნატოში ინტეგრაციამ გავლენა მოახდინა ესპანეთის საგარეო-პოლიტიკურ კურსზე. 1986 წლის 17 იანვარს ესპანეთმა დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები ისრაელთან. დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებამდე გონსალესმა წერილი გაუგზავნა პალესტინის ლიდერს და არაბთა ლიგის გენერალურ მდივანს, რათა მათთვის ეცნობებია მისი გადაწყვეტილების შესახებ. ამ წერილში გონსალესი მათ არწმუნებდა, რომ ესპანეთი მომავალშიც მხარს დაუჭერდა „არაბთა სამართლიან საქმეს“ საერთაშორისო ფორუმებზე. არაბებისათვის სპეციალურად გაგზავნილ დოკუმენტში ესპანეთის ხელისუფლება პირობას იძლეოდა, რომ არაბულ სამყაროსთან მიმართებაში მეგობრობისა და სოლიდარობის ტრადიციული პოლიტიკის ერთგული დარჩებოდა. ესპანეთის

ხელისუფლება ჰგმობდა, როგორც არაბული ტერიტორიების ოკუპაციას, ასევე ებრაული ახალშენების შექმნას დაპყრობილ არაბულ მიწებზე და მოითხოვდა მათ ლიკვიდაციას. ესპანეთის მთავრობა მხარს უჭერდა პალესტინელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლას და მათ უფლებას თვითგამორკვევაზე. ამასთანავე ესპანეთი ემხრობოდა ყველა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მშვიდობიან თანაცხოვრებას.⁵⁷ ესპანეთის მთავრობას არაბებისათვის ასეთი ახსნა-განმარტებების გაგზავნა იმისთვის დასჭირდა, რომ თავი დაეცვა ბრალდებებისაგან თითქოს ის ახლო აღმოსავლეთში პროებრაულ პოლიტიკას ატარებდა. ამ მიზეზთა გამო ისრაელში ოფიციალური ვიზიტით მყოფი ესპანელი დიპლომატი გამოვიდა განცხადებით, რომ ის მხარს უჭერდა პალესტინელების უფლებას თვითგამორკვევაზე. ესპანეთის ხელისუფლებამ 1986 წლის აგვისტოში მიიღო გადაწყვეტილება, რომ იგივე პრივილეგიები და უფლებები მიენიჭებინა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენლებისათვის მადრიდში, რა პრივილეგიებიც სარგებლობდნენ სხვა სახელმწიფოების საელჩოს წარმომადგენლები. 1990-იან წლებში ესპანეთმა დაიწყო ძალზედ მნიშვნელოვანი როლის შესრულება ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში და მადრიდი ხშირად იყო ის ადგილი, სადაც პალესტინური და ებრაული დელეგაციები ხვდებოდნენ ერთმანეთს მოლაპარაკებების საწარმოებლად. ისრაელთან დიპლომატიური უეთიერთობების დამყარება ძალზედ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქვეყნისათვის, ვინაიდან ფილიპე გონსალესის ხელისუფლებაში მოსვლამდე

ესპანეთს განყვეტილი ჰქონდა ყოველგვარი კავშირები ისრაელთან. ფრანკო და მისი ხელუსუფლება უარს ამბობდა ისრაელთან ურთიერთობაზე, რაც მას სოლიდარობის გამომხატველ შესტად მიაჩნდა არაბული სახელმწიფოების მიმართ. ისრაელთან დიპლომატიური ურთერთობების დამყარებით ესპანეთმა დაასრულა მისი დიპლომატიური ურთიერთობების უნივერსალიზაციის პროცესი.

ფილიპე გონსალესმა გაზარდა ესპანეთის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში. ის აქტიურ ინტერესს იჩენდა გლობალური პრობლემების მიმართ და ბირთვული იარაღის სრულ განადგურებას უჭერდა მხარს, რომელიც მისი აზრით უნდა განხორციელებულიყო მკაცრი საერთაშორისო კონტროლის ქვეშ. ის ყოველთვის გამოთქვამდა მზადყოფნას დაენყო მოლაპარაკებები მსოფლიოს წამყვან პოლიტიკოსებთან ბირთვულ განიარაღებაზე. ესპანეთში განსაკუთრებით დიდი რეზონანსი გამოიწვია 1986 წლის 15 იანვარს გორბაჩოვის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ, რომ მომხდარიყო მომდევნო 15 წლის განმავლობაში დედამიწის განთავისუფლება ბირთვული არსენალისაგან, ქიმიური იარაღის სრული განადგურება, ბირთვული იარაღის საცდელი აფეთქებების დაუყოვნებლივ შეწყვეტა, შეიარაღებული ძალებისა და იარაღის წარმოების შემცირება. ესპანეთის ხელისუფლება მხარს უჭერდა გორბაჩოვის ამ განცხადებას და გამოთქვამდა მზადყოფნას გაელო მაქსიმალური ძალისხმევა ბირთვული იარაღის სრული განადგურების საქმეში. 1986 წლის 7 აგვისტოს ესპანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, სა-

დაც ხაზგასმული იყო, რომ ესპანეთის ხელისუფლება თავისი უსაფრთხოების პოლიტიკაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა განიარაღებას და სხვა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრებთან ერთად აქტიურად იღწვოდა ბირთვული არსენალის შესამცირებლად. ფილიპე გონსალესი ასევე ხაზს უსვამდა იმას, რომ ესპანეთი არ დაუშვებდა თავის ტერიტორიაზე, ბირთვული, ქიმიური და სხვა სახის მასობრივი განადგურების იარაღის განთავსებას.⁵⁷

ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი ესპანეთის ისტორიაში, მას შემდეგ რაც დაიწყო დემოკრატიზაციის პროცესი ქვეყანაში, ალბათ არის 1986 წელი, როდესაც მოხდა ესპანეთის განწვრიანება ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში. ესპანეთის მოსახლეობა თავის სამშობლოს ყოველთვის თვლიდა ევროპის განუყოფელ ნაწილად როგორც კულტურული თვალსაზრისით, ასევე გეოგრაფიული ფაქტორებიდან გამომდინარე და მათი მიზანი ყოველთვის იყო ევროპის ერებს შორის ღირსეული ადგილის დამკვიდრება. ესპანეთის ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში მიღება ქვეყნისათვის არა მარტო ხანგრძლივი იზოლაციის დასასრულს ნიშნავდა, არამედ ეს მოვლენა ასევე მოასწავებდა თანამედროვე ესპანეთის ტრიუმფს ტრადიციულ ესპანეთზე. ქვეყნის ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში განწვრიანებით ახალი პერსპექტივები შეიქმნა ესპანეთის საგარეო პოლიტიკისათვის და გაიზარდა ევროპის ქვეყნებთან უფრო მჭიდრო ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების დამყარების შანსები. ესპანეთის მტკიცე მხარდაჭერა ევროპის ქვეყნებს შორის ინტეგ-

რაციული პროცესების გაღრმავების მიმართ ნათლად გამოვლინდა, როდესაც ესპანეთის პარლამენტმა მოახდინა მასტრიხტის ხელშეკრულების რატიფიკაცია. ქვეყანაში არსებულმა ყველა პოლიტიკურმა ძალამ ერთსულოვნად მხარი დაუჭირა ამ ხელშეკრულების რატიფიკაციას, რომელიც ახალ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა ევროპის ქვეყნების ინტეგრაციის პროცესში. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ევროპის გაერთიანების წევრმა სახელმწიფოებმა 1992 წლის 7 თებერვალს ჰოლანდიის ქალაქ მასტრიხტში და ამით საფუძველი დაუდეს ახალი პოლიტიკური გაერთიანების შექმნას, რომელსაც ევროკავშირი ეწოდა. ამ ხელშეკრულების მიხედვით გადაწყდა ერთიანი ევროპული მონეტარული კავშირის შექმნა, საერთოევროპული ვალუტისა და საერთო მოქალაქეობის შემოღება. ეს ძალზედ პროგრესული მოვლენა იყო ევროპის ისტორიაში, ვინაიდან ევროპაში მცხოვრებ ნებისმიერ მოქალაქეს მიეცა თავისუფალი გადაადგილების შანსი და ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში დასაქმების შესაძლებლობა. ევროპის ქვეყნებმა შესძლეს საერთო ენის გამონახვა და ამ ხელშეკრულებით მიაღწიეს შეთანხმებას საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის განხორციელების თაობაზე. ესპანეთი, როგორც ევროპის საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის შექმნის, ასევე საერთო თავდაცვის პოლიტიკის განხორციელების აქტიური მხარდამჭერი აღმოჩნდა. თუმცა ესპანეთს ძალზედ ალელვებს და არ სურს, რომ საფრანგეთი და გაერთიანებული სამეფო იყვნენ წამყვანი ქვეყნები ევროპის უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების დროს და კვლავ თვლის

ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსს, როგორც ევროპის თავდაცვის მთავარ გარანტს.

1986 წლიდან, მას შემდეგ რაც ესპანეთი განეწიანდა ევროპის გაერთიანებაში, ქვეყანა აქტიურად ლებულობს მონაწილეობას ევროპულ დებატებში და საერთო ევროპული პოლიტიკური კურსის შემუშავებაში. თავდაპირველად ესპანეთი ძირითადად ორიენტირებული იყო ევროკავშირის სამხრეთ სახელმწიფოების ინტერესების დაცვაზე, მაგრამ მისი პოლიტიკური წონა და პერსპექტივები გაიზარდა ბოლო წლებში. რადგან ესპანეთის გავლენა ევროკავშირში, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სტატუსის გაუმჯობესებასთან ერთად გაიზარდა, ქვეყანამ განაცხადა თავისი ამბიციის, რომ მიჩნეულ იქნას ევროკავშირის ერთ-ერთ „წამყვან ძალად“, ისევე როგორც გერმანია, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი და იტალია.

ევროპაში განეწიანებიდან სულ ცოტა ხანში ესპანეთმა დაამტკიცა, რომ არის ერთ-ერთი ყველაზე მეტად პროევროპული სახელმწიფო და დადებითად არის განწყობილი ევროპული სახელმწიფოების დაახლოებისა და ევროპული ინტეგრაციის პროცესის მიმართ. ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასა და ევროკავშირში განეწიანება დადებითი მოვლენა აღმოჩნდა ესპანეთისათვის, ვინაიდან მან დააჩქარა მოდერნიზაციის პროცესი ქვეყანაში და ხელი შეუწყო დემოკრატიული სისტემის განმტკიცებას.

ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასა და ნატოში ინტეგრაცია შეიძლება მიჩნეულ იქნას, როგორც სოციალისტური ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიღწევა და წარმატება. ეს ძალზედ მნიშვნელო-

ვანი მოვლენა იყო ესპანეთისათვის, ვინაიდან ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასა და ნატოში შესვლამ საშუალება მისცა ქვეყანას, რომ ერთხელ და სამუდამოდ თავი დაეღწია საერთაშორისო იზოლაციისაგან, რომელშიც ესპანეთი აღმოჩნდა ფრანკოს დიქტატორული რეჟიმის გამო.

ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსთან კავშირები კიდევ უფრო გაღრმავდა, მას შემდეგ რაც ხოსე მარია ასნარი გახდა ესპანეთის პრემიერ-მინისტრი 1996 წელს და დასრულდა ფილიპე გონსალესის ცამეტწლიანი მმართველობა. ასნარი მომხრე იყო, რომ მომხდარიყო ესპანეთის ინტეგრაცია ნატოს სამხედრო სტრუქტურაში. ესპანურ საზოგადოებაში ნატოს პოპულარობა განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც ხავიერ სოლანა, ესპანეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, ნატოს გენერალური მდივანი გახდა. 1996 წელს, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სახალხო პარტიამ (Partido Popular) საქვეყნოდ გააჟღერა მისი განზრახვა, რომ ესპანეთი უნდა გამხდარიყო ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის სრული წევრი. 1999 წელს, როდესაც დაიწყო სამხედრო ოპერაციები ბალკანეთში, ესპანეთის პრემიერი ხოსე მარია ასნარი მტკიცედ უჭერდა მხარს ნატოს სამხედრო აქციას სერბეთის წინააღმდეგ და ესპანეთის საჰაერო ძალების მცირე ნაწილმა მონაწილეობა მიიღო ბალკანეთში ნატოს საჰაერო თავდასხმების განხორციელებაში. ესპანეთი დღეისათვის აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სამშვიდობო ოპერაციებში და ქვეყანას ჰყავს თავისი სამშვიდობო ძალები ბოსნიაში.⁶²

ასნარის საგარეო პოლიტიკამ არაბულ ქვეყნებთან

ურთიერთობების დაძაბვა გამოიწვია. ესპანეთი, რომელიც ყოველთვის პროარაბულ პოლიტიკურ კურსს ატარებდა ახლო აღმოსავლეთში, ასნარის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ უკვე აშკარად უპირისპირდებოდა არაბულ სამყაროს. ხოსე მარია ასნარის ხელისუფლებაში ყოფნის დროს ძალზედ დაიძაბა ურთიერთობა ესპანეთსა და მაროკოს შორის. როდესაც მაროკოს სამეფო ტახტზე ჰასან მეორის გარდაცვალების შემდეგ, მისი შვილი მუჰამედ მეექვსე ავიდა, ესპანეთში გაჩნდა იმედი იმისა, რომ ესპანურ-მაროკოული ურთიერთობები გაუმჯობესდებოდა, მაგრამ სინამდვილეში საპირისპირო რამ მოხდა. ამ პერიოდში გაიზარდა მაროკოს ტერიტორიული პრეტენზიები ესპანეთის მიმართ. ესპანეთის აფრიკელი მეზობელი პრეტენზიებს აცხადებდა არა მხოლოდ სეუტაზე და მელილიაზე, არამედ ასევე ყველა იმ კუნძულებზე, რომლებიც მაროკოს სანაპიროების სიახლოვეს მდებარეობდა და ესპანეთის შემადგენლობაში შედიოდა. მაროკომ კუნძულ პერეხილის ოკუპაცია მოახდინა 2002 წლის 11 ივლისს, რამაც გამოიწვია დიპლომატიური კავშირების განწყვეტა ორ მეზობელ ქვეყანას შორის. ასნარმა საჯაროდ განაცხადა, რომ მისთვის მიუღებელი იყო მაროკოს მიერ პერეხილის ოკუპაცია და მაროკოელების განსადევნად გაგზავნა ესპანეთის შეიარაღებული ძალები კუნძულზე. 2002 წლის დეკემბერში დაიწყო ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა. ესპანეთის და მაროკოს საგარეო საქმეთა მინისტრები ერთმანეთს შეხვდნენ და მიაღწიეს შეთანხმებას თავიანთ ქვეყნებში ელჩების დაბრუნების თაობაზე.³³

როდესაც სპარსეთის ყურეში და ავღანეთში ომი დაიწყო, ესპანეთი აღმოჩნდა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი ყველაზე ლოიალური მხარდამჭერი და აქტიურად ჩაება ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტებში. ასნარი ატლანტიზმის პოლიტიკური დოქტრინის მიმდევარი იყო და თვლიდა რომ ესპანეთი ამერიკის შეერთებული შტატების ერთგული მოკავშირე უნდა გამხდარიყო. მას გრანდიოზული მიზნები ამოძრავებდა და მიიჩნევდა რომ ამერიკასთან დაახლოება და აქტიური თანამშრომლობა გააძლიერებდა ესპანეთის პოზიციებს საერთაშორისო არენაზე. ასნარი უპირობოდ უჭერდა მხარს ბუშის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკას და აშშ-ის ბრძოლას ტერორიზმის წინააღმდეგ, ვინაიდან თვლიდა რომ ამერიკის შეერთებული შტატები მას ეტას წინააღმდეგ ბრძოლაში და ბასკური ტერორიზმის აღმოფხვრაში დაეხმარებოდა. ასევე ასნარის ერთ-ერთი ოცნება იყო, რომ ესპანეთი გამხდარიყო დიდი რვიანის წევრი (G8). ის თვლიდა რომ აშშ-ის მხარდაჭერით ის შესძლებდა ამ მიზნის მიღწევას და გაზრდიდა ესპანეთის პრესტიჟს და ძალაუფლებას მსოფლიოში. მიუხედავად იმისა რომ მას მოსახლეობის მხარდაჭერა არ ჰქონდა და ესპანური საზოგადოება ერაყში ომის დაწყებას ეწინააღმდეგებოდა, ასნარს მაინც მტკიცედ ჰქონდა გადანყვეტილი მხარში ამოდგომოდა აშშ-ს ერაყის ომში. ესპანეთის მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტი არ ემხრობოდა ახლო აღმოსავლეთში ომის დაწყებას.³³ არა მარტო ესპანეთის მოსახლეობის უმრავლესობა, არამედ ასევე სახალხო პარტიის (Partido Popular) ზოგიერთი წევრი ერაყის ომის წი-

ნააღმდეგი იყო. ესპანეთის დიდ ქალაქებში დაიწყო მასობრივი გამოსვლები და დემონსტრაციები. ესპანელი ხალხი აშკარად გამოხატავდა უკმაყოფილებას ხელისუფლების გადანაცვლების მიმართ, ამიტომაც ასნარი იძულებული გახდა ტელევიზიით გამოსულიყო და თავი ემართლებინა. ტელევიზიაში ერთ-ერთი გამოსვლის დროს მან განაცხადა, რომ ერაცი ფლობდა მასობრივი განადგურების იარაღს და რომ მას ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები გააჩნდა. ის ამტკიცებდა, რომ სადამ ჰუსეინს კავშირები ჰქონდა ალ-ქაიდასთან და სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა საერთაშორისო თანამეგობრობისათვის. ასნარს ესპანეთში ბევრი პოლიტიკური ოპონენტი გამოუჩნდა, რომლებიც მოითხოვდნენ ერაციდან ჯარების გამოყვანას, მათ შორის იყო სოციალისტური ოპოზიციის ლიდერი, ხოსე ლუის როდრიგეს საპატერო. ასნარი ყოველი მხრიდან დიდი წინააღმდეგობას აწყდებოდა, მაგრამ მაინც ბუშის ერთგული რჩებოდა და უარს ამბობდა ერაციდან ჯარების გაყვანაზე. ბუშისათვის მართლაც ძალზედ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხოსე მარია ასნარის მხარდაჭერას, ვინაიდან ევროკავშირის წამყვანი ქვეყნები საფრანგეთი და გერმანია აშკარად უპირისპირდებოდნენ ბუშის პოლიტიკას და ერაციის ომის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ასნარის ხელისუფლებას განსაკუთრებით დიდი პრობლემები შეექმნა მას შემდეგ, რაც არჩევნებამდე სამი დღით ადრე, 2004 წლის 11 მარტს განხორციელდა ტერორისტული აქტები მადრიდში, რამაც 191 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, 1247 ადამიანი კი სხეულის დაზიანება მიიღო. ხელისუფლებამ სცადა ამ ტერაქტების ეტაზე

გადაბრალება. მოგვიანებით გაირკვა, რომ ტერაქტები ისლამური ორგანიზაცია ალ-ქაიდას მიერ იყო განხორციელებული, მაგრამ ხელისუფლება მაინც ჯიუტად ეტას ადანაშაულებდა ტერაქტების განხორციელებაში. მოსახლეობისათვის სიმართლის დამალვამ ხალხის გაღიზიანება გამოიწვია. ესპანელი ხალხი ქუჩაში გამოვიდა და მოითხოვა ხელისუფლებისგან გამოძიების შედეგების გამჟღავნება. მადრიდში განხორციელებულმა ტერაქტებმა ძალზედ დიდი გავლენა იქონია 2004 წლის 14 მარტის საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე და სახალხო პარტიის (Partido Popular) არჩევნებში დამარცხება გამოიწვია. ამ ტერაქტების განხორციელებამდე სახალხო პარტიას არჩევნებში გამარჯვების დიდი შანსი ჰქონდა და ძალიან დიდი იყო ალბათობა იმისა, რომ ესპანეთის პრემიერ-მინისტრი გამხდარიყო ასნარის ფავორიტი და მის მიერ პრემიერ მინისტრის კანდიდატად დასახელებული მარიანო რახოი. 2004 წლის თებერვალში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, დაძაბული პოლიტიკური სიტუაციის მიუხედავად, სახალხო პარტია (Partido Popular), შესძლებდა ზედიზედ მესამედ არჩევნებში გამარჯვებას და 42,2% ხმების მოპოვებას, ხოლო ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტია დააგროვებდა მხოლოდ ხმების 35,5 %-ს, მაგრამ მადრიდის ტერაქტებმა ყველაფერი 180 გრადუსით შეცვალა. მადრიდის ტერაქტებმა გამოიწვია სახალხო პარტიის რეიტინგის დაცემა და სოციალისტების არჩევნებში გამარჯვება.

ხოსე ლიუს როდრიგეს საპატერო გახდა ესპანეთის ახალი პრემიერ მინისტრი, რომელმაც 2004 წლის

19 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება ერაყიდან ესპანური სამხედრო ძალების გამოყვანის თაობაზე. ტუნისში ერთი-ერთი ოფიციალური ვიზიტის დროს მან მოუწოდა ყველა ქვეყნებს, რომ გამოეყვანათ თავიანთი ჯარები ერაყიდან. ამ პოპულისტურმა განცხადებებმა საპატეროს დიდი საერთაშორისო მხარდაჭერა მოუპოვა, მაგრამ გამოიწვია ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ბუშის ადმინისტრაციასთან ურთიერთობების დაძაბვა. აშშ-ის საპრეზიდენტო კანდიდატმა ჯონ ქერიმ თხოვნით მიმართა ესპანეთის პრემიერ მინისტრს, რომ არ გამოეყვანა ჯარები ერაყიდან, მაგრამ საპატერომ მაინც მიიღო გადაწყვეტილება ერაყიდან ჯარების გამოყვანის თაობაზე. სამაგიეროდ მან განიზრახა, რომ გაეზარდა ესპანეთის შეიარაღებული ძალების რაოდენობა ავღანეთში და გაეგზავნა ჯარები ჰაიტიზე, რათა საერთაშორისო თანამეგობრობისათვის ეჩვენებინა ესპანეთის ხელისუფლების მზაობა გაელო რესურსები გაეროს მიერ აპრობირებული საერთაშორისო მისიების მხარდასაჭერად.

საპატეროს ხელისუფლებაში მოსვლამ ესპანეთის საგარეო პოლიტიკური კურსის რადიკალური შეცვლა გამოიწვია. მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ესპანეთის საგარეო პოლიტიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება იყო ლათინური ამერიკის მემარცხენე ლიდერებთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება. ხოსე ლუის როდრიგეს საპატერომ ძალზედ თბილი და მეგობრული ურთიერთობა დაამყარა ლათინური ამერიკის კომუნისტ დიქტატორებთან, ფიდელ კასტროსთან და უგო ჩავესთან.³² მან დიდი როლი ითამაშა კუბასა და ევროკავშირს შორის ურთიერთო-

ბების გაღრმავებაში. საპატერო ასევე მძლავრ დიპლომატიურ, პოლიტიკურ და სამხედრო მხარდაჭერას უწევდა უგო ჩავესის რეჟიმს. 2005 წელს მან ვენესუელაში იმოგზაურა და ხელი მოაწერა ხელშეკრულებას სამხედრო დახმარების შესახებ. ამ ხელშეკრულების თანახმად ესპანეთს უნდა მიეყიდა სამხედრო გემები და თვითმფრინავები ვენესუელასათვის. სამხედრო დახმარების საერთო ღირებულება 2.3 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა. აშშ-ის მცდელობა, რომ შეეჩერებინა ამ ხელშეკრულების დადება წარუმატებელი აღმოჩნდა. საპატეროს ასევე ძალიან მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა ბოლივიის მემარცხენე ლიდერთან, ევო მორალესთან. საპატეროს მიერ განხორციელებულმა საგარეო პოლიტიკამ გამოიწვია მსოფლიოს უძლიერეს ქვეყანასთან, აშშ-სთან ურთიერთობების დაძაბვა. 2004 წლის ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებში საპატერო საჯაროდ მხარს უჭერდა ჯონ ქერის, რის გამოც მას გაუფუჭდა ურთიერთობები ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციასთან. საპატეროს ასეთი ნეგატიური დამოკიდებულება პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მიმართ შეიძლება აიხსნას იმ დროს ესპანეთში გაბატონებული საზოგადოებრივი აზრით. მადრიდის ტერაქტების შემდეგ ესპანეთის მოსახლეობა ძალზედ ნეგატიურად იყო განწყობილი პრეზიდენტ ბუშის მიმართ. ესპანეთში ბუშის არაპოპულარობა იმდენად დიდი იყო, რომ საპატეროს შეეძლო ღიად დაპირისპირებოდა ჯორჯ ბუშს და მის მიერ გატარებულ პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში. სწორედ ესპანეთში ბუშის არაპოპულარობამ შეაძლებინა საპატეროს ორჯერ, 2004 და 2008 წელს არჩევ-

ნებში გამარჯვების მოპოვება.

როდესაც ბარაქ ობამა აირჩიეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად, მან საჯაროდ განაცხადა მისი მზაობა, გაელრმავებინა ესპანეთთან თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში. ბარაქ ობამა და ხოსე ლუის როდრიგეს საპატერო რამდენიმეჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და გამოთქვეს ორ ქვეყანას შორის მეგობრული და მჭიდრო ორმხრივი ურთიერთობების დამყარების სურვილი. მიუხედავად ამ მცდელობისა, საპატეროს ხელისუფლებაში ყოფნის დროს ურთიერთობები ესპანეთსა და აშშ-ს შორის არ გაუმჯობესებულა. პირიქით, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა მას შემდეგ, რაც ესპანეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება კოსოვოდან სამშვიდობო ძალების გამოყვანის თაობაზე. 2009 წელს საპატეროს ხელისუფლებამ კოსოვოდან გაიწვია 630 ესპანელი ჯარისკაცი, რომელიც ნატოს სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში შედიოდა. გადაწყვეტილება კოსოვოდან ჯარების გამოყვანის შესახებ ნაჩქარევად იქნა მიღებული და არ მომხდარა ამ საკითხის განხილვა ესპანეთის მოკავშირეებთან.³⁰ საპატეროს ამ გადაწყვეტილებამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობაში დიდი იმედგაცრუება გამოიწვია.

ასნარისაგან განსხვავებით საპატერო ატლანტიზმის პოლიტიკური დოქტრინის მიმდევარი არ იყო. ის უფრო ევროპისაკენ იხრებოდა და პანევროპული პოლიტიკური კურსის გატარებას ანიჭებდა უპირატესობას. საპატეროს ხელისუფლება აქტიურად უჭერდა მხარს ევროკავშირის ნევრი ქვეყნებისათვის საერთო

კონსტიტუციის შექმნას. ესპანეთი ევროკავშირის 25 წევრი ქვეყნიდან პირველი იყო, რომელმაც მოახდინა 2005 წლის 20 თებერვალს ევროკავშირის კონსტიტუციის რეფერენდუმზე გატანა. საპატერო დარწმუნებული იყო, რომ ესპანელი ხალხი ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებს დადებით მაგალითს უჩვენებდა.⁴⁶ საპატეროს ხელისუფლება მოუწოდებდა რეფერენდუმში მონაწილეებს, რომ მხარი დაეჭირათ ევროკავშირის კონსტიტუციისათვის. ხელისუფლების აქტიურობამ დადებითი შედეგი გამოიღო და რეფერენდუმში მონაწილეთა 77 %-მა ევროკავშირის კონსტიტუციის მიღებაზე თანხმობა განაცხადა. მიუხედავად ამ წარმატებისა ევროკავშირის კონსტიტუციის მომავალი მაინც სათუო გახდა, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ორმა ქვეყანამ, საფრანგეთმა და ჰოლანდიამ რეფერენდუმით ეს პროექტი უარყო. რატიფიცირების პროცესში, 2005 წელს ფრანგებმა და ჰოლანდიელებმა მხარი არ დაუჭირეს კონსტიტუციის მიღებას. ამ ორ ქვეყანაში კონსტიტუციის პროექტის ჩავარდნის გამო ზოგიერთი სხვა ქვეყნის მთავრობებმაც რეფერენდუმი გადადეს ან გააუქმეს, რამაც თავის მხრივ გამოიწვია კონსტიტუციის მიღების გაურკვეველი ვადით გადადება.

საპატეროს ხელისუფლების ერთ-ერთი მიზანი საერთაშორისო პოლიტიკაში ევროკავშირის როლის გაზრდა იყო. საპატერო თვლიდა, რომ ევროპა უფრო ერთიანი და ძლიერი უნდა გამხდარიყო და ევროკავშირს უნდა ჰქონოდა უფრო მეტი გავლენა მსოფლიო პოლიტიკაში. მას სურდა რომ ესპანეთს შეესრულებინა გადამწყვეტი როლი ევროპის გაძლიერების საქმეში.³⁷ 2010 წლის 1 იანვარს ესპანეთმა მეოთხედ, ექვსი

თვის ვადით გადაიბარა ევროკავშირის თავმჯდომარეობა შვედეთისაგან. მიუხედავად იმისა, რომ საპატეროს ცივი ურთუერთობები ჰქონდა აშშ-ის ხელისუფლებასთან, ამ პერიოდში მეტად მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები გაფორმდა ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ამ ხელშეკრულებებიდან აღსანიშნავია: შეთანხმება ტერორიზმის წინააღმდეგ ერთობლივად ბრძოლის შესახებ, SWIFT-ის ხელშეკრულება და „ლია ცის“ ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებების დადებამ კიდევ უფრო გააძვირა და გაამარტივა ტერორიზმთან ბრძოლა. მაგალითად SWIFT-ის ხელშეკრულების თანახმად, რომელიც 2010 წლის 8 ივლისს გაფორმდა, ამერიკის ხელისუფლებას საჭიროების შემთხვევაში შეუძლია შეამოწმოს ევროპელი მოქალაქეების საბანკო მონაცემები და ნებისმიერი ფინანსური ტრანსაქციები. ასევე ძალზედ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო „ლია ცის“ ხელშეკრულების გაფორმება. ამ ხელშეკრულების თანახმად ევროპისა და აშშ-ის ავიახაზებს უფლება აქვთ იფრინონ ნებისმიერ ქალაქში როგორც ევროპაში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ ხელშეკრულებით ძალზედ გამარტივდა ფრენები, რაც კიდევ უფრო გაზრდის და გააღრმავებს ორ კონტინენტს შორის კავშირებს. საპატეროს ხელისუფლებამ დიდი ყურადღება დაუთმო ევროპის აღმოსავლეთით გაფართოებას, განსაკუთრებით კი ბალკანეთის ქვეყნების და თურქეთის ევროპაში ინტეგრაციის საკითხს.²⁵ მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული ხორვატიასთან, სერბეთთან და თურქეთთან მოლაპარაკებების პროცესში. თუმცა ამ ქვეყნების ევროკავშირში სრულყოფილებიან

წევრობამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი, ასეთ მოლაპარაკებებს ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს, რაც აუცილებლად გამოიწვევს ამ ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციას. ესპანეთის მიერ ევროკავშირის თავმჯდომარეობის ექვსთვიანი პერიოდი საბოლოო ჯამში შეიძლება დადებითად შეფასდეს.

რაც შეეხება ესპანეთის ნატოსთან ურთიერთობას, ძალზედ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2011 წლის 5 ოქტომბერს ქალაქ ბრიუსელში, ნატოს შტაბბინაში მიღწეული შეთანხმება ესპანეთში ნატოს ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემის განთავსების თაობაზე. ესპანეთის პრემიერ-მინისტრს, ნატოს გენერალურ მდივანსა და ამერიკის თავდაცვის მდივანს შორის მიღწეული შეთანხმების შედეგად ესპანეთი ევროპაში ნატოს რაკეტსანიანალმდეგო სისტემას შეუერთდა. გეგმის მიხედვით სამხრეთ-დასავლეთ ესპანეთში, როტას სამხედრო ბაზაზე ამერიკის შეერთებული შტატების გემები განთავსდება, რომლებიც რაკეტსანიანალმდეგო თავდაცვითი სისტემით იქნება აღჭურვილი.⁴⁸ ანტისარაკეტო ფარის მიზანია ირანიდან მომავალი საფრთხეების განეიტრალება და ევროპის დაცვა. როგორც ცნობილია ირანი ფლობს ახლო, საშუალო და შორი მოქმედების ბალისტიკურ რაკეტებს, რომლებიც მას შეუძლია რომ ნებისმიერ დროს ევროპის მიმართულებით გაუშვას. ანტისარაკეტო თავდაცვითი სისტემა იძლევა იმის საშუალებას, რომ დროზე მოხდეს ასეთი ტიპის ბალისტიკური რაკეტების აღმოჩენა და განადგურება. სწორედ ამიტომაც ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს ანტისარაკეტო თავდაცვითი სისტემის გაფართოებას. ნატოს ანტისარაკეტო ფარის ევროპა-

ში განთავსების პროცესი 2018 წელს დასრულდება.

საპატეროს ხელისუფლება 2007-2008 წლებში დაწყებულმა ფინანსურმა კრიზისმა შეინირა. 2007 წლამდე ესპანეთის ეკონომიკა ძალზედ სწრაფად იზრდებოდა და ესპანეთი ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე პროგრესულ ქვეყანად ითვლებოდა, მაგრამ გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა ყველაფერი 180 გრადუსით შეცვალა და ესპანეთი ძალზედ დააზარალა. ესპანეთში შემცირდა სამუშაო ადგილები და უმუშევრობის დონემ ქვეყანაში 20 პროცენტს მიაღწია. საპატეროს უუნარობამ გამკლავებოდა ფინანსურ კრიზისს, მისი რეიტინგის სწრაფი ვარდნა გამოიწვია.⁴⁷ საპატეროს პოპულარობის დაცემასთან ერთად გაიზარდა ესპანეთის ყველაზე დიდი კონსერვატიული პარტიის, სახალხო პარტიის მხარდაჭერთა რიცხვი. ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემების გამო 2011 წლის 20 ნოემბერს გამართულ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში სოციალისტები დამარცხდნენ და ესპანეთის პრემიერ მინისტრი გახდა სახალხო პარტიის ლიდერი მარიანო რახოი. თუ რა საგარეო პოლიტიკურ კურსს გაატარებს მარიანო რახოი ჯერ-ჯერობით უცნობია, მაგრამ მაინც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის უფრო მჭიდრო ურთიერთობებს დაამყარებს ამერიკის შეერთებულ შტატებთან და საპატეროსაგან განსხვავებით არ დაიჭერს ახლო ურთიერთობებს ანტიამერიკულ ქვეყნებთან და ლათინური ამერიკის ისეთ გარიყულ რეჟიმებთან, როგორც არის უგო ჩავესის რეჟიმი ვენესუელაში და კასტროს კომუნისტური რეჟიმი კუბაში. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს მარიანო რახოის მიერ გაკეთებული განცხადებები. ის

ხშირად აკრიტიკებდა საპატეროს ლათინური ამერიკის მემარცხენე ლიდერებთან დაახლოების გამო და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობების დაძაბვის გამო.



ფილიპე გონსალესი და ადოლფო სუარესი.



აშშ-ის პრეზიდენტი რონალდ რეიგანი და ესპანეთის პრემიერ მინისტრი ფილიპე გონსალესი.



ტონი ბლერი, ჯორჯ ბუში და ხოსე მარია ასნარი.



ამერიკის პრეზიდენტი ბილ კლინტონი, ნატოს გენერალური მდივანი ხა-
ვიერ სოლანა, თურქეთის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი და ესპანეთის
პრემიერ მინისტრი ხოსე მარია ასნარი ნატოს სამიტზე. 1999 წელი.



კუნძული პერეხილი ერთ პატარა კდლეს წარმოადგენს, რომელიც არის
სადაო ტერიტორია ესპანეთსა და მაროკოს შორის.



ესპანეთის შვიარაღებული ძალები კუნძულ პერეხილს აკონტროლებენ.



2004 წლის 11 მარტს ალ ყაიდას მიერ განხორციელებული ერთ-ერთი ტერაქტი მადრიდში. ტერაქტების შემდეგ საპატერომ მიიღო გადაწყვეტილება ერაყიდან ესპანეთის შვიარაღებული ძალების გამოყვანის შესახებ.



ესპანეთის პრემიერ მინისტრი ხოსე ლუის როდრიგეს საპატერო და ვენესუელას პრეზიდენტი უგო ჩავესი. მადრიდი, 2009 წლის 11 სექტემბერი.



ესპანეთის პრემიერ მინისტრი ხოსე ლუის როდრიგეს საპატერო და ბოლივიის პრეზიდენტი ევო მორალესი. მადრიდი, 2009 წლის 15 სექტემბერი.



ესპანეთის პრემიერ მინისტრი ხოსე ლუის როდრიგეს საპატერო და აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა.



ესპანეთის თავდაცვის მინისტრი კარმე ჩაკონი ლეზულობს გადაწყვეტილებას კოსოვოდან ჯარების გამოყვანის შესახებ.

4. ესპანეთი და ლათინური ამერიკა

ლათინური ამერიკა არის ის რეგიონი, სადაც ესპანეთის საგარეო პოლიტიკა ყველაზე თანმიმდევრულია. ეს თანმიმდევრულობა სათავეს იღებს ფრანკოს რეჟიმის საწყისი ეტაპიდან და მისი ხელისუფლებაში ყოფნის მთელ პერიოდს მოიცავს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ესპანეთის საგარეო პოლიტიკა ფრანკოს სიკვდილის შემდეგ, დემოკრატიზაციის პროცესის დაწყების დროს და დემოკრატიაზე გადასვლის შემდეგ, არსებითად არ განსხვავდებოდა ფრანკოს მიერ ლათინურ ამერიკაში გატარებული საგარეო პოლიტიკისაგან.⁵

ესპანეთსა და სამხრეთ ამერიკას შორის ურთიერთობები საუკუნეებს ითვლის და იწყება 1492 წელს, როდესაც ქრისტეფორე კოლუმბმა აღმოაჩინა ახალი კონტიტენტი. ამ პერიოდიდან მოყოლებული იწყება ამერიკის კოლონიზაცია და ესპანეთის იმპერიის ეტაპობრივი ექსპანსია როგორც სამხრეთ, ასევე ცენტრალურ და ჩრდილოეთ ამერიკაში. მთავარი მოტივაცია, რაც ესპანეთს კოლონიური ექსპანსიისაკენ უბიძგებდა, ვაჭრობა და კომერცია იყო, ასევე სურვილი ქრისტიანული რელიგიის გავრცელებისა ახალ მიწებზე. ესპანელი კონკისტადორები საუკუნეების განმავლობაში აქტიურად იბრძოდნენ ადგილობრივი ინდიელი ტომების დასამორჩილებლად და ესპანური ენის, კულტურის და კათოლიკური რელიგიის გასავრცელებლად ამერიკის კონტიტენტზე. ამერიკის კოლონიზაციისა და ათვისების პროცესი გაგრძელდა ოთხი საუკუნე და დასრულდა 1898 წელს, ესპანეთ-ამერიკის ომის შემდეგ, როდესაც ესპანეთმა დაკარგა ბოლო კოლონიები

კუბა, პუერტო რიკო, გუამი და ფილიპინები.

ამრიგად, ესპანეთის მჭიდრო ურთიერთობას ლათინური ამერიკის ქვეყნებთან ღრმა ისტორიული ფესვები გააჩნია. ეს მჭიდრო კავშირები განმტკიცებულია საერთო კულტურით, ენითა და რელიგიით და ბოლო წლებში კიდევ უფრო ღრმავდება გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებითა და ინვესტიციების საშუალებით. ესპანეთსა და ლათინურ ამერიკას შორის ურთიერთობები ეფუძნება ცნებას მონათესავე ესპანურენოვანი ხალხების არსებობის შესახებ, რომლებსაც ერთმანეთთან აკავშირებთ საერთო წარსული, ენა და საერთო კულტურა. ესპანეთს ლათინური ამერიკის ქვეყნებთან გააჩნია ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის პროექტები, ასევე კულტურულ-საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამები. ევროპის ქვეყნების უმრავლესობა დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს ლათინურ ამერიკას და ამ რეგიონით მათი დაინტერესებაც ნაკლებია. იგივეს ვერ ვიტყვით ესპანეთზე და პორტუგალიაზე, რომლებიც ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდნენ ამერიკის კონტიტენტის მიმართ, ვინაიდან XVI საუკუნეში ის წარმოადგენდა მათი ვრცელი იმპერიების ბაზისს და მისი საშუალებით ესპანეთი და პორტუგალია დაწინაურდნენ ევროპის კონტინენტზე, როგორც ერთ-ერთი უძლიერესი იმპერიული სახელმწიფოები. დღესაც კი, როდესაც ესპანეთი და პორტუგალია ოფიციალურად აღიარებენ მათი კოლონიების დამოუკიდებლობას, კვლავ აცხადებენ პრეტენზიებს ამ ქვეყნებთან „განსაკუთრებული ურთიერთობების“ შენარჩუნებაზე. ესპანეთი და პორტუგალია კვლავ ძალზედ მჭიდრო ლინგვისტურ,

რელიგიურ, კულტურულ და პოლიტიკურ კავშირებს ინარჩუნებენ იბერო-ამერიკულ სახელმწიფოებთან.⁸

ესპანეთი მუდამ ცდილობდა კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის შენარჩუნებას ლათინურ ამერიკაში, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ყოველთვის ეფექტურად ვერ ართმევდა ამ დავალებას თავს. ესპანეთის სახელმწიფოს დაკნინებასთან ერთად, სულ უფრო და უფრო რთული ხდებოდა საერთაშორისო პოლიტიკაში აქტიური მონაწილეობა და ლათინურ ამერიკაში გავლენის შენარჩუნება. ესპანეთსა და ლათინურ ამერიკას შორის ურთიერთობები ყოველთვის ია-ვარდებით მოფენილი არ ყოფილა.⁶ იბერო-ამერიკის ქვეყნები ხშირად აკრიტიკებდნენ ესპანეთს იმპერიალისტური ამბიციების გამო და მათი ჩამორჩენილობის და განუვითარებლობის მიზეზად ყოველთვის ესპანეთს მიიჩნევდნენ. ლათინოამერიკელები ხშირად ეჭვის თვალით უყურებდნენ ესპანეთს და კოლონიური წარსულის გამო ეს ქვეყანა მათში ხშირად ზიზღს და უარყოფით გრძნობებს აღძრავდა. როდესაც ლათინური ამერიკის ქვეყნებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს, მათთვის ესპანეთი ზიზღისა და დაცინვის ობიექტი გახდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, იბერო-ამერიკის სახელმწიფოებმა უარყვეს მათი ესპანური წარსული: ესპანური სახელმწიფოებრივი წყობილება და პოლიტიკური სისტემა, ესპანური უნივერსიტეტები და კულტურა, ესპანური სოციალური სტრუქტურა, ესპანური კანონმდებლობა და სამართალი, კათოლიკური რელიგია, და ა.შ. მიუხედავად დიდი მცდელობისა, რომ დაშორებოდნენ კოლონიურ წარსულს და უარი ეთქვათ ესპანურ ღი-

რებულებებზე, სახელმწიფოს მეთაურები დარწმუნდნენ, რომ განსხვავებული და ახალი ღირებულებების შექმნას აზრი არ ჰქონდა და არარეალური იყო. იმედაცრუებულები იძულებული იყვნენ ისევ ესპანურ ადათ-წესებს დაბრუნებოდნენ, ხელახლა გაეანალიზებინათ და დადებითი თვისებები ეძებნათ თავიანთ კოლონიურ წარსულში.⁴ მეოცე საუკუნის დასაწყისში „ჰისპანოფობია“, რომელიც გავრცელებული იყო ლათინურ ამერიკაში ესპანეთისაგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1824 წლიდან), თანდათანობით მინელდა და შეიცვალა დამოკიდებულება ესპანური კულტურისა და ღირებულებების მიმართ.

ესპანეთსა და ლათინურ ამერიკის ქვეყნებს შორის ურთიერთობებმა რადიკალური ტრანსფორმაცია განიცადა 1898 წლის ესპანეთ-ამერიკის ომის შემდეგ. ესპანეთისათვის გამანადგურებელი დარტყმის მიყენების შემდეგ გაიზარდა ამერიკის შეერთებული შტატების გავლენა სამხრეთ ამერიკაში. აშშ სულ უფრო და უფრო აქტიურად ერეოდა ლათინური ამერიკის ქვეყნების საშინაო საქმეებში, რამაც გამოიწვია ესპანეთისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების დაახლოება და გაერთიანება საერთო მტრის წინააღმდეგ.²² ესპანეთმა და იბერო-ამერიკის ქვეყნებმა თანდათანობით დაიწყეს საერთო ნორმებისა და კულტურული ღირებულებების დაფასება, რომლებსაც ყველა ესპანურენოვანი ხალხები იზიარებდნენ. მიუხედავად ამისა, მათ შორის პოლიტიკური ურთიერთობები დიდი ხნის განმავლობაში მინიმუმამდე იყო დასული.

ფრანკოს მმართველობის დროს ესპანეთის ხელისუფლება ცდილობდა, რომ უფრო მჭიდრო კავშირე-

ბი დაემყარებინა ლათინური ამერიკის ქვეყნებთან. ფრანკისტული დიქტატურის წლებში ესპანეთი ამერიკის შეერთებული შტატების სატელიტი ქვეყანა გახდა და გარკვეულწილად დაკარგა დამოუკიდებლად მოქმედების უნარი. ამის საკომპენსაციოდ ფრანკო შეეცადა, რომ გაეძლიერებინა კავშირები ლათინური ამერიკის ქვეყნებთან, რათა თავისი რეჟიმი საერთაშორისო პოლიტიკაში მსოფლიო როლით უზრუნველყო.² გაჩნდა იდეა საერთო ბაზრის შექმნის შესახებ. ფრანკოს ხელისუფლება თვლიდა, რომ ესპანეთსა და ლათინურ ამერიკას უნდა შეექმნათ საერთო ბაზარი, რათა ესპანეთით ევროპა უფრო მეტად დაინტერესებულიყო და ქვეყანას ჰქონოდა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში ინტეგრაციის პერსპექტივა. ფრანკო ასევე ოცნებობდა ესპანეთის იმპერიის აღდგენაზე და ამიტომაც მისთვის ლათინური ამერიკის ქვეყნებთან ურთიერთობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ფრანკო აგრესიულად მისდევდა „ისპანიზმის“ პოლიტიკას ლათინურ ამერიკაში, მაგრამ მიუხედავად დიდი მცდელობისა ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწია. ესპანეთს, რომელიც 1960-იან წლებამდე ოფიციალურად კლასიფიცირდებოდა, როგორც მესამე მსოფლიოს ქვეყანა, არ შეეძლო კონკურენცია გაეწია ამერიკის შეერთებული შტატებისათვის სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე გავლენის მოსაპოვებლად. სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა 1960-იან და 1970-იან წლებში, როდესაც ესპანეთში ეკონომიკური მდგომარეობა თანდათანობით გაუმჯობესდა. დაიწყო ესპანეთის ეკონომიკის სწრაფი ტემპით განვითარება, რამაც საშუალება მისცა ქვეყანას, რომ

ლათინურ ამერიკაში თავისი პრესტიჟი და გავლენა გაეზარდა.⁶ 1975 წლიდან მოყოლებული ქვეყნის იმიჯი ლათინური ამერიკის ქვეყნებში საგრძნობლად გაუმჯობესდა და მათთვის ესპანეთი გახდა დასავლური ლიბერალური დემოკრატიის ერთ-ერთი სანიმუშო მოდელი. დემოკრატიზაციის პროცესის დაწყებით და დემოკრატიული რეფორმების გატარებით ესპანეთის ხელისუფლება ლათინური ამერიკის ლიდერებს სთავაზობდა მაგალითს, თუ როგორ უნდა გაეტარებინათ რეფორმები საკუთარ ქვეყნებში. დიქტატურიდან დემოკრატიაზე გადასვლის შემდეგ, ესპანეთის მთავარი მიზანი იყო უცხოეთში გავლენის გაზრდა და შემდგომი „სატელიტიზაციის“ თავიდან აცილება. „განსაკუთრებულ ურთიერთობებს“ შეეძლო გადამწყვეტი როლი ეთამამა ამ მიზნების მისაღწევად. ამიტომაც ესპანეთმა დემოკრატიაზე გადასვლის შემდეგ დაიწყო უფრო აგრესიული საგარეო პოლიტიკური კურსის გატარება და მიზნად დაისახა ლათინურ ამერიკაში თავისი გავლენის გაზრდა. ამ პერიოდიდან მოყოლებული საგრძნობლად გაიზარდა ესპანური ინვესტიციების მოცულობა ლათინური ამერიკის ქვეყნებში და დაიწყო ესპანეთის პრეზიდენტისა და მეფის, ხუან კარლოსის ხშირი ვიზიტები ამ რეგიონში. მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთი ეწინააღმდეგებოდა არგენტინაში გაბატონებულ დიქტატორულ რეჟიმს, ფოკლენდის ომის დროს ესპანეთმა არგენტინის მხარე დაიჭირა და ოფიციალურად აღიარებდა, რომ ფოკლენდის კუნძულები არგენტინის განუყოფელი ნაწილი იყო. ომი არგენტინის მარცხით დამთავრდა, რამაც გამოიწვია სამხედრო ხუნტის დამხობა და დემოკრატიული რეჟი-

მის დამყარება ქვეყანაში.²²

ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ფერნანდო მორანი ამტკიცებდა, რომ ესპანეთის პოლიტიკური მანევრირების სივრცე ევროპაში და ამერიკის შეერთებულ შტატებთან დიდწილად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შესძლებდა ქვეყანა პრივილეგირებული ურთიერთობების შენარჩუნებას ევროპის ფარგლებს გარეთ. ამიტომაც როდესაც სოციალისტები მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში, მათ მიზნად დაისახეს მჭიდრო კავშირების დამყარება ყველა ლათინური ამერიკის ქვეყნებთან ისეთ სფეროებში, როგორცაა კულტურა, ეკონომიკა, პოლიტიკა და მეცნიერება.²⁴ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება შემდეგ ქვეყნებთან: არგენტინა, მექსიკა, ვენესუელა, ჩილე, ბრაზილია და კოლუმბია. ესპანეთის სოციალისტურმა მთავრობამ შექმნა ჰუმანიტარული დახმარების სპეციალური პროგრამა ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის, რომლის ბიუჯეტი 1985 წელს ათობით მილიონ დოლარს მოიცავდა. ესპანეთი ასევე ეწეოდა აქტიურ კომერციულ საქმიანობას ლათინურ ამერიკაში. ესპანურმა კომპანიებმა თავიანთი ფილიალები გახსნეს ლათინური ამერიკის ეკონომიკურად ყველაზე განვითარებულ ქვეყნებში, განსაკუთრებით: ბრაზილიაში, მექსიკაში, ვენესუელაში, ჩილეში და არგენტინაში.

ესპანეთის გავლენა ლათინური ამერიკის ქვეყნებში კიდევ უფრო გაზარდა მას შემდეგ, რაც ქვეყანა განუვრიანდა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში. ევროპაში ინტეგრაციამ საშუალება მისცა ესპანეთს,

რომ გაედღიერებინა თავისი პოზიციები ლათინურ ამერიკაში და უფრო ნათლად დაეფიქსირებინა თავისი სურვილი, რომ გამხდარიყო ორ კონტიტენტს შორის დამაკავშირებელი ხიდი.⁶ ესპანეთი გამოდიოდა ლათინური ამერიკის ინტერესების დამცველად ევროკავშირში, დიდი თავგამოდებით იცავდა ლათინური ამერიკის ეკონომიკურ და კომერციულ ინტერესებს ევროპაში და აქტიურად ცდილობდა, რომ ყოფილიყო შუამავალი ორ კონტინენტს შორის. ესპანეთის ყურადღება ყოველთვის ლათინური ამერიკის ქვეყნებისაკენ იყო მიპყრობილი. ამავე დროს, ესპანეთი ცდილობდა გამოეყენებინა მისი მჭიდრო კავშირები იბერო-ამერიკასთან თავისი პოზიციების გასაძლიერებლად ევროკავშირში. ლათინურ ამერიკასთან ურთიერთობას ესპანეთისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და ამიტომაც ქვეყანა მომავალშიც გააგრძელებს განსაკუთრებული ურთიერთობების შენარჩუნებას ამ რეგიონთან; ყოველთვის იქნება შუამავალი ლათინურ ამერიკასა და ევროპას შორის და ხელს შეუწყობს ორ კონტინენტს შორის ურთიერთობების გაღრმავებას.

ესპანეთისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო იბერო-ამერიკული სამიტების დაარსება. იბერო-ამერიკული კონფერენციის შექმნის იდეა ეკუთვნის მექსიკის პრეზიდენტ კარლოს სალინას დე გორტარის. მას უნდოდა, რომ შეექმნა ორგანო, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის საპირნონე იქნებოდა. იბერო-ამერიკული სახელწიფოების პირველი კონფერენცია ჩატარდა 1991 წელს მექსიკის ქალაქ გუადალახარაში. ამ პერიოდებიდან მოყოლებული კონფერენციების ჩატარე-

ბამ უკვე რეგულარული ხასიათი მიიღო. ახალი ცნება „იბერიული ამერიკა“ იქნა შემოღებული მას შემდეგ, რაც პორტუგალია და მისი ყოფილი კოლონია ბრაზილიაც შეუერთდა ამ კონფერენციას. ესპანეთი აშკარად მიიჩნევს თავს „იბერო-ამერიკული თანამეგობრობის“ წამყვან ძალად, ვინაიდან ის არის გაცილებით დიდი და ძლიერი ქვეყანა ვიდრე მისი ევროპელი პარტნიორი პორტუგალია. მაგრამ საკითხავია, მოუტანს თუ არა ეს როლი ესპანეთს რაიმე მატერიალურ სარგებელს. ზოგიერთი ანალიტიკოსი თვლის, რომ იბერო-ამერიკული სამიტები ძალზედ სასარგებლოა ესპანეთისათვის, ვინაიდან ამ სამიტებმა გააძლიერეს კავშირები ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებს შორის.³⁹

ესპანეთის საგარეო პოლიტიკა ლათინური ამერიკის ქვეყნების მიმართ ყოველთვის იყო ძალზედ ამბიციური და გრანდიოზული. მაგრამ ამბიციური საგარეო პოლიტიკის განხორციელებას ხელს უშლის ის ფაქტი, რომ ესპანეთის რესურსები შეზღუდულია და მას არა აქვს ლათინურ ამერიკაში გრანდიოზული პროექტების განხორციელების შესაძლებლობა. ესპანეთი საშუალო სიდიდის ქვეყანაა, რომლის საერთაშორისო სისტემაში დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობები შეზღუდულია (შეზღუდული რესურსების გამო). არსებობს უამრავი ლიმიტაციები, რაც ხელს უშლის ესპანეთს იმაში, რომ ითამაშოს უფრო აქტიური როლი ლათინურ ამერიკაში: ესპანეთს შეზღუდული ინსტიტუციური კავშირები გააჩნია ლათინურ ამერიკასთან. ქვეყანას არა აქვს ბაზა იმისათვის, რომ განახორციელოს ამბიციური საგარეო პოლიტიკა. ესპანეთის ძალა

და რესურსები არ არის საკმარისი და მას შეუძლია მხოლოდ მეორეხარისხოვანი როლი ითამაშოს ლათინურ ამერიკაში. ესპანეთის ბიუჯეტი ძალზედ შეზღუდულია ახალი საგარეო პოლიტიკური ინიციატივებისათვის. გარდა ამისა ესპანეთში ლათინური ამერიკის ან საგარეო პოლიტიკის კვლევითი ცენტრები ცოტაა.⁶

ესპანეთს სურს სამმხრივი უერთიერთობების განვითარება ესპანეთს, ლათინურ ამერიკასა და ევროკავშირს შორის. ესპანეთის ხელისუფლებას უნდა, რომ იყოს იბერო-ამერიკული ქვეყნების ინტერესების წარმომადგენელი ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში, მაგრამ ლათინური ამერიკის ქვეყნები თვლიან, რომ მათ არ სჭირდებათ შუამავალი და ესპანეთის ასეთი მისწრაფებები ხშირად მათ გულისწყრომას იწვევს.

5. ესპანეთი და გიბრალტარი

ესპანეთის ხელისუფლებას ყოველთვის გააჩნდა პრეტენზია გიბრალტარზე და მოითხოვდა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას, რადგან მას ყოველთვის ესპანეთის განუყოფელ ნაწილად თვლიდა. ესპანელებს, რა თქმა უნდა, აღიზიანებთ ის ფაქტი, რომ ვერ აკონტროლებენ მათი ტერიტორიის ნაწილს, რაოდენ მცირედიც არ უნდა იყოს ის. გიბრალტარი მტკივნეული საკითხი რჩება ინგლის-ესპანურ ურთიერთობებში 1713 წლიდან, როდესაც ესპანეთმა უტრეხტის ხელშეკრულების თანახმად ეს ტერიტორია ბრიტანეთს გადასცა. უტრეხტის ზავმა დაასრულა ომი ესპანეთის მემკვიდრეობის თაობაზე, რომელიც დაიწყო უშვილძირო კარლოს II სიკვდილის შემდეგ, 1701 წელს და გაგრძელდა 1713 წლამდე. ამ ზავის თანახმად ესპანეთის ტახტი ბურბონებს ერგოთ და ესპანეთის მეფედ ევროპული სახელმწიფოების მიერ აღიარებულ იქნა ფილიპე V ბურბონი. ესპანეთმა დაკარგა ვრცელი სამფლობელოები ევროპაში (ნიდერლანდები, სარდინია, სიცილია, მილანი და ნეაპოლი). გარდა ამისა ესპანეთმა დაკარგა გიბრალტარი და მენორკა, რომელიც დიდ ბრიტანეთს გადაეცა. მას შემდეგ გიბრალტარი გაერთიანებული სამეფოს კუთვნილი ტერიტორიაა. გიბრალტარი, რომელიც სინამდვილეში ერთ პატარა კლდეს წარმოადგენს, ძალზედ მგრძობიარე და ემოციური საკითხია როგორც ესპანეთში, ასევე დიდ ბრიტანეთში. სტრატეგიული, ეკონომიკური ან პოლიტიკური თვალსაზრისით ესპანეთისათვის გიბრალტარს დიდი ღირებულება არ აქვს. გიბრალტარის დაბრუნება უფრო პრინციპის საკითხია და მას არანაი-

რი სტრატეგიული მნიშვნელობა ესპანეთისათვის არ გააჩნია. ესპანეთი ფლობს გაცილებით დიდ და უკეთეს ბაზებს ალხესირასში, ტარიფაში და კადისში, რომელთა საშუალებითაც მას მშვენივრად შეუძლია გიბრალტარის სრუტის გაკონტროლება. კონფლიქტის მთავარ წყაროს წარმოადგენს ნებისმიერი სახელმწიფოს ურყევი პოზიცია, რომ მისი ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი უნდა იყოს დაცული. ესპანეთი თვლის, რომ მისი ტერიტორიული მთლიანობა არის დარღვეული. ტერიტორიული მთლიანობის დაცვის პრინციპი ესპანეთს აიძულებს, რომ გიბრალტარი იყოს მუდმივი დავის საგანი ორ ქვეყანას შორის.⁹



გიბრალტარი.



გიბრალტარი.

გიბრალტარი არის კლდე, რომლის ფართობი შეადგენს 6.5 კვადრატულ კოლომეტრს. ის მდებარეობს იბერიის ნახევარკუნძულის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში. სახელწოდება გიბრალტარი წარმოიშვა არაბული სიტყვისგან „ჯაბალ თარიქ“ (جبل طارق) რაც სიტყვასიტყვით „თარიქის მთას“ ნიშნავს. თარიქ იბნ ზიადი იყო სახელოვანი არაბი (წარმოშობით ბერბერი) მთავარსარდალი, რომელიც 711 წელს წინ უძღოდა არაბების შეჭრას ესპანეთში. მან მავრიტანიელთა ჯარი გადმოსხა გიბრალტარის სანაპიროზე, სასტიკად დაამარცხა ვესტგოთები, იბერიის ნახევარკუნძული დაიპყრო და ესპანეთის მმართველი გახდა.

მას შემდეგ გიბრალტარი სახელოვანი არაბი სარდლის სახელს ატარებს, თუმცა ანტიკურ ხანაში ეს ტერიტორია „Monte Calpe“-ს სახელით იყო ცნობილი, რაც ლათინურად „კალპეს მთას“ ნიშნავს. გიბრალტარი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიაა, ერთ კვადრატულ კილომეტრზე ცხოვრობს დაახლოებით 4.290 კაცი. მისი მოსახლეობა 2009 წლის მონაცემების მიხედვით შეადგენს 29.286 კაცს. გიბრალტარის მოსახლეობა მულტიკულტურული და მულტიეთნიკური საზოგადოებაა და ის სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების შერევისაგან წარმოიშვა. დაახლოებით სამი საუკუნის წინ, 1704 წელს ადგილობრივმა ესპანელმა მოსახლეობამ დატოვა გიბრალტარი და მათ ტეროტორიაზე დასახლდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსული ეკონომიკური მიგრანტები. როგორც გიბრალტარელების გვარებიდან ირკვევა, ახალმოსულებში განსაკუთრებით მრავლად იყვნენ გენუელები და მალტელები. თანამედროვე გიბრალტარელები ამ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისა და ხალხების შთამომავლები არიან. გიბრალტარის მოსახლეობა ეთნიკურად ძალზედ ჭრელია: მთავარი ეთნიკური ჯგუფები არიან ბრიტანელები, ესპანელები, გენუელები, იტალიელები, პორტუგალიელები, მალტელები, ებრაელები. მის ტერიტორიაზე ასევე სახლობენ მაროკოელები, ინდოელები, ფრანგები, ავსტრიელები, ჩინელები, იაპონელები, პოლონელები და დანიელები. დაბალი გადასახადების გამო გიბრალტარი წარმოადგენს „ფინანსურ სამოთხეს“ მისი მაცხოვრებლებისათვის და ამ ტეროტორიაზე დარე-

გისტრირებული კომპანიებისათვის. გიბრალტარი გამოირჩევა ცხოვრების ძალზედ მაღალი დონით და მეხუთე ადგილს იკავებს მსოფლიოში. მისი ეკონომიკა ყვავის და ყოველ წელიწადს იზრდება. გიბრალტარი არის პორტო-ფრანკო და მსოფლიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფინანსური და ტურისტული ცენტრი. თითქმის მთელი მოსახლეობა დასაქმებულია და უმუშევრობის პრობლემა ამ პატარა ქალაქში, რომლის მოსახლეობა 30.000 აღწევს, არ არსებობს. ცხოვრების დონე იმდენად მაღალია, რომ გიბრალტარი მაგნიტივით იზიდავს უამრავ ესპანელს. ათასობით ესპანელი ყოველ დღე მიემგზავრება გიბრალტარში შავი და დაბალანაზღაურებადი სამუშაოების შესასრულებლად.⁴⁰ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გიბრალტარი დიდი ბრიტანეთის კონტროლს ექვემდებარება მას შემდეგ, რაც ესპანეთი იძულებული გახდა 1713 წელს დადებული უტრეხტის ზავის თანახმად ეს ტერიტორია ინგლისისთვის დაეთმო. მთელი XIX და XX საუკუნის განმავლობაში გიბრალტარი ასრულებდა სტრატეგიული სამხედრო ბაზის ფუნქციას ბრიტანეთის შეიარაღებული ძალებისათვის, მაგრამ დღეისათვის ის ძირითადად კომერციულ ფორპოსტს წარმოადგენს. რადგან გიბრალტარი ითვლება „გაერთიანებულ სამეფოზე დამოკიდებულ ტერიტორიად“, ამიტომაც იგი თავისუფალია ევროკავშირის მიერ დადგენილი რეგულაციებისაგან. ის არ იხდის დამატებითი ღირებულების გადასახადს ან ბრუნვის გადასახადს, არ არის წევრი არც ევროკავშირის საბაჟო გაერთიანების, არც საერთო აგრარული პოლიტიკისა და არ შეაქვს შენატანი ევროკავშირის ბიუჯეტში. გიბ-

რალტარის მოსახლეობის ცხოვრების დონე ძალზედ აღემატება ესპანეთში არსებულ ცხოვრების დონეს. გარდა ამისა გიბრალტარს ფართო ავტონომია გააჩნია. ახალი კონსტიტუციის თანახმად, რომელიც ძალაში შევიდა 2007 წელს, გიბრალტარი თავის საშინაო საქმეებს თვითონ წარმართავს, მხოლოდ თავდაცვა და საგარეო პოლიტიკა შედის გაერთიანებული სამეფოს კომპეტენციაში. შეიცვალა ასევე გიბრალტარის სტატუსიც, რომელიც უკვე აღარ ითვლება გაერთიანებული სამეფოს კოლონიად და ბრიტანეთის ზღვისიქითა ტერიტორიად კლასიფიცირდება. ამ მიზეზთა გამო 30.000 გიბრალტარელს, რომლებიც თავიანთი წარმომავლობით უმეტესწილად ხმელთაშუაზღვისპირელ ხალხს მიეკუთვნება, არ სურთ ესპანეთის შემადგენლობაში შესვლა.

გიბრალტარის დაბრუნება ყოველთვის იყო და იქნება ესპანეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი. უტრეხტის ზავი ყოველთვის მიუღებელი იყო ესპანეთისათვის და ამ ზავის დადების შემდეგ ესპანეთმა რამოდენიმეჯერ სცადა გიბრალტარის დაბრუნება როგორც სამხედრო, ისე დიპლომატიური და მშვიდობიანი გზით. მეთვრამეტე საუკუნეში ესპანეთმა სამჯერ სცადა ძალისმიერი გზით გიბრალტარის დაბრუნება (1704, 1726 და 1779-1783) 1726 წელს ფილიპე მეხუთემ თავის არმიას უბრძანა, რომ გიბრალტარი ალყაში მოექციათ. ალყა 1727 წლის თებერვალში დაიწყო და ამავე წლის ივლისამდე გაგრძელდა. ალყა უშედეგო აღმოჩნდა, იმიტომ რომ ესპანეთი მხოლოდ სახმელეთო ჯარებით ცდილობდა გიბრალტარის აღებას, მაშინ როდესაც ინგლისის ფლოტს სრული უპი-

რატესობა ჰქონდა ზღვაზე და ქალაქს რეგულარულად ამარაგებდა. ესპანელებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს, ალყის გარღვევა ვერ მოახერხეს. ბოლო მცდელობა სამხედრო გზით გიბრალტარის დაბრუნებისა დაიწყო 1779 წლის 14 ივლისს, რომელიც 3 წელი, 7 თვე და 12 დღე გაგრძელდა. ესპანეთმა და საფრანგეთმა ერთობლივად სცადეს გიბრალტარის დაბრუნება და დაიწყეს მისი დაბომბვა როგორც ხმელეთიდან, ასევე ზღვიდან, მაგრამ ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწიეს. საბოლოოდ ესპანეთმა და ბრიტანეთმა გააფორმეს ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე ესპანეთს მენორკას კუნძული გადაეცა გიბრალტარის ნაცვლად. ორ ქვეყანას შორის დაპირისპირება ღია ომში არ გადაზრდილა და მხოლოდ გიბრალტარის რეგიონით შემოიფარგლა. გიბრალტარის ძალით აღების მცდელობა ძვირად დაუჯდა ესპანეთს, მას მოუწია როგორც დიდი მსხვერპლის, ასევე დიდი ფინანსური რესურსების გაღება.⁴¹ გიბრალტარის დაბრუნების სამივე ძალისმიერი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც დაიწყო ესპანეთის სახელმწიფოს სულ უფრო და უფრო დაკნინება და ბრიტანეთის იმპერიის სწრაფი გაძლიერება, გიბრალტარის დაბრუნება შეუძლებელი და არარეალური მიზანი გახდა. პრეტენზია გიბრალტარის დაბრუნების თაობაზე კვლავ განახლდა 1950-იან და 1960-იან წლებში, ფრანკოს ხელისუფლებაში ყოფნის დროს. მას შემდეგ, ესპანეთის ხელისუფლებაში მოსული ნებისმიერი პოლიტიკური ძალა, დღის წესრიგში აყენებს გიბრალტარის დაბრუნებას. ესპანეთი არასოდეს არ აღიარებდა გიბრალტარს ბრიტანეთის ტერიტორიად

და ეს პატარა კლდე ხშირად გამხდარა ორ ქვეყანას შორის დავისა და კონფრონტაციის საგანი. ორივე ქვეყნის ხელისუფლება ხშირად ცდილობდა მოლაპარაკებების გზით მოეგვარებინათ გიბრალტართან დაკავშირებული კონფლიქტები, მაგრამ ეს მოლაპარაკებები ყოველთვის უშედეგოდ მთავრდებოდა, ამიტომაც გიბრალტარის საკითხი კვლავ გადაუჭრელი რჩება. ესპანეთის მთავრობას სურს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. გიბრალტარი ეწინააღმდეგება ესპანეთის ტერიტორიულ მთლიანობას, ვინაიდან გიბრალტარელებს არ უნდათ თავიანთი პრივილეგირებული მდგომარეობის დაკარგვა. ესპანეთის ეროვნული ერთობა გამორიცხავს თვითგამორკვევის პრინციპს, რომელსაც გიბრალტარელები ჯიუტად ემხრობიან.⁹ არც ერთი პოლიტიკური პარტია გიბრალტარში მხარს არ უჭერს ესპანეთთან გაერთიანებას. გიბრალტარელებმა ასევე უარი თქვეს „საზიარო სუვერენიტეტზე“, რომელზეც ესპანეთისა და ბრიტანეთის მთავრობამ შეთანხმებას მიაღწიეს. „საზიარო სუვერენიტეტი“ მათ საშუალებას მისცემდა ჰქონოდათ ორმაგი მოქალაქეობა და ყოფილიყვნენ როგორც გაერთიანებული სამეფოს, ასევე ესპანეთის მოქალაქეები. 2002 წლის 18 მარტს გიბრალტარში ჩატარდა მასობრივი დემონსტრაცია, რომელშიც 25.000 კაცი მონაწილეობდა. მათ ერთხმად დაგმეს „საზიარო სუვერენიტეტის“ იდეა, თუმცა გამოხატეს ესპანეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების და კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარების სურვილი. 2002 წლის ნოემბერში გიბრალტარში ჩატარდა რეფერენდუმი, მოსახლეობის უმრავლესობამ, 98 პროცენ-

ტმა მხარი არ დაუჭირა „საზიარო სუვერენიტეტს.“ ამ რეფერენდუმის შემდეგ მოლაპარაკებები გიბრალტარის მომავლის თაობაზე ჩიხში შევიდა. ბრიტანეთის ხელისუფლება თვლის, რომ გიბრალტარელებმა თავად უნდა გადაწყვიტონ მათი ბედი და ამიტომაც პატივს სცემს გიბრალტარის მოსახლეობის არჩევანს. გიბრალტარში რეფერენდუმი ორჯერ ჩატარდა 1967 და 2002 წელს და ორივეჯერ გიბრალტარელებმა უარი თქვეს ესპანეთთან გაერთიანებაზე.

ბრიტანეთის ხელისუფლება ისტორიულად ყოველთვის ძალზედ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გიბრალტარს, ვინაიდან მისი საშუალებით მყარდებოდა სამხედრო კონტროლი გიბრალტარის სრუტეზე და ამით ბრიტანეთის აღმოსავლეთთან დამაკავშირებელი სავაჭრო გზები მაქსიმალურად იყო დაცული. გიბრალტარი იყო ხმელთაშუა ზღვის კარიბჭე, რომელიც საშუალებას აძლევდა ბრიტანეთს, რომ შეენარჩუნებინა მსოფლიოში ზესახელმწიფოს პოზიცია. XVIII საუკუნის ბოლოს გიბრალტარი გახდა ბრიტანეთის საზღვაო ძალებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ბაზა ხლემთაშუა ზღვაში, საიდანაც წელსონმა წამოიწყო სამხედრო კამპანია ფრანგების წინააღმდეგ და დაამარცხა ისინი 1798 წელს მდინარე ნილოსთან, ხოლო 1805 წელს გაანადგურა ესპანეთ-საფრანგეთის გაერთიანებული ფლოტი ტრაფალგართან. გიბრალტარს თავისი სტრატეგიული მნიშვნელობა მეოცე საუკუნეშიც არ დაუკარგავს. ფოლკლენდის ომის დროს გიბრალტარი იყო მნიშვნელოვანი გადასატვირთავი პუნქტი ბრიტანეთის სამხედრო ძალებისათვის.⁴²

გიბრალტარის სამხედრო მნიშვნელობა შემცირდა

ცივი ომის შემდეგ, მაგრამ ის კვლავ სტრატეგიული ტერიტორიაა, ვინაიდან მსოფლიოს საზღვაო ნაოსნობის უმნიშვნელოვანეს სატრანზიტო ზონად ითვლება. ნატოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს გიბრალტარის სრუტის გაკონტროლებას. ნატო გიბრალტარის სრუტის კონტროლს ტრადიციულად ავალბდა გაერთიანებულ სამეფოს, მაგრამ მას შემდეგ რაც ესპანეთი განეწიანდა ნატოში, გაჩნდა ახალი პრეტენდენტი, რომელსაც ასევე შეუძლია ამ ფუნქციის შესრულება. რადგან ამერიკის შეერთებულ შტატებთან გაერთიანებულ სამეფოს უფრო მეგობრული და მჭიდრო ურთიერთობები აქვს, ვიდრე ესპანეთს, ამიტომაც ნატო უფრო ემხრობა გაერთიანებული სამეფოსა და მაროკოს მიერ გიბრალტარის სრუტის გაკონტროლებას.

გიბრალტარს დიდი სტრატეგიული ღირებულება აქვს ინგლისისათვის, ვინაიდან ის არის „ბრიტანეთის სამხედრო ბაზა ესპანეთის ტერიტორიაზე“, როგორც მას ფრანკოს საგარეო საქმეთა მინისტრი კასტიელა ხშირად უწოდებდა ხოლმე. სამხედრო თვალსაზრისით ეს პატარა კლდე ძალზედ მნიშვნელოვანია. თუმცა გიბრალტარს არანაირი სასიცოცხლო მნიშვნელობა არ აქვს მშვიდობიანობის დროს, მისი სტრატეგიული მნიშვნელობა ძალზედ გაიზრდება კონფლიქტის შემთხვევაში. ესპანეთის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებში შედის, რომ არ მისცეს გიბრალტარის კლდეზე განთავსებულ ბრიტანეთის სამხედრო ბაზას მოქმედების შესაძლებლობა, რადგან თეორიულად ყოველთვის არსებობს იმის რისკი, რომ გაერთიანებულმა სამეფომ შეიძლება სამხედრო აქცია დაიწყოს, რომე-

ლიც საფრთხეს შეუქმნის არა მხოლოდ გიბრალტარს, არამედ მთელ სამხრეთ ესპანეთს. ესპანურ საზოგადოებაში გავრცელებული აზრის მიხედვით სამხედრო-საზღვაო ბაზა, რომელიც ესპანელ ხალხს ძალით მოახვიეს თავს, წარმოადგენს საფრთხეს მთელი ესპანეთისათვის. ეს შიში ბრიტანული სამხედრო ბაზის მიმართ გარკვეულწილად გაზვიადებულია, ვინაიდან გაერთიანებული სამეფო აღარ ახდენს არც სამხედრო გემების და არც საბრძოლო თვითმფრინავების რეგულარულ განთავსებას გიბრალტარის ტერიტორიაზე, ხოლო ბრიტანეთის ფლოტის ნავსაშენი სამხედრო მიზნებისათვის აღარ გამოიყენება და მისი გამოყენება ხდება მხოლოდ სამოქალაქო მიზნებისათვის.¹ მაგრამ კლდის შიგნით კვლავ რჩება სამხედრო შტაბი და მისი მოქმედებაში მოყვანა სავსებით შესაძლებელია ომის დროს, ასევე საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ისევ ამოქმედდეს სამხედრო გემებისა და წყალქვეშა ნაგების შემკეთებელი ქარხნები. ესპანეთში განსაკუთრებით ეშინიათ იმის, რომ ბრიტანეთმა არ გამოიყენოს გიბრალტარი როგორც ბაზა საკუთარი ბირთვული არსენალის განსათავსებლად. ესპანეთი დაინტერესებულია იმით, რომ გააძლიეროს სამხედრო კონტროლი გიბრალტარის სრუტეზე, რათა რაც შეიძლება მინიმუმადე დაიყვანოს ბრიტანეთის სამხედრო ბაზიდან მომდინარე საფრთხე.

გიბრალტარს დიდი სიმბოლური დატვირთვა აქვს ორივე ქვეყნისათვის, ვინაიდან ის წარმოადგენს ხმელთაშუა ზღვის კარიბჭეს. გიბრალტარის პრობლემის მოგვარება ჯერ-ჯერობით შეუძლებელია, ვინაიდან „ამ პატარა კლდეს“ დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც

ბრიტანეთისათვის, ასევე ესპანეთისათვის და ეს სიმბოლური მნიშვნელობა ხშირად მის რეალურ ღირებულებას აღემატება როგორც ეკონომიკური, ასევე უსაფრთხოების თვალსაზრისით.

6. ესპანეთი და არაბული სამყარო

ესპანეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობას და არაბულ სამყაროსთან კავშირების გაღრმავება ყოველთვის იყო ესპანეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი. ესპანეთი არის არა მხოლოდ ევროპისა და ჩრდილოეთ აფრიკის დამაკავშირებელი ხიდი, ის ასევე წარმოადგენს ხიდს ევროპასა და არაბულ ცივილიზაციას შორის. ესპანეთს განსაკუთრებით შეეფერება ასეთი როლის შესრულება, ვინაიდან ის არის აფრიკის კონტინენტთან ყველაზე ახლოს მდებარე დასავლური სახელმწიფო, რომლის კულტურაზე და ეროვნულ იდენტობაზე დიდი გავლენა იქონია საუკუნეობრივმა მაჰმადიანურმა ოკუპაციამ (არაბების ბატონობა ესპანეთში რვა საუკუნე გაგრძელდა, 711 წლიდან 1492 წლამდე).

ფრანკოს ხელისუფლებაში ყოფნის დროს ესპანეთი პროარაბულ პოზიციას იკავებდა საერთაშორისო პოლიტიკაში, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც საერთაშორისო თანამეგობრობამ ესპანეთი იზოლაციაში მოაქცია და სანქციები დაუწესა. საერთაშორისო იზოლაციამ ხელი შეუწყო არაბულ ქვეყნებთან უფრო მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას, რომლებიც მზად იყვნენ ესპანეთს გვერდში ამოსდგომოდნენ და ფრანკოს რეჟიმისათვის მორალური დახმარება გაეწიათ. 1950-იან წლებში ესპანეთის ხელისუფლებამ დაიწყო კულტურული ცენტრების დაარსება ახლო აღმოსავლეთში, რომელთა მიზანი იყო კულტურული და პოლიტიკური კავშირების გაღრმავება არაბულ ქვეყნებთან. ამ კულტურულ ცენტრებში განსაკუთ-

რებული მნიშვნელობა ეთმობოდა ესპანური ენის სწავლებას. მათი მეშვეობით ხდებოდა ესპანური ენისა და კულტურის გავრცელება და პოპულარიზაცია არაბულ სამყაროში.⁴³ 1975 წელს ფრანკოს გარდაცვალებამ არსებითად ვერ შეცვალა ესპანეთის ურთიერთობები არაბულ ქვეყნებთან. მიუხედავად მაროკოსთან არსებული დაძაბული ურთიერთობისა, საგარეო პოლიტიკა ძირითადად კვლავ პროარაბული რჩებოდა.²

ესპანეთი ნავთობისა და გაზის იმპორტს ახორციელებს არაბული ქვეყნებიდან და არაბული ქვეყნები მნიშვნელოვან ინვესტიციებს დებენ ქვეყანაში, ამიტომაც ესპანეთი პრიორიტეტს ანიჭებს არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობებს. ესპანეთს არ გააჩნია ნავთობის მარაგი და მთლიანად არაბულ ქვეყნებზე არის დამოკიდებული. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ ესპანეთი პროარაბულ პოზიციას იკავებს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებში.

თუმცა აღსანიშნავია რომ არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობები, განსაკუთრებით ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებთან ურთიერთობები ყოველთვის საუცხოო არ ყოფილა და ხშირად ექსცესებით იყო სავსე. ვინაიდან ესპანური ეროვნული იდენტობა ქრისტიანულ რელიგიაზეა დაფუძნებული და მაჰმადიანობას უარყოფს (ესპანეთი წარმოადგენს ქრისტიანობის ბურჯს და ისლამის შემაკავებელ ბასტიონს ევროპაში), ამიტომაც არაბულ კულტურასთან სიახლოვე და მასთან შეგუება დიდ გამოწვევას წარმოადგენს ესპანეთისათვის. სამუელ ჰანთინგტონის მიერ მეცნიერებაში შემოტანილი ცნება „ცივილიზაციათა შეჯახება“ მხო-

ლოდ თეორიას არ წარმოადგენს და შეიძლება რეალობად იქცეს, თუ თვალს გადავავლებთ იბერიის ნახევარკუნძულის გეოგრაფიულ მდებარეობას და იმ პოლიტიკურ არასტაბილურობას, რაც არაბული სამყაროსთვის არის დამახასიათებელი. სავსებით შესაძლებელია რომ მოხდეს ცივილიზაციათა შეჯახება ამ რეგიონში, თუ გავითვალისწინებთ იბერიის ნახევარკუნძულის გეოგრაფიულ სიახლოვეს და ხშირ ისტორიულ კონტაქტებს არაბულ სამყაროსთან, ასევე ჩრდილოეთ აფრიკაში მდებარე ესპანურ ანკლავებს – ქალაქებს, სეუტას და მელიიას.²⁷

ქვეყნის გეოგრაფიული იზოლაციისა და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ნეიტრალური პოლიტიკის დაცვის გამო, ესპანელების უმრავლესობას არ გააჩნია გარე საფრთხეების იდენტიფიცირების უნარი. ესპანელების უმრავლესობა არ მიიჩნევს, რომ რომელიმე ქვეყანა წარმოადგენს სამხედრო საფრთხეს მათი ქვეყნისათვის, მაგრამ ისინი, ვინც უფრო გარკვეული არიან ამ საკითხში, თვლიან რომ ესპანეთს საფრთხე ძირითადად არაბული სამყაროსაგან, განსაკუთრებით მაროკოსა და ალჟირისაგან შეექმნება. ამრიგად, როდესაც სამხედრო ექსპერტები გარე საფრთხეების შესახებ საუბრობენ, მათი უმრავლესობა თანხმდება, რომ საფრთხეები ძირითადად სამხრეთიდან არის მოსალოდნელი. სამხრეთში ესპანელები გულისხმობენ ჩრდილოეთ აფრიკაში მდებარე ესპანურ ქალაქებს, სეუტას და მელიიას. ამ ქალაქებს მართლაც ემუქრებათ საფრთხე არაბული სამყაროსგან. საფრთხის ასეთი აღქმა არსებობს და რეალურია, ვინაიდან მაროკომ განაცხადა პრეტენზიები ესპანურ ანკლავებზე

ჩრდილოეთ აფრიკაში.¹

ესპანელები განსაკუთრებით შიშობენ, რომ იგივე არ განმეორდეს აფრიკის ამ პატარა ქალაქებში, რაც 1975 წელს ესპანურ საჰარაში მოხდა, როდესაც 350.000 უიარალო მაროკოელი ამ რეგიონში შეიჭრა და უსისხლოდ, ყოველგვარი ბრძოლის გარეშე მოახდინა მისი ანექსია. ომიანობის დროს ესპანეთს გაუჭირდება სეუტას და მელიიას დაცვა, რომლებსაც ყოველი მხრიდან მაროკო ესაზღვრება. ესპანელებმა ასევე იციან, რომ ომის შემთხვევაში ისინი ამერიკის შეერთებული შტატებისაგან მაინდამაინც დახმარებას და მხარდაჭერას არ უნდა მოელოდნენ, ისე როგორც ეს მოხდა 1975 წელს „მწვანე მარშის“ დროს. მაროკო, ისევე როგორც ესპანეთი, ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეა. აშშ მაროკოს იარაღით ამარაგებს და ეს ქვეყანა ხშირად ლებულობს მონაწილეობას ამერიკის მიერ ორგანიზებულ სამხედრო წვრთნებში. ბევრი ექსპერტი და ანალიტიკოსი თვლის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერდა 1975 წელს მაროკოს მიერ ორგანიზებულ „მწვანე მარშს“ და ამ ქვეყანას ლოჯისტიკურ დახმარებას უწევდა.¹

ნებისმიერი პოტენციური ამბოხება მაროკოში შეიძლება დაიწყოს ისლამური ფუნდამენტალიზმის მეშვეობით, რომელიც ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს რეგიონში, განსაკუთრებით მეზობელ ალჟირში. სავსებით შესაძლებელია, რომ მოვლენები ისე განვითარდეს ან პოლიტიკური სიტუაცია ისე დაიძაბოს, რომ არაბებმა მოაწყონ ამბოხება ესპანური მმართველობის წინააღმდეგ სეუტასა და მელიაში. სიტუაცია შეიძლება ისე გამწვავდეს, რომ ხალხის

მღელვარება და გამოსვლები სამხედრო აქციებში გადაიზარდოს, რაც თავის მხრივ გამოიწვევს მაროკოსა და ესპანეთს შორის ურთიერთობების დაძაბვას და ამ შემთხვევაში ორ ქვეყანას შორის ომიც კი შეიძლება დაიწყოს. რა თქმა უნდა ესპანეთს სურს, რომ მოვლენების ასეთი განვითარება თავიდან აიცილოს და არავითარ პროვოკაციაზე არ წამოეგოს.²⁷

საუკუნეებია რაც ესპანეთი ჩრდილოეთ აფრიკაში მდებარე ამ პატარა ქალაქებს განაგებს. ესპანელები ამ ანკლავებს ესპანეთზე დამოკიდებულ ტეროტირიებად კი არ მიიჩნევენ, არამედ მათ ესპანეთის განუყოფელ ნაწილად თვლიან. სეუტას ინტეგრაცია ესპანურ სამეფოში მოხდა XVI საუკუნეში, სეუტა და მელიია ითვლებოდა კადისისა და მალაგის პროვინციებად და ისინი ყოველთვის მიიჩნეოდა, როგორც კადისისა და მალაგის განუყოფელი ნაწილები. ამ მოსაზრებას არ იზიარებენ მაროკოელები. მაროკოს მეფე პრეტენზიებს აცხადებს ამ ქალაქებზე, რომლებსაც ყოველი მხრიდან მისი სამეფო აკრავს გარს. როდესაც ესპანეთი ცდილობს გიბრალტარის დაბრუნებას, მას ყოველთვის შეახსენებენ ანალოგიურ პრეტენზიებს, რომელიც მაროკოს სამეფოს ესპანეთის მიმართ გააჩნია. უცხოელს შეიძლება უცნაურად მოეჩვენოს ის ფაქტი, რომ ესპანეთი მოითხოვს გიბრალტარის დაბრუნებას, მაგრამ ამავე დროს ჯიუტად აცხადებს, რომ სეუტა და მელიია სამუდამოდ ესპანეთის შემადგენლობაში უნდა დარჩეს.⁹ ესპანეთი ამტკიცებს რომ ამ ორ საკითხს შორის საერთო არაფერია და რომ სეუტა და მელიია ესპანეთის განუყოფელი ნაწილია. ესპანეთის ყველა პოლიტიკური პარტია ამ მოსაზრებას იზიარებს

და მუდმივად წინააღმდეგობას უწევს მაროკოს ზენოლას და ტეროტორიულ პრეტენზიებს. მიუხედავად ამისა ზოგიერთ ესპანელს წარმოუდგენლად არ მიაჩნია ჩრდილოეთ აფრიკაში მდებარე ესპანური ტერიტორიების დაკარგვა. ამ სამფლობელოების დაკარგვა უფრო მისაღები იქნება ესპანეთისათვის იმ შემთხვევაში, თუ ის შესძლებს გიბრალტარის დარბუნებას. ასე რომ ბრიტანეთის მზაობამ კომპრომისზე წავიდეს ესპანეთთან და მიაღწიოს შეთანხმებას გიბრალტარის სტატუსზე, შეიძლება თავიდან ააცილოს ესპანეთს მაროკოსთან დაპირისპირება.²

სეუტას და მელიიას დაკარგვას ადვილად ვერ შეეგუება ესპანეთის ხელისუფლება, ვინაიდან ეს პროცესი საფრთხეს შეუქმნის ესპანეთის ტერიტორიულ მთლიანობას. სეუტას და მელიიას დაკარგვა შეიძლება აღქმულ იქნას ბასკი და კატალონიელი სეპარატისტების მიერ, როგორც ნიშანი ხელისუფლების სისუსტისა, რაც მათ სტიმულს მისცემს უფრო აქტიურად იბრძოლონ დამოუკიდებლობისათვის. ესპანეთს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს მის სამხრეთ მეზობლებთან ურთიერთობის დროს.²⁷

ესპანეთსა და არაბულ ქვეყნებს შორის ურთიერთობები განსაკუთრებით დაიძაბა ერაყის ომის დროს. ამ ომმა გამოიწვია ესპანეთის იმიჯის შელახვა არაბულ სამყაროში. ესპანეთი, რომელიც ტრადიციულად ყოველთვის პროარაბულ პოზიციას იკავებდა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებში, 2003 წელს უკვე ღიად უჭერდა მხარს ანგლო-ამერიკულ სამხედრო ინტერვენციას ერაყში. არაბული ქვეყნების რისხვა გამოიწვია ასნარის ხელისუფლების პოზიციამ, რომელიც

უპირობოდ უჭერდა მხარს ამერიკის შეერთებულ შტატებს და დიდ ბრიტანეთს ამ ომში. მიუხედავად იმისა რომ ესპანელი ხალხის 90 პროცენტი წინააღმდეგი იყო ერაყის ომში ესპანეთის მონაწილეობის და ხშირად ამ ომის წინააღმდეგ დემონსტრაციებს აწყობდა, ესპანეთის ხელისუფლებამ მაინც არ გაითვალისწინა თავისი მოსახლეობის პოზიცია და მტკიცედ გადამწყვიტა ომში მონაწილეობა. ესპანეთის მონაწილეობა ერაყის ომში არაბების მეორე ალქმულ იქნა როგორც ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა მათ წინააღმდეგ. არაბულ ქვეყნებში დაიწყო მასობრივი გამოსვლები და დემონსტრაციები. ალჟირში, მაროკოში და ეგვიპტეში ხალხი ქუჩაში გამოვიდა და დაგმო ესპანეთის მონაწილეობა ერაყის ომში.²⁹ დროთა განმავლობაში გამოვლინდა, რომ იმ ბრალდებებს, რაც დასავლეთის ქვეყნებმა ერაყის ხელისუფლებას წაუყენა, (მასობრივი განადგურების იარაღის ფლობა და ალ-ქაიდასთან თანამშრომლობა), სიმართლესთან არაფერი კავშირი არ ჰქონდა. ყველაფერმა ამაღ, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო შელახა ევროპული ქვეყნების და ესპანეთის იმიჯი არაბი ხალხის თვალში და გამოიწვია დასავლეთის კიდევ უფრო მეტად დისკრედიტაცია.

მიუხედავად დაძაბული ურთიერთობისა და მაროკოსთან მუდმივი კონფლიქტისა სეუტასა და მელიიას დაუფლებიანათვის, ესპანეთი მაინც თვლის, რომ ასრულებს ხიდის ფუნქციას არაბულ სამყაროსა და დასავლეთ ევროპას შორის. ესპანეთი კვლავ ინარჩუნებს კარგ ურთიერთობებს ისლამურ ქვეყნებთან და დიდ ყურადღებას უთმობს ჩრდილოეთ აფრიკას. ესპანეთმა ასევე დაიწყო კონტაქტების გაღრმავება

სუბ-საჰარული აფრიკის ქვეყნებთან. მას განსაკუთრებული ინტერესები გააჩნია თავის ყოფილ კოლონიაში, ეკვატორულ გვინეაში, სადაც ის ახორციელებს ჰუმანიტარული დახმარების პროგრამას. მიუხედავად მაროკოსთან დაპირისპირებისა, ესპანეთი მუდმივად აფართოებს კომერციულ და კულტურულ ურთიერთობებს ახლო აღმოსავლეთის და აფრიკის ქვეყნებთან. არაბული ქვეყნებთან ურთიერთობას ესპანეთი პრიორიტეტს ანიჭებს ნავთობისა და გაზის იმპორტის გამო და სულ უფრო და უფრო აღრმავებს მათთან კავშირებს.²⁸



ესპანეთის ყოფილი კოლონიები და სამფლობელოები აფრიკაში. ესპანეთმა ყველა ტერიტორიები დაკარგა ორი პატარა ქალაქის, სეუტასა და მელილას გარდა.



მწვანე მარში, 1975 წელი. ესპანეთმა უბრძოლველად დაუთმო დასავლეთ საჰარა მაროკოს.



ესპანეთის შემადგენლობაში დარჩენილი ტერიტორიები აფრიკაში.



საპატრო და მუჰამედ მუჰამედ.



საპატერო და საუდის არაბეთის მეფე აბდულა.



საპატერო და ყატარის ემირი.



საპატრო და ჰოსნი მუბარაკი.



ესპანეთის პრემიერ მინისტრი მარიანო რახოი და მაროკოს მეფე მუჰამედ მეექვსე.

7. ასპანეთი და საქართველო

გეოგრაფიული სიშორის გამო ესპანეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები ისტორიულად დიდი ინტენსივობით არასოდეს გამოირჩეოდა. მიუხედავად ამისა ქართველი ხალხი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა ესპანური კულტურისა და ესპანელი ხალხის მიმართ. ამის დამადასტურებელი საბუთია საქართველოში გავრცელებული და ძალზედ პოპულარული იდეა ესპანელებისა და ქართველების საერთო წარმომავლობის შესახებ. ალბათ ძველი ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები შემთხვევით არ იყენებდნენ აღმოსავლეთ საქართველოს და პირინეის ნახევარკუნძულის აღსანიშნავად ტერმინ „იბერიას.“ თუმცა არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომელიც ამტკიცებს რომ „იბერია“ რომაელებისათვის მხოლოდ მარგინალური ქვეყნის აღმნიშვნელი სახელწოდება იყო და არავითარი ნათესაური კავშირი ორ ხალხს შორის არ არსებობდა.

ისტორიაში შემორჩა წერილობითი წყაროები, რომლებიც ხაზს უსვამს ქართველთა და ესპანელთა საერთო წარმომავლობას. ძველი ბერძენი, ასევე რომაელი მწერლები და მეცნიერები საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხს აღმოსავლელ იბერებს ან აზიელ იბერებს უწოდებდნენ, ხოლო ესპანელებს – დასავლელ იბერებს ან ევროპელ იბერებს. ძველი რომაელი მწერალი, მეცნიერი და გრამატიკოსი ვარონი (II-I საუკუნე ჩვ. წ. აღ.) ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ორი ხალხის საერთო წარმომავლობის შესახებ თავისი აზრი გამოთქვა. მისი აზრით იბერები, სპარსელები, ფინიკიელები, კელტები და პუნიკები

მთელი ესპანეთის ტერიტორიაზე დასახლდნენ. აქედან გაჩნდა ჰიპოთეზა პირინეის ნახევარკუნძულზე აზიური ტომების გადასახლების შესახებ. ვარონის მოსაზრებას იზიარებდა რომაელი მწერალი პრისციანეც (V-VI საუკუნე), რომელიც თვლიდა რომ დასავლელი იბერები კავკასიური წარმომავლობისა იყვნენ. ამ თეორიას ემხრობოდნენ ასევე ზოგიერთი სასულიერო მოღვაწეები. მათ შორის იყვნენ მაქსიმე აღმსარებელი და გიორგი მთანმინდელი. მაქსიმე აღმსარებელი დასავლელ ქართველებს (ესპანელებს), აღმოსავლელი ქართველებისაგან (კავკასიელებისაგან) განასხვავებდა. ის თვლიდა, რომ დასავლელი იბერები პირინეის ნახევარკუნძულზე კავკასიიდან გადასახლდნენ. ანტიკურ ხანაში და შუა საუკუნეებში გავრცელებული იყო ასევე პირუკუ ცნობებიც დასავლელი იბერების კავკასიაში გადასახლების შესახებ. მაგალითად სტრაბონი თავის ნაწარმოებში „გეოგრაფია“ გამოთქვამს მოსაზრებას, რომ დასავლელი იბერები აზიაში მიწისძვრის შემდეგ გადავიდნენ საცხოვრებლად.⁵⁸ სტრაბონის აზრით დასავლელი იბერები გადასახლდნენ პონტოსა და კოლხიდას ზემოთ მდებარე ადგილებში. ბერძენი მწერლის, ისტორიკოსისა და გეოგრაფის მეგასტენეს აზრით დასავლელი იბერები აღმოსავლეთში მოხვდნენ მას შემდეგ, რაც ბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსორ მეორემ დალაშქრა აფრიკა (ლიბია), პირინეის ნახევარკუნძული (იბერია) და იქიდან წამოყვანილი ტყვეები კავკასიაში დაასახლა. მეგასტენეს ეს იდეა მოგვიანებით ანტიკური ხანის სხვა ისტორიკოსებმაც გაიზიარეს⁵¹ ისტორიული წყაროების თანახმად ნაბუქოდონოსორი დასავლეთში არასოდეს ყოფილა,

ამიტომაც ძნელია იმის გარკვევა, თუ რამდენად შეესაბამება ეს თეორია სინამდვილეს. მიუხედავად იმისა რომ რთულია ჭეშმარიტების დადგენა, ჩვენთვის ზემოთხსენებული თეორიები და ლეგენდები მაინც ძალზედ ბევრისმთქმელია. რომ არ ყოფილიყო ფიზიკური და მენტალური მსგავსება ორ ერს შორის, ალბათ ანტიკური ხანის ისტორიკოსები არც დაინყებდნენ ესპანელებისა და ქართველების ერთმანეთთან შედარებას და არც მითების შეთხზვას ქართველთა და ესპანელთა საერთო წარმომავლობის შესახებ.

ბიზანტიის იმპერიაშიც იყო გავრცელებული ესპანელთა და ქართველთა ნათესაობის თეორია. XI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი მიხეილ ატალიატე წერდა: „იბერიის მაცხოვრებლები ძალზედ მამაცი და ძლიერი ხალხია, ისინი დიდი ხნის განმავლობაში იბრძოდნენ რომაელების წინააღმდეგ. რომაელებმა დიდი გაჭირვებით მოახერხეს მათი დამორჩილება. მეფეთა შორის ყველაზე რჩეულმა, კონსტანტინემ, დასავლელი იბერებისაგან გამოყო მცირე ნაწილი და ისინი აღმოსავლეთში დაასახლა, ამიტომაც ეწოდა იმ ქვეყანას, რომელმაც ისინი შეიხიზნა, იბერია.“ ცნობები იმის შესახებ, რომ თითქოს კონსტანტინე დიდმა ესპანელები საქართველოში დაასახლა, რა თქმა უნდა სიმართლეს არ შეეფერება, მაგრამ აქ საყურადღებოა ის, რომ დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს მეზობელ ქვეყნებში გავრცელებული იყო თეორია ქართველებისა და ესპანელების საერთო წარმომავლობის შესახებ. ინტერესი ქართველებისა და ესპანელების საერთო წარმომავლობის მიმართ მინელდა მას შემდეგ, რაც მოხდა განხეთქილება კათოლიკურ

და მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის XI საუკუნეში. XII–XVIII საუკუნეებში ზემოთ ხსენებული თეორია უკვე პოპულარობით აღარ სარგებლობს და ორი მონათესავე ერის საერთო წარმომავლობის შესახებ ჩვენი მეზობელი ბერძნები უკვე ისე ინტენსიურად აღარ წერენ.⁵⁸

მიუხედავად ამისა ქართველი მეფეები მაინც დიდ დაინტერესებას იჩენდნენ ესპანეთის მიმართ და ისტორიაში არაერთხელ ყოფილა მცდელობა საქართველოსა და ესპანეთს შორის დიპლომატიური კავშირების დამყარებისა. პირველი ასეთი მცდელობა იყო XV საუკუნის დასაწყისში, როდესაც საქართველო უკვე აღარ წარმოადგენდა ერთიან სახელმწიფოს და სხვადასხვა სამეფო-სამთავროებად იყო დაყოფილი. დაშლილ და დაქუცმაცებულ ქვეყანას არ შეეძლო ძლიერ და აგრესიულ თურქეთთან გამკლავება. XV საუკუნეში ოსმალეთის იმპერიამ შესძლო ბიზანტიისა და ტრაპიზონის იმპერიის შთანთქმა და საგრძნობლად გაძლიერდა. პატარა ქართული სამეფო-სამთავროები თურქული მომთაბარე ტომების შემოსევების მუდმივი საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ.⁵² მძიმე პოლიტიკური სიტუაციიდან თავის დასაღწევად და ოსმალეთის იმპერიის აგრესიის შესაჩერებლად ქართველი მეფეები და მთავრები იწყებენ მოკავშირეების ძებნას დასავლეთ ევროპაში. ქართველი საზოგადო მოღვაწეები აცნობიერებდნენ, რომ მაჰმადიანების დამარცხება, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ ქრისტიანული სახელმწიფოები გაერთიანდებოდნენ და შექმნიდნენ ანტითურქულ კოალიციას. ქართველი მეფეები და მთავრები ესპანეთს თვლიდნენ ერთ-ერთ

ყველაზე გავლენიან სახელმწიფოდ, რომელსაც შეეძლო დახმარება აღმოეჩინა ქართული სამეფო-სამთავროებისათვის თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში. ესპანეთმა 1492 წელს მოახერხა არაბების საბოლოოდ დამარცხება, მათი განდევნა ქვეყნიდან და ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს ქვეყანად გადაიქცა. ესპანეთის ექსპანსია გაგარძელდა და დიდ იმპერიად ჩამოყალიბება დაჩქარდა მას შემდეგ, რაც მოხდა ქრისტიანთა კოლუმბის მიერ ახალი კონტიტენტის აღმოჩენა იმავე წელს, 1492 წ. მაშინ როდესაც „კათოლიკე მეფეები“ იზაბელა და ფერნანდო აფართოებდნენ კასტილიის ტერიტორიებს პირინეის ნახევარკუნძულზე, იტალიელმა მეზღვაურმა, კოლუმბმა ესპანეთის სამფლობელოებს შეუერთა მაშინდელი მსოფლიოსათვის უცნობი მატერიკი, რომელიც თავისი ზომით აღემატებოდა მთელ ევროპას.⁵⁹ ამერიკის აღმოჩენამ და ესპანელების თავგანწირულმა ბრძოლამ მუსლიმების წინააღმდეგ დიდი გამოხმაურება ჰპოვა როგორც დასავლეთ ევროპაში, ასევე საქართველოში. ქართველები დიდი სიხარულით შეხვდნენ ესპანელების გამარჯვებას მაჰმადიანებზე და მათ გაუჩნდათ იმედი იმისა, რომ დასავლეთ ევროპის ქრისტიანულ სახელმწიფოებთან გართიანებით შესძლებდნენ თურქების დამარცხებას. ქართველი მეფეები და მთავრები ესპანელებს იმედის თვალით შეჰყურებდნენ და ცდილობდნენ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური კავშირების დამყარებას. მაგალითად ქართლის მეფე კონსტანტინე II (1478-1505) მოკავშირეებს ეძებდა დასავლეთ ევროპაში. ის განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ესპანეთთან პოლიტიკური და სამხედრო ურთიერთობების

დამყარებას. ამ მიზნის მისაღწევად მან თავისი ელჩი, მღვდელი კორნელი გაგზავნა ესპანეთში დედოფალ იზაბელასთან და თან საჩუქრები და წერილი გაატანა. წერილში განხილული იყო თურქების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის გეგმა და გამოთქმული იყო კონსტანტინეს მზაობა გამოეყვანა თავისი ჯარები თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად. ქართლის მეფე იზაბელას ულოცავდა მავრებზე გამარჯვებას და ქრისტიანების წარმატებების მიმართ დიდ სიხარულს გამოხატავდა. თავის წერილში ის აუწყებდა იზაბელას, თუ როგორ ავინრობდნენ მაჰმადიანები აღმოსავლელ ქრისტიანებს. ქართლის მეფე აღნიშნავდა, რომ მტერი დიდ ზიანს აყენებდა საქართველოს, მოითხოვდა ქართველებისაგან გამუსლიმანებას და მაჰმადიანების საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მიღებას. წერილში კონსტანტინე ხაზს უსვამდა საქართველოს მძიმე მდგომარეობას. ის ესპანეთის მეფეს იზაბელას აუწყებდა, რომ მტერი ძლიერი და მრავალრიცხოვანი იყო და რომ ქართველები კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ სრულიად მარტო დარჩნენ აურაცხელი მტრის წინაშე. თავის წერილში კონსტანტინე დიდ ყურადღებას უთმობდა კონსტანტინეპოლის განთავისუფლებას თურქული უღლისაგან. კონსტანტინეპოლის განთავისუფლებას მართლაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის, ვინაიდან მას შემდეგ, რაც ეს ქალაქი დაეცა, განყდა კავშირი საქართველოსა და ევროპას შორის და ქვეყანა საბოლოოდ მტრული მაჰმადიანური სამყაროთი გარშემორტყმული აღმოჩნდა. კონსტანტინე იზაბელას მოუწოდებდა, რომ დაუყოვნებლივ დაეწყო საომარი მოქმედებები

და კონსტანტინეპოლის გასანთავისუფლებლად თავისი ჯარი გამოეყვანა.⁵⁸

პროდასავლური ორიენტაციის კონსტანტინე ცდილობდა მჭიდრო კავშირები დაემყარებინა ესპანეთის სამეფო კართან და რომის პაპთან. ის რომის პაპსაც უგზავნიდა თავის ელჩებს და სთხოვდა, რომ შეექმნა ანტითურქული კოალიცია და დაეწყო დასავლეთ ევროპის ქრისტიანული სახელმწიფოების მობილიზება თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად. კონსტანტინე მეორეს ცდას შედეგი არ მოჰყოლია.

XVI საუკუნეში ესპანეთის სამეფოსთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას ცდილობდა კახეთის მეფე, ალექსანდრე II (1574-1605). კახეთის მეფემ ანტითურქული კოალიციის შექმნის ახალი გეგმა შეადგინა. ალექსანდრე II, რომელიც პრორუსული ორიენტაციით გამოირჩეოდა, ანტითურქული კოალიციის შექმნის საქმეში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ერთმორწმუნე რუსეთთან ურთიერთობას, მაგრამ არ გამოორიცხავდა ამ კოალიციაში დასავლეთ ევროპის ქრისტიანული სახელმწიფოების მონაწილეობას. 1590 წელს ალექსანდრე II მოუწოდებდა ესპანეთის მეფეს, რომის პაპს და გერმანიის იმპერატორს, რომ დაეწყოს საომარი მოქმედებები თურქების წინააღმდეგ. კახეთის მეფემ გადაწყვიტა თავისი ელჩი გაეგზავნა ევროპაში, რათა ანტითურქული კოალიციის შექმნაზე მოლაპარაკებები ეწარმოებინა დასავლეთ ევროპის ქრისტიანულ ქვეყნებთან. იმ პერიოდში პირდაპირი გზა ევროპისაკენ თურქების მიერ იყო გადაკეტილი და ერთადერთი უსაფრთხო გზა ევროპისაკენ რუსეთის გავლით გადიოდა. ალექსანდრემ

სთხოვა მის სამეფო კარზე მყოფ რუს დესპანებს, რომ დახმარებდნენ მის ელჩს ჩასულიყო უსაფრთხოდ ევროპაში, რაზეც მათგან ცივი უარი მიიღო. რუსები მას უმტკიცებდნენ, რომ გეოგრაფიული სიშორის გამო ესპანეთს არ შეეძლო დახმარებოდა საქართველოს თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში და რომ მართლმადიდებლური ქვეყნისათვის არასასურველი იყო დასავლეთ ევროპის კათოლიკურ სახელმწიფოსთან დაახლოება. ელჩი იძულებული შეიქმნა უარი ეთქვა უსაფრთხო გზაზე და სხვა გზა აერჩია ევროპაში მოსახვედრად.⁵⁸

იმისათვის რომ ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლა უფრო ეფექტურად წარმართულიყო, ესპანეთი მზაობას გამოთქვამდა დროებით ალიანსში შესულიყო ახლო აღმოსავლეთის მაჰმადიან სახელმწიფოებთანაც კი, მათ შორის სპარსეთთან, რომელიც იმ პერიოდში დაინტერესებული იყო ანტითურქული კოალიციის შექმნით. ცბიერი და ეშმაკი შაჰ აბას I ცდილობდა თავი წარმოეჩინა, როგორც ქრისტიანების მფარველი მეფე. ის არნმუნებდა ევროპელ ელჩებს და კათოლიკე მისიონერებს, რომ მას უნდოდა საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნება და ცდილობდა საქართველოს თავის მხარეზე გადმობირებას. შაჰ აბასი წერდა რომის პაპს და დასავლეთ ევროპის ქრისტიანულ სახელმწიფოებს, რომ ის აღმოსავლეთში კათოლიკობის გავრცელების წინააღმდეგი არ იყო და რომ ის არ გამოირიცხავდა ერთ მშვენიერ დღეს ქართველების გაკათოლიკებას. შაჰ აბასი ცდილობდა ესპანეთის მეფის კეთილგანწყობის მოპოვებას და ამიტომაც სთავაზობდა მას ქართველების

გაკათოლიკებას. ესპანეთთან მოლაპარაკებების დროს შაჰ აბასი ხაზს უსვამდა საქართველოს მონაწილეობის მნიშვნელობას ანტითურქულ კოალიციაში. შაჰ აბას I მზაობას გამოთქვამდა დაენყო საომარი მოქმედებები თურქეთის წინააღმდეგ, რომელშიც საქართველოც მიიღებდა მონაწილეობას. იტალიელი მოგზაური, პიეტრო დელა ვალე (1586-1652), რომელმაც იმოგზაურა ირანში, გაიცნო ქართველები და აღფრთოვანებული დარჩა მათი მომხიბვლელობით, სიმამაცით და გამბედაობით, თვლიდა, რომ ქართველები დიდ დახმარებას აღმოუჩენდნენ ევროპელებს თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში.⁵⁸

ესპანეთთან დაახლოებას და დიპლომატიური კავშირების დამყარებას ესწრაფვოდა ასევე გმირი და სახელოვანი მეფე სიმონ I (1537-1603), რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლას შეაღწია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სიმონ მეფე 10 წელი ჰყავდათ დატყვევებული ირანელებს ალამუთის ციხეში, მაგრამ მიუხედავად დიდი ზეწოლისა, ვერ მოახერხეს მისი გამაჰმადიანება და ვერ შეაცვლევინეს მას სარწმუნოება. მას გამოკვეთილი პროევროპული ორიენტაცია გააჩნდა და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დასავლეთ ევროპის ქრისტიან ქვეყნებთან დაახლოებას. ესპანეთის არქივში აღმოჩენილ იქნა სიმონ პირველის წერილი, რომელიც 1595 წლის 15 აგვისტოთი თარიღდება. დასავლეთ ევროპის მმართველებთან გაგზავნილ წერილებში, კერძოდ ფილიპე მეორესთან გაგზავნილ წერილში სიმონ I ყველა ქრისტიანებს გაერთიანებისაკენ მოუწოდებდა და მათ ურჩევდა ერთობლივი ბრძო-

ლის დაწყებას თურქების წინააღმდეგ. სიმონ I წერდა ესპანეთის მეფე ფილიპე მეორეს იმის შესახებ, თუ როგორ ავინროებდნენ თურქები საქართველოს და რომ ქართველები დიდი ენთუზიაზმით ელოდებოდნენ იმ მომენტის დადგომას, როცა გაერთიანდებოდნენ ქრისტიანული სახელმწიფოები და ერთობლივად განახორციელებდნენ დიად საქმეს. ქართლის მეფე ფილიპე მეორეს აუწყებდა, რომ მან, კახეთის მეფე ალექსანდრემ და შაჰ აბას პირველმა გადაწყვიტეს გაერთიანება და ერთობლივი ძალებით თურქების წინააღმდეგ გალაშქრება, იერუსალიმის განთავისუფლება და ყველა ქრისტიანების თურქების უღლისაგან დახსნა. სიმონ პირველი არწმუნებდა ესპანეთის მეფეს, რომ ანტითურქული კოალიციის წევრები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდნენ იერუსალიმის გასანთავისუფლებლად, რათა ის მიწა, სადაც უფლის საფლავი მდებარეობდა, კვლავ ქრისტიანების ხელში გადასულიყო.

ფილიპე მეორესთან გაგზავნილ მეორე წერილში, რომელიც მან 1596 წლის 25 აგვისტოს დაწერა, სიმონ მეფე აღნიშნავს, რომ ის უკვე 14 წელია ებრძვის თურქებს და მათ მედგარ წინააღმდეგობას უწევს. ის კვლავ საუბრობს ანტითურქული კოალიციის შექმნის თაობაზე, რომელშიც კახეთის მეფე ალექსანდრე და შაჰ აბასი იყო ჩართული. ქართლის მეფე სთხოვს ესპანეთის მეფეს დაარწმუნოს იმპერატორი თურქების წინააღმდეგ ერთობლივი სამხედრო აქციის დაწყების აუცილებლობაში. სიმონ პირველი მოუწოდებს ფილიპე II-ს, რომ შექმნას ანტითურქული ალიანსი, რომელშიც განევრიანებული იქნებოდა ესპანეთის

მეფე, რომის პაპი და იმპერატორი. სიმონ მეფის აზრით ყველა სახელმწიფოს ერთობლივად უნდა დაეწყოს საომარი მოქმედებები და ერთიანი ძალებით შეეციათ თურქებისათვის. მისი აზრით მხოლოდ ამ შემთხვევაში შესძლებდნენ ისინი თურქების სწრაფ დამარცხებას. თავის წერილებში სიმონ მეფე ხაზს უსვამდა იმას, თუ რა დიდი ენთუზიაზმით და სიხარულით ხვდებოდნენ ქართველები ანტითურქული კოალიციის შექმნის იდეას.




ესპანური სამეფოები XV საუკუნეში. ამ პერიოდში მოხდა კასტილიისა და არაგონის გაერთიანება, გრანადის განთავისუფლება და ქრისტიანული კოლომბის მიერ ახალი კონტინენტის აღმოჩენა, რის შედეგადაც ესპანეთი ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცა.



ესპანეთის „კათოლიკე მეფეები“ იზაბელა კასტილიელი და ფერნანდო არაგონელი.



ესპანეთის მეფის და გერმანიის იმპერატორის კარლოს მეხუთეს იმპერია XVI საუკუნეში. მის სამფლობელოში „მზე არასოდეს არ ჩადიოდა.“



ესპანეთის იმპერია ფილიპე მეორეს მეფობის დროს.



ფილიპე მეორე (1527-1598)



კახეთის მეფე ალექსანდე მეორე (1527-1605).



ქართლის მეფე სიმონ I (1537-1603).

ქართველი მეფეების მისწრაფება, რომ დაემყარებინათ დიპლომატიური, პოლიტიკური და სამხედრო კავშირები ესპანეთის სამეფო კართან, გამონვეული იყო თურქეთის აგრესიული პოლიტიკით, რომელსაც ის ახორციელებდა მისი მეზობელი ქვეყნების მიმართ. ზემოთ ხსენებული წერილები მოწმობს იმას, რომ ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები გულხელდაკრეფილნი არ ისხდნენ და კონკრეტულ ზომებს იღებდნენ იმისათვის, რომ შეეჩერებინათ ოსმალეთის იმპერიის ექსპანსია კავკასიაში. ისინი ანტი-თურქული კოალიციის პასიური მონაწილეები კი არ იყვნენ, არამედ პირიქით, კონკრეტული ქმედებების გატარებას უჭერდნენ მხარს, რათა მომხდარიყო მათი ქვეყნის განთავისუფლება მაჰმადიანთა ბატონობისაგან. მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს კითხვა: რატომ არ აღმოუჩინეს დასავლეთის ქრისტიანულმა ქვეყნებმა, მათ შორის ესპანეთმა, დახმარება საქართველოს ასეთი ძნელბედობის უამს, ისინი ხომ თავად იყვენ ანტი-თურქული კოალიციის შექმნის ინიციატორები? საქმე იმაშია, რომ ვენასთან განცდილი მარცხის შემდეგ, ოსმალეთის იმპერიამ შესწყვიტა დასავლეთის მიმართულებით ექსპანსია და თურქეთის სულთნებმა ყურადღება იმპერიის აღმოსავლეთით ექსპანსიაზე გადაიტანეს, რაც ნიშნავდა ირანთან კონფრონტაციის დაწყებას. როგორც კი ევროპაში „თურქული საფრთხე“ გაქრა, დაინტერესებაც ანტი-თურქული კოალიციის შექმნის მიმართ მინელდა. „თურქული საფრთხის“ წარმოშობისთანავე დასავლეთ ევროპის ქვეყნები ცდილობდნენ ანტი-თურქული კოალიციის შექმნას, მაგრამ როგორც კი ეს საფრთხე მინელდე-

ბოდა, ისინი თავიანთი შიდა პრობლემების მოგვარებით კავდებოდნენ და აღარ გამოხატავდნენ დაინტერესებას საქართველოს მიმართ.⁵⁸

მიუხედავად იმისა რომ ესპანეთი და საქართველო ევროპის პერიფერიული ქვეყნებია, (ერთი წარმოადგენს ევროპის უკიდურეს დასავლეთს, ხოლო მეორე უკიდურეს აღმოსავლეთ ქვეყანას) ესპანელი და ქართველი ხალხი იზიარებენ საერთო ევროპულ ღირებულებებს. ორივე ერი წარმოადგენს ევროპულ-ქრისტიანული ცივილიზაციის განუყოფელ ნაწილს და მაჰმადიანური სამყაროს შემაკავებელ ბასტიონს. ესპანეთი, ისევე როგორც საქართველო, ერთ-ერთი ყველაზე პროევროპული ქვეყანაა. ორივე ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის პრიორიტეტს წარმოადგენს ევროპის ქვეყნებთან მაქსიმალური დაახლოება და მათთან ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კავშირების მაქსიმალურად გაღრმავება. ესპანეთს მოუწია ძალიან რთული და ეკლიანი გზის გავლა იმისათვის, რომ გამხდარიყო ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი. საქართველოსთვის, რომლის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, ესპანეთის ავტორიტარიზმიდან დემოკრატიაზე გადასვლის გამოცდილება შეიძლება მეტად სასარგებლო იყოს. ესპანეთმა წარმატებით შესძლო ავტორიტარიზმიდან თავის დაღწევა და დემოკრატიული რეფორმების გატარება, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში ინტეგრაციით დაგვირგვინდა.

ესპანეთს ასევე შეუძლია დიდი გამოცდილება

გაუზიაროს საქართველოს ისეთ მნიშვნელოვან და ქვეყნისათვის პრიორიტეტულ დარგებში, როგორც არის ტურიზმი, მევენახეობა-მელვინეობა და სოფლის მეურნეობა. ესპანეთის ეკონომიკის ძირითად შემოსავლის წყაროს ტურიზმი და სოფლის მეურნეობა წარმოადგენს და ამიტომაც საქართველოსთვის ესპანეთის სამეფოსთან თანამშრომლობა შეიძლება ძალზედ მომგებიანი და საინტერესო იყოს. ესპანეთში ყოველ წელიწადს 60 მილიონზე მეტი ტურისტი ჩადის და ქვეყანას არნახული მოგება რჩება ამ სფეროდან. საქართველოში მიმდინარეობს ტურისტული ინფრასტრუქტურის აქტიური განვითარება და ესპანელებთან თანამშრომლობამ ამ დარგის განვითარება შეიძლება კიდევ უფრო დააჩქაროს. საინტერესოა ასევე ესპანეთის გამოცდილება სეპარატიზმთან ბრძოლის საქმეში და რეგიონული მოწყობისა და მართვის გამოცდილება.

ესპანეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობებში შეიძლება გამოვყოთ ორი პერიოდი: 1992-2003 და 2003-2011. ესპანეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1992 წლის 9 ივლისს დამყარდა. თუმცა საჭიროა აღვნიშნოთ, რომ შევარდნაძის ხელისუფლებაში ყოფნის დროს ორ ქვეყანას შორის მჭიდრო ეკონომიკური, პოლიტიკური და დიპლომატიური კავშირები არ არსებობდა, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ საქართველოში მძვინვარებდა კორუფცია, ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობა, კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები ჯერ კიდევ თავისუფლად გრძნობდნენ თავს და ხშირ შემთხვევაში ხელისუფლებასთან იყვნენ

შეკრული. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი არასტაბილური ვითარება აფრთხობდა ესპანელ ინვესტორებსა და ბიზნესმენებს და ვერ უწყობდა ხელს ორი ერის დაახლოებას. ხშირი იყო ცნობილი პიროვნებებისა და ბიზნესმენების გატაცების ფაქტები, სამართალდამცავი ორგანოები კი ვერ ახერხებდნენ ასეთ ბარბაროსულ დანაშაულებათა აღკვეთას ქვეყანაში. ესპანეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები განსაკუთრებით დაიძაბა მას შემდეგ, რაც მოხდა ესპანელი ბიზნესმენების ანტონიო ტრენელიოს და ხოსე როდრიგესის გატაცება პანკისში. ესპანეთში ამ ბარბაროსულმა ფაქტმა დიდი რეზონანსი გამოიწვია. ესპანური მასმედია ძალზედ დიდ ადგილს უთმობდა ესპანელი ბიზნესმენების გატაცებას და საქართველოს ლამის „ტერორიზმის ბუდედ“ წარმოაჩენდა კავკასიაში, ყველაფერი ეს კი რუსეთის წისქვილზე ასხამდა წყალს. ამ პერიოდში რუსეთი აქტიურად ცდილობდა საქართველოსგან მტრის ხატის შექმნას და რუსული საინფორმაციო საშუალებები მაქსიმალურად ცდილობდნენ საზღვარგარეთ ნეგატიური ინფორმაციის გავრცელებას საქართველოს შესახებ. საქართველოს რეპუტაციის და იმიჯის შელახვას ინვევდა ასევე ესპანეთში მოქმედი ქართული კრიმინალური დაჯგუფებები.

სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა 2003 წლის შემდეგ, როდესაც ხელისუფლების სათავეში მოვიდა პროდასავლური და პროამერიკული ხელისუფლება. ახალმა ხელისუფლებამ ბრძოლა გამოუცხადა კორუფციას და ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებს, რომლებსაც შევარდნაძის ხელისუფლებამ

ყოფნის დროს ხელ-ფეხი ჰქონდათ გახსნილი. ქვეყანაში შეიქმნა სტაბილური საინვესტიციო გარემო და ხელსაყრელი პირობები ეროვნული ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის, რამაც გამოიწვია ესპანეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება და ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული კავშირების გააქტიურება. საქართველო-ესპანეთს შორის არსებული ურთიერთობები განსაკუთრებით ინტენსიური გახდა 2009 წელს, როდესაც გახშირდა ვიზიტები, როგორც ესპანური დელეგაციებისა საქართველოში, ასევე ქართველი პოლიტიკოსებისა ესპანეთში. სხვადასხვა პერიოდში ესპანეთში ვიზიტით იმყოფებოდნენ საქართველოს პრემიერ მინისტრი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე, ევროპულ და ევრო ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, დიასპორას საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი. საქართველოს პარლამენტმა დაიწყო აქტიური თანამშრომლობა ესპანეთის საკანონმდებლო ორგანოს ორივე პალატასთან, სენატთან და კონგრესთან. ამ თანამშრომლობამ ნაყოფიერი შედეგი გამოიღო და საქართველოს უკვე რეალურად ჰყავს მხარდამჭერი დეპუტატები ესპანეთის სამეფოს საკანონმდებლო ორგანოში. ბოლო პერიოდში ესპანელი ბიზნესმენები და ესპანური კომპანიები საქარ-

თველოში ეკონომიკური და ბიზნეს-საქმიანობის დან-
ყების სულ უფრო და უფრო მეტ ინტერესს ამჟღავნე-
ბენ. 2010 წელს საქართველოს ესპანელ ბიზნესმენთა
დელეგაცია ეწვია. ესპანურ დელეგაციაში ძირითადად
ინფრასტრუქტურისა და სამშენებლო სფეროს წარ-
მომადგენლები შედიოდნენ. ესპანელი ბიზნესმენები
განსაკუთრებით საქართველოს ენერგოსექტორით და
ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობით
დაინტერესდნენ. თუმცა ეს ვიზიტი მხოლოდ გაცნო-
ბითი ხასიათის იყო (ესპანელი ბიზნესმენები საქარ-
თველოს საინვესტიციო პოტენციალს გაეცნენ), მსგავ-
სი ვიზიტების გამართვას ძალზედ დიდი მნიშვნელობა
აქვს ჩვენი ქვეყნისათვის, რაც ხელს შეუწყობს ეს-
პანეთსა და საქართველოს შორის ეკონომიკური კავ-
შირების გაღრმავებას.⁴⁹

გაიზარდა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა კულ-
ტურის, განათლებისა და მეცნიერების სფეროში და
შეიქმნა ძალზედ მნიშვნელოვანი სამართლებრივი
ბაზა ამ სფეროებში თანამშროლობისათვის. („შეთან-
ხმება საქართველოს მთავრობასა და ესპანეთის სამე-
ფოს მთავრობას შორის კულტურის, განათლებისა
და მეცნიერების სფეროში თანამშრომლობის შესა-
ხებ“ და „პროგრამა ესპანეთის სამეფოს მთავრობასა
და საქართველოს მთავრობას შორის კულტურისა
და მეცნიერების სფეროში თანამშრომლობის შესა-
ხებ“) ესპანეთის სამეფოში ინტენსიურად იმართება
სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებები, რაც
მიზნად ისახავს საქართველოს კულტურული და სა-
მეცნიერო პოტენციალის წარმოჩენას და ორ ქვეყანას
შორის კულტურული კავშირების გაღრმავებას. ესპა-

ნეთის ხელისუფლების ფინანსური ხელშეწყობით ქართველ დიპლომატებს საშუალება ეძლევათ გაიარონ მადრიდის დიპლომატიურ აკადემიაში ერთწლიანი სასწავლო კურსი.

დაბოლოს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ესპანეთის ხელისუფლება მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, გმობს რუსეთის მიერ ქართული ტერიტორიების ოკუპაციას და მომხრეა საქართველოს ინტეგრაციისა ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში. ჩვენთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ სხვა სამხრეთ ამერიკის ქვეყნებმაც არ მიბაძონ ვენესუელას და ნიკარაგუას და არ მოხდეს მათ მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარება. ამ მხრივ ესპანეთს შეუძლია დიდი დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს, ვინაიდან ესპანეთს კვლავ აქვს თავისი გავლენა ლათინური ამერიკის ქვეყნებში და გარკვეული ბერკეტები გააჩნია, რომ ზეწოლა მოახდინოს ამ ქვეყნებზე.³¹



ესპანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ხოსე მარია ასნარი და საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

დასკვნა

ესპანეთის საგარეო პოლიტიკის განხილვისას შეიძლება გამოვყოთ ორი პერიოდი: ესპანეთის საგარეო პოლიტიკა 1975 წლამდე, ფრანკოს გარდაცვალებამდე და მისი გარდაცვალების შემდეგ, როდესაც მოხდა ესპანეთის პოლიტიკური სისტემის რადიკალური გარდაქმნა და ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების გატარება. ფრანკისტული დიქტატურის წლებში ესპანეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანი საერთაშორისო იზოლაციისააგან თავის დაღწევა იყო. თუმცა ფრანკომ შესძლო სრული იზოლაციის თავიდან აცილება, მისი მმართველობის პერიოდში ესპანეთის როლი საერთაშორისო სისტემაში მაინც შეზღუდული რჩებოდა და ბევრი ქვეყნები დიქტატორულ რეჟიმთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაზე უარს ამბობდნენ. ფრანკოს გარდაცვალების შემდეგ დაიწყო დემოკრატიზაციის პროცესი ქვეყანაში, რამაც გამოიწვია ესპანეთის იმიჯის გაუმჯობესება მსოფლიოში. დემოკრატიული რეფორმების გატარების შემდეგ ესპანეთმა შესძლო დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება ყველა ქვეყანასთან და ღირსეული ადგილის დამკვიდრება ევროპის მონინავე ქვეყნებს შორის.

მიუხედავად ამ ტრანსფორმაციისა და ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში განხორციელებული რადიკალური ცვლილებებისა, ესპანეთის ძირითადი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები არ შეცვლილა და ქვეყანა რჩება თანმიმდევრული საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეჟიმის შეცვლას არ გამოუწვევია ესპანეთის საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლა. ესპანეთის საგარეო პო-

ლიტიკის სტრატეგიული მიზნებია: ეროვნული ინტერესების დაცვა ევროპაში, კულტურული და სავაჭრო ხელშეკრულებების მეშვეობით ლათინური ამერიკის ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება, ხიდის ფუნქციის შესრულება ლათინურ ამერიკასა და ევროკავშირს შორის. საგარეო პოლიტიკის სხვა მნიშვნელოვან პრიორიტეტებს მიეკუთვნება ევროპის მეზობელ ქვეყნებთან მჭიდრო კავშირების დამყარება და ახლო აღმოსავლეთის ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებთან კარგი ურთიერთობების შენარჩუნება, ვინაიდან ესპანეთს საერთოდ არ გააჩნია ნავთობის რესურსები; ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროზე ესპანური ანკლავების (სეუტა და მელიია) შენარჩუნება, ასევე ესპანეთის ეროვნული ინტერესების დაცვა ჩრდილოეთ აფრიკაში; ამერიკის შეერთებულ შტატებთან კარგი ურთიერთობების შენარჩუნება; გიბრალტარის დაბრუნება და ესპანეთის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

ბიბლიოგრაფია:

1. Treverton Gregory, F (1986) Spain: Domestic politics and security policy, Letchworth: Garden City Press LTD.
2. Rodrigo, Fernando; Gillespie, Richard (1995) Democratic Spain, London: Routledge.
3. Preston, Paul; Balfour, Sebastian (1999) Spain and the great powers in the twentieth century, London: Routledge.
4. Cortada, James, W (1980) Spain in the twentieth-century world, London: Aldwych Press.
5. Pollack, Benny (1987) the paradox of Spanish foreign policy, London: Printer Publishers.
6. Clark Robert; Haltzel, Michael (1987) Spain in the 1980s, Cambridge: Subsidiary of Harper Row & Publishers.
7. Maxwell Kenneth (1991) Spanish foreign and defence policy, Oxford: Westview press.
8. Wiarda, Howard (1986) the Iberian-Latin American Connection, Washington: Westview press.
9. Siotis J., Tsakaloyannis P. (1981) the Mediterranean challenge: Spain, Greece and Community Politics, volume VI, Sussex: European Research Centre.
10. Marks, Michael P. (1997) the formation of European policy in post-Franco Spain, Chippenham: Antony Rowe LTD.
11. Rosenberg, Robin L. (1992) Spain and Central America, Westport: Greenwood Press.
12. Armero, Jose Mario (1989) Politica exterior de España en democracia, Madrid: Espasa Calpe.

13. Armero, Jose Mario (1978) *la política exterior de Franco*, Barcelona: Editorial Planeta.
14. Murphy, Carter; Rubottom, Richard (1984) *Spain and the United States*, New York: Praeger Publishers.
15. Castiella, Fernando Maria (1960) *Spanish Foreign Policy*, Georgetown: University of Washington DC.
16. John Hooper (1986) *The New Spaniards*, London: Penguin Books, England.
17. *Encyclopedia Americana* (1956) volume 25, Americana Corporation, New York, USA.
18. Skola, Cara, *Spanish Foreign Policy and the impact of Ideological Change*, retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: <http://www.lehigh.edu/~incntr/publications/perspectives/v23/skola.pdf>
19. *Foreign Policy under Franco*, retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: <http://countrystudies.us/spain/24.htm>
20. *History of Spain, The Franco Years*, retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: <http://motherearthtravel.com/history/spain/history-13.htm>
21. *Concordatwatch, Concordat with the Holy See (1953)* retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: <http://www.concordatwatch.eu/topic-34561.843>
22. *Spain and Latin America*, retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: <http://countrystudies.us/spain/90.htm>
23. *The recovery of liberty and the normalization of*

International Relations, retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: <http://sispain.com/english/foreign/recovery.html>

24. Foreign Affairs, retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: <http://www.sispain.org/english/foreign/index.html>
25. Zapatero (2010) Summary of the President of the Spanish Government's address to the European Parliament, retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: http://www.eu2010.es/export/sites/presidencia/en/transcripcion.html_1266542164.html
26. Hyland Julie (1999) Britain and Spain exchange threats over Gibraltar, retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: <http://www.wsws.org/articles/1999/feb1999/gib-f16.shtml>
27. Geoffrey B. Demarest (1996-1997) Spain's Military-Strategic Outlook, retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: <http://www.carlisle.army.mil/usawc/parameters/Articles/96winter/demarest.htm>
28. U.S. department of state (1997), Kingdom of Spain, retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: <http://www.umsl.edu/services/govdocs/backgroundnotes/75.htm>
29. Mohamed El-Madkouri Maataoui, España y el mundo Árabe: Imagen e imaginario, [HTTP://WWW.UM.ES/TONOSDIGITAL/ZNUM7/PORTADA/TRITONOS/IMAGENDEESPAHTM.HTM](http://www.um.es/TONOSDIGITAL/ZNUM7/PORTADA/TRITONOS/IMAGENDEESPAHTM.HTM)
30. Abend, Lisa (2009). Spain's withdrawal from Koso-

- vo Angers allies, retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: <http://www.time.com/time/world/article/0,8599,1887304,00.html>.
31. Bonet, Pilar (2010). Georgia pierde la atención de Estados Unidos, retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: http://www.elpais.com/articulo/internacional/Georgia/pierde/atencion/Estados/Unidos/elpepiint/20101202elpepiint_2/Tes
 32. The Americano (2009) Obama ready to meet socialist prime minister Zapatero, retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: <http://theamericano.com/2009/09/19/obama-ready-to-meet-socialist-prime-minister-zapatero/>
 33. Encyclopedia of the Nations, Spain-Foreign Policy, retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: <http://www.nationsencyclopedia.com/World-Leaders-2003/Spain-FOREIGN-POLICY.html#ixzz1RaUSDkKQ>
 34. Chris Bailey (2007) The transition to democracy in Spain and Portugal, retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: <http://www.e-ir.info/2007/12/22/the-transition-to-democracy-in-spain-and-portugal/>
 35. Jose, I. Torreblanca (2001) Ideas, preferences and institutions: Explaining the Europeanization of Spanish Foreign Policy, retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: http://www.uned.es/dcpa/Profesores/126JIgnacioTorreblanca/126Publicaciones/Torreblanca_arena_01_26_europeanization.PDF

36. The Spanish Transition to Democracy, retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: <http://www.royalfamily.org/welcome/transition.htm>
37. Spanish Foreign Policy (2004) retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: <http://www.euroresidentes.com/Blogs/2004/09/spanish-foreign-policy.htm>
38. Spain and Latin America, retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: <http://countrystudies.us/spain/90.htm>
39. Muñoz Torres, Daniel E. (2010) El nuevo rol de España en la política internacional, retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: http://www.escenarios21.com/textos/2010/Octubre/23_30Espana_Munoz.pdf
40. Suzanne Daley (2011) At Spanish border, toll threatens rapprochement, retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: <http://www.nytimes.com/2011/01/25/world/europe/25gibraltar.html?r=1>
41. Historia Militar de España, Asedio de Gibraltar (1727) Primer asedio de Gibraltar tras la firma del Tratado de Utrecht, retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: http://www.ingenierosdelrey.com/guerras/1727_gibraltar/1727_gibraltar.htm
42. John Keegan (2004) Spain lost Gibraltar 300 years ago today: it should get over it, retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: <http://www.telegraph.co.uk/comment/columnists/janetdaley/3609247/Spain-lost-Gibraltar-300-years-ago->

[today-it-should-get-over-it.html](#)

43. Irene Gonzalez Gonzalez, Los centro culturales en el mundo Arabe: Actores de la política exterior española (1954-1967), retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: http://www.ahistcon.org/docs/murcia/contenido/pdf/15/irene_gonzalez_gonzalez_taller15.pdf
44. გაბრიელა ეშფორდ ჰოჯესი (2011) ფრანკო: მოკლე ბიოგრაფია, თბილისი: ქართული ბიოგრაფიული ცენტრი.
45. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (1979) 4 ტომი, თბილისი, მთავარი რედაქტორი ირ. აბაშიძე, თბილისი.
46. სალომე ასათიანი (2005) ევროპის კავშირის კონსტიტუცია: კრიტიკული პერსპექტივები და წვერები ქვეყნებისათვის მისი მნიშვნელობა, retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1539697.html>
47. ლუის ბასეტსი (2010) ევროპის უძღებმა შვილმა ნაიბორძიკა, retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: <http://24saati.ge/index.php/category/opinion/2010-02-09/3401>
48. პირველი არხი, ესპანეთი ევროპაში ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემას მიუერთდა, retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: <http://www.1tv.ge/News-View.aspx?Location=28961&LangID=1>
49. მანანა ვარდიაშვილი (2010) ესპანელი ბიზნესმენები საქართველოს ენერგოსექტორით დაინ-

ტრესდნენ, retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: <http://24saati.ge/index.php/category/business/2010-02-10/3424>

50. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ურთიერთიერთობები საქართველოსა და ესპანეთის სამეფოს შორის, retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: http://www.mfa.gov.ge/index.php?sec_id=293&lang_id=GEO
51. გიორგი ქავთარაძე (2009) ტერმინ – არიანქართლის განმარტებისათვის,“ retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: <http://www.geocities.ws/komblege/kutsaubrebi.htm>
52. ვალერი მოდებაძე (2010) მესხური პრობლემის ანალიზი, გამომცემლობა „კალმოსანი“, თბილისი.
53. Пожарская, Светлана Петровна(1971) Таинная дипломатия Мадрида, издательство »международные отношения», Москва.
54. Пожарская, Светлана Петровна (1977) От 18 Июня 1936 – долгий путь, «Молодая Гвардия», Москва.
55. Пожарская, Светлана Петровна (1982) Испания и США: Внешняя политика и общество 1936-1976, издательство «Наука», Москва.
56. Пряхин, Д. (1968) Внешняя политика Испании, издательство «международные отношения», Москва.
57. Анатолий Андреевич Красиков (1989) Испания и мировая политика: Полвека дипломатической истории, издательство «международные отно-

шения» , Москва.

58. Бибилеишвили А. Г. (1981) Исторические, культурные и литературные взаимосвязи Грузии и Испании, издательство «Мецниереба», Тбилиси
59. Рафаель Альтамира-и-Кревеа (1951) История Испании, издательство иностранной литературы, Москва.
60. Л. Ю. Слезкин (1956) Испанско-Американская война 1898 года, Издательство Академия Наук СССР, Москва.
61. И. М. Майский, Ч. Ж. Викенс, Институт Всеобщей Истории, Академия Наук СССР (1975) Испания 1918-1972гг. Исторический очерк, Издательство «Наука», Москва.
62. Nato's role in Kosovo, Press Conference by secretary general of NATO Mr. Javier Solana and the Spanish Prime Minister, Mr. Aznar, retrieved January 19, 2012, from the World Wide Web: <http://www.nato.int/kosovo/press/p990525a.htm>